# ცისკარი.

**1865**

ოკტომბერი.

## წელიწადი მესამე.

წოდება თხზულებათა:

— **1**, რედაქციისაგან. — **2**, უქაზი მმართებელის სენატისადმი. —

**I** — აღსარება ქალისა, მარიონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-ულოვისა.

**II** — ლექსები: **1**, ნიკ. დად. კოლხიდელისა; — **2**, მშჳდობიანი სურ-ვილი. ივ. კერესელიძისა; — **3**, სიყჳარულისადმი, გრ. რჩეუ-ლოვისა; — **4**, ჭორი, დიმ. ბერიევისა. —

**III** — ჩჳენი დროების მწერლები. — ღვიძელისა.

— სხჳა და სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

თბილისი

## სია 1866 წლის ცისკარზედ ჴელის მომწერთა:

ტფილისში.

1, თ. გრიგოლ ორბელიანი 3 წიგ.
უგან. თავ. ერეკლე გრუზინსკი.
თ. გიორგი მუხრანსკი.
უგან. თავ. გრიგოლ დადიანი.
კნ. თამარ მელიქოვისა.
თ. დიმიტრი აბხაზოვი.
თ. ალექსანდრე აბხაზოვი.
10, სჳმონ ზუბალოვი.
თ. იასე ანდრონიკოვი.
დიმიტრი ყიფიანი.
თ. ივანე ორბელიანი.
თ. გიორგი ანდრონიკოვი.
თ. ვახტანგ ორბელიანი.
კონსტანტინე ზუბალოვი.
დიმიტრი მგალობლოვი.
ქეთევან დალინსკისა.
თ. დავით ქობულოვი.
20, თ. ალ. ვახ. ორბელიანი.
კნ. ბარბარე ქობულოვისა.
ანტონ ყორღანოვი.
ივანე ბუჩუიევი.
დავით ჩაჩიკოვი.
კნ. ნინო ჩოლაყაევისა.
სოლომან შაბუროვი.
მოსე ტერსტეფანოვი.
28, თ. ევგენ ბებუთოვი.

# აღსარება მარიონ დელორმისა.

(მართალი თავს გარდასავალი.

ნათ. გრ. რჩეულოვისაგან.

ნაწილი პირველი.)

---

ტ ფ ი ლ ი ს ს.

ქერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1 8 6 5.

Дозволено цензурою. 1865 г. 1 Октября.

# რედაქციისაგან.

რასაკჳრველია ყოველს ქართველს, ვისაცკი ესმის კაცობრიობის წარმატების ღირსება, უნდა ესიამოვნოთ მიახჩნდეს, რომ არათუმარტო საქართველოში, არამედ თჳთ იმერეთის მხარეზედაც ინება ჩუენმა დიდმა კელმწიფემ განთავისუფლება გლეხებისა, ყმობითის დამოკიდებულებითგან, — ჩუენი რედაქცია დიდის სიამოვნებით უთმობს სხჳა და სხჳა ანბავის ნაწილს, ამ მეტად სასარგებლოს საქვეყნო საგანს და ვბეჭდავს პირველ შემთხვევაში უქაზს მისის იმპერატორობითის დიდებულებისას მმართებელის სენატისადმი, — ხოლო შემდგომ ნომრებში იქნებიან რიგრიგათ დაბეჭდილნი დამატებითნი კანონნი.

რედ.

---

## უქაზი მმართებელის სენატისადმი.

მანიფესტითა თებერვლის 19-ს დღესა 1861 წელსა გამოცემულითა და წესდებითა, იმავე დღეს ჩვენ მიერ დამტკიცებულითა, ჩვენ განვათავისუფლეთ რუსეთში ყმობითის დამოკიდებულებისაგან საბატონო გლეხნი და მივანიჭეთ მათ წოდებითნი უფლებანი თავისუფალთ სოფლის მცხოვრებთა, განვაჩინეთ რა მასვე დროს მოვალეობანი მათნი მამულის პატრონთადმი, გარდასახადნი და მათი სასოფლო მმართველობა.

შემდგომ ამისა კელ-მიეყვო საბატონო გლეხთ განთავისუფლებასა ყმობითის დამოკიდებულებისაგან კავკასიის პირ იქითაც. თავდაპირველ განკარგულება ესე იყო წინამიღებულ ტფილისის გუბერნიასა შინა, სადაც შემზადდნენ, მებატონეთ მონაწილეობითა, წინადადებულებანი ახლად გაწყობისათჳს იქაურთ გლეხთა, და ესე წინადადებულებანი, ჯეროვანის მათის განხილვის შემდგომ, დამტკიცდნენ ჩვენ

მიერ 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა.

აწ ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთაცა მიჰმართეს მაგალითსა ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა, დ~, მათებრ, სათნოდ მიიღეს განთავისუფლება გლეხთა თჳსთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან. ჭაზრნი ამ საგანზედ იყვნენ ვრცლად განსაჯულნი ჯერ საკუთარს ადგილობით კომიტეტში იმ უეზდების მებატონეთაგან, სადაც ირიცხებიან საბატონო გლეხნი, მერმე ადგილობითსავე გამგეობაში, ხოლო დასასრულ კავკასიის ნამესტნიკის გლავნის უპრავლენიის კომიტეტში, რომელიც გაწესებულია დაბინავებისათჳს გლეხთა. შედგენილნი საფუძველთა ზედა ზემოხსენებულთ წინაგანზრახვათა სჯულის პროექტები განხილულ იქმნენ მისის იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკისაგან დ~ დაბოლოვებითად განისაჯნენ შეერთებულს სამსჯავროსა შინა კავკასიის კომიტეტისა დ~ უმთავრესის კომიტეტისა მსოფლიოთ მცხოვრებთა დასაბინავებლად.

დავამტკიცეთ რა დღეს სჯულ-დება ესე, რომელიცა შეადგენს დამატებითთა წესდებათადმი 13 ოკტომბრის 1864 წლის კანონთა გლეხთათჳს, გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან ქუთაისის გუბერნიაში დ~ წარმოვგზავნით რა მათ მმართებელს სენატსა შინა, ვუბრძანებთ მას, რათა ჯეროვნად განჰკარგოს სახალხოდ გამოცხადება დ~ მოყვანება ამ კანონთა მოქმედებაში.

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის დიდებულების საკუთარის კელით მოწერილ-არს:

«ალექსანდრ.»

ცარსკის სელოში.
13-ს ოკტომბერს 1865 წელსა.

ნაწილი პირველი

# I.

მე დავიბადე ქალაქს შალონში მაისის თხუთმეტს ათას ექვსას პირველსა (1601) წელსა.—მამა ჩემი გაბრიელ დელორმი იყო ეკზეკუტორათ იქაურ სუდში. აღსრულება ამის თანამდებობისა ითხოვდა, რომ იმას ყოველთჳს ევლო უეზდში და თან ეტარებინა გამოსაცხადებლათ სუ-დის განაწყვეტილებანი. მაისის თხუთმეტშივე დილით მამაჩემი წა-ვიდა ჩვეულებისამებრ უეზდში თავისის ჯაგლაგის ცხენით. ორიოდე ვერსი როგორღაც გაიარა, მას შემოესმა, რომ ვიღაც ეძახის იმას ხმა მაღლა. ცხენი მიაბრუნა იქით და ნახა, რომ დამძახებელი იყო თავისი მწყრალი ყოზსუე კამუზარი.—

—რა დაგმართვია? ჰკითხა მამა ჩემმა, და რა ნახა, რომ ის ხიმ-თვრალისაგან ძლივს ლუღლუღებდა, მამა ჩემმა შემოისვა ის ცხენს უკან; მაგრამ ამ ბედაურმა, ანუ შეურაცხებათ მიიჩნია ორის ტარება, ანუ მეტად მძიმედ ეჩვენა ეს ტვირთი, ფეხი აღარ მოიცვალა ადგი-ლიდგან, თუმცა მამა ჩემი არა ზოგავდა არც მათრახებს, არც და-ჟანგებულ დეზებსა. ეს ბრძოლა იმათ შორის იმით გათავდა, რომ ორივე გადმოყარა ცხენმა და ააღრიალა კამუზარი.—იმათ სასირცხვილოთ ამ დროს დიდს გზაზედ მოაქროლებდა ვიღასიც კარეტა.—

—ღმერთო!..... საწყლები! ჰსთქჳა ნარნარმა ხმამ კარეტიდგან: უბრძანეთ მარკიზო, დააყენონ კარეტა და შეიტყე, ხომ არა იტკინეს რა.

ორი ლაქია გარდმოხტა მისაშველებლად; მაგრამ მამა ჩემი უკვე წამოდგა და რა მიახლოვდა ეკიპაჟსა, გადუხადა იმაში მჯდომთ მად-ლობა შეწუხებისათჳს.

—ამ ქალაქიდგანა ხარ? ჰკითხა მარკიზმა.

—დიახ, მიუგო მამა ჩემმა.

—შეიძლება, საყვარელო, აქაურს ტრასტირში ჩამოხდომა და რო-

გიანი პურის ჭამა?

—თუმცა აქ ორი ტრასტირებია, მაგრამ ორივე ერთს დუქნათ არა ღირან.—მარშან ვიღასთვისაც კურდღლის მაგიერათ შემწვარი კატა მიერთმევინათ.

—მაშ რა გვეშველება, რვა საათია პირში ნაყრი არ ჩამიდვია. ჰსთქუა ჩივილის ხმით გრაფინამ.

—თუ რომ ნებას მომცემთ გაგიბედოთ, თუ რომ ღირს ჰყოფთ გააბედნიეროთ ჩემი სახლი... ლუღლუღებდა მამა ჩემი გაუბედაობით.

—რატომ, რატომ, კარგი იქნება! უთხრა გრაფინამ და ანიშნა, რომ მამა ჩემი ჩაჰსჯდომოდა იმათ კარეტაში.

მამა ჩემმა ამოჰკრა ფეხი გამყზარსა და უთხრა, რომ ცხენი შინ მიიყვანოს, თვითონ მარდათ ავიდა კარეტაში და უბრძანა კუჩერს: «ფევავის ქუჩაში, უფალის სუდიის კარების პირდაპირ.» ცხენები გაქროლდნენ. მამა ჩემი სიხარულისაგან მეშვიდე ცაში იყო. იმან უკვე იცოდა, რომ ის უზის გვერდით გრაფინია კლერმონს და იმის მონათესავეს მარკიზ ვილარსონს.—

გრაფინია ქვრივი იყო და ერთი ვაჟი შვილი ჰყვანდა ყმაწვილი; გრაფინია მოდიოდა შვეიცარიიდგან, სადაც მიელო დიდი სამკვიდრებელი ვიღაც ნათესავის სიკვდილის შემდეგ; ხოლო მარკიზი ვილარსონი ისეთი კეთილი იყო, რომ ამ მოგზაურობაში თან გაჰყოლოდა იმას. ეხლა ისინი პარიჟში მიდიოდნენ.

—ცოლიანი ხართ? ჰკითხა გრაფინიამ მამა ჩემსა.

—ოჰ, ღმერთო ჩემო! შეჰყვირა გაბრიელ დელორმა, რომელსაც განუღვიძა უსიამოვნო მოგონება ამ კითხვამ.

—რა იყო? ფერმა რათ გადაგკრათ, საყვარელო მასპინძელო?

—ოჰ! ამოიოხრა მამა ჩემმა: წარმოიდგინეთ, გრაფინიავ.., არა, არა, არ მოგახსენებ... ღმერთო, ეს რა მომივიდა...

—ჰსთქვი, რა დაგემართა!

—გარწმუნებ, გრაფინიავ, მე გიჟი არა ვარ.... მეთანხმეთ, მომეტევება, რომ დამავიწყდა... იქნება იმისაგან მომივიდა, რომ ცხენიდგან გადმოვარდი?.... უთუოთ თავი დავჰკარ რასმეს...

—არა უნდა გაათავო? შეუტია გაჯავრებით მარკიზმა. თუ არ გინდა ჩვენი მიღება, ჰსთქვი, სხვა ბინას მოვნახავთ.—

—ოჰ, მარკიზო!... ოჰ, გრაფინიავ! დღეს თქვენ ვერ ჰპოვებთ

ღირსეულად მიიღებს ჩემს სახლში... ჩემი ცოლი ეს არის ეხლა განთავისუფლდა მშობიერებისაგან... მე სრულებით გადამავიწყდა...

მეზავრებს წასქდათ სიცილი.—უცხო რამ არის! დაავიწყდა! სთქჳა გრაფინამ: ყველა ქმრები ერთ ნაირნი არიან!... ეგ მაინც მიზეზი არ არის უარი გვითხრა—ჩემო მასპინძელო. მე მოგინათლავ შვილსა და ვილარსოც უარს არ იტყვის კუმათ გამიხდეს.

—როგორ? განა თქჳენ ღირს გამხდით თქჳენის ნათლიობისას?! ბუტბუტებდა მამაჩემი.

—რატომ, რატომ, ლაატანა ვილარსომ, რომელსაც შიმშილი აწუხებდა.

კარეტამ ხმაურებით შეიარა ქალაქში, და მეზობლების განსაცვიფრებლად დაჰხდგა მამი ჩემის ღარიბი სახლის წინა.

დედა ჩემი მთელი აგებულების ადამიანი იყო. ის არ შეჰწუხდა ამ გვარი სტუმრების მისვლით; სიხარულით იმას ცრემლები მოუვიდა, როდესაც ლამაზმა გრაფინამ ამიყვანა მე ხელში და მიულოცა დედას, ჩემი ქჳეყნად მოსვლა.

მოიწვიეს სადილათ სტუმრები. მეორეს დღეს დანიშნეს ჩემი ნათლობა. საკრავიც მოიწვიეს. მამა ჩემი აღარავის ანებებდა ტანცობაში გრაფინასა, ხოლო მარკიზიც სიხარულით ჰსცვლიდა სხჳა და სხჳა ჯურის დამებსა. ერთის სიტყვით ჩვენს სახლში ჰხტოდნენ, მღეროდნენ, ჰკოცნიდნენ, ჰხარხარებდნენ... ბალის შემდეგ ჰსთქვეს რომ უნდა ვკითხვინოთო ყმაწვილის ბედის წერაო. იმ დროს მკითხაობა დიდს მოდაში იყო. ერთი მკითხავი მაშინვე მოიწვიეს ჩემთჳს, იმან პირველად ჩამოატარა ხის პინა და იმის თვალები აიგზნენ, როდესაც დაინახა, რომ გრაფინამ ორი ოქრო ჩაუგდო: ამ გვარივე სიუხვე გამოიჩინა მარკიზმა და დანარჩენებმაც ცოტ-ცოტა შეჰსწირეს რამა. აქედგან ადვილათ ჰსჩანდა, რომ ფულის კვალად მეც კარგს ბედს აღმითქვამდა მკითხავი. იმან აქედგან დაიწყო, რომ გადაასდევინა ჩემი თავი, ხელები და ფეხები. ყოველს ასოს ყურადღებით სინჯამდა ისი. შემდეგ ჩემს აკვანზედ დააწყო ჯჳარედნივ ორი ჯოხი, გაალებინა ფანჯარა, დაუწყო ყურება მთვარესა და ვარსკვლავებს, ამასთან რასაკვირველია რაღასაც ბუტბუტებდა თავისთჳს. შემდეგ ის-მოვიდა ჩემთანვე, ამართო ჯოხები, შემოავლო იმით ჩემს აკვანს გარე წრე და დაიწყო ბედის აღწერა:

«ეს ქალი იქნება თხუთმეტის წლის შემდეგ პირველი ლამაზი არა თუ ევროპაში, არამედ მთელს ქუეყანაზედაო; ჴელმწიფის სასახლეში იქნება მიღებული ბრწყინვალებით და შეიქნება ცოლი დიდის კაცისაო. ეს ქალი გადიმტყერებს დიდ კაცებსა, გაიქცევა სახელმწიფოიდგან, და იმ დროიდგან ამის სიცოცხლე იქნება ავსებული საიდუმლოებითაო; იცოცხლებს ას წლამდისა და დიდი ხანი გაჰსწყვებსო, მაშინ შეიტყობენ სად იყო და სად მოკვდაო.» —

ყველამ გაიცნეს ჩემის ბრწყინვალე ბედის წინასწარობაზედ, და გაისტუმრეს მკითხავი. სადამოდ გაიარა ისე მხიარულადავე, როგორც დაიწყო, მეორეს დღეს მომნათლეს დიდის ყოფით ეკკლესიაში, გრაფინას კრუჟავებში გახვეული, და მიწოდეს სახელად მარია. სადამოზედ ცხენები მოუყვიდათ და შეაბეს კარეტაში, ჩემი დედამამა იცინგლებოდნენ: გაიავდა მშუენიერი სიზმარი.

გრაფინა დაიხარა ჩემს აკვანზედ, რაღაც ამოსდო ჩემს თავს ქვეშ და რა მაკოცა ნარნარებით, მითხრა: «მშვიდობით, ჩემო ნათლულო; თუ რომ ეკრძნება შენის ბედის აღსრულება, შენ დამიბრუნებ ოდესმე ამ კოცნასა. მე ვეძებ შენ ლუვრში. (ჴელმწიფის სასახლე პარიჟში). ის იცინოდა, მაგრამ მკითხაობა მწყემსისა გამართლდა. —

## II

გრაფინამ ამოუდო ჩემს აკვანში ხუთასი ოქრო პატარას ბარათით თავის ხელ ნაწერით: «მზითვათ ჩემს ნათლულსა, როდესაც ის ამოირჩევს საქმროსა.» —

ეს ჩუქნა ამბავი დიდ ხანს იყო საგნად ლაპარაკისა მთელს ქალაქში. მე არ გავაგრძელებ ჩემი სიყმაწვილის აღწერას; როგორც ყოველნი ყმაწვილნი ჩემის ჰასაკისანი, მე ვიყავ ცელქი, უბედი და მხიარული. კეკლუცობამ გაიღვიძა ჩემში პირველად გონება. მე მესმოდა, რისთჳსაც მესდგებოდნენ სოლმე გამვლელ-გამომვლელნი და დამიწყებდნენ ყურებას, მგონი ამიმაღლდებოდა სოლმე ამპარტავნებით, როცა ჩემს ახლოს ჩურჩულებდნენ: რა ლამაზი ყმაწვილია!

მამა ჩემს მეტად უყვარდი და მიყუნიდა, სოლო დედაჩემი პირს არ მიჩვენებდა. პირველად მამა ჩემმა აღმიწერა შემთხვევა ჩემის მონათვლისა, მიამბო სიუხვე, სილამაზე, სიმდიდრე ჩემის ნათლიებისა,

ჩემს მშობლებს მე კარგი ფეხი მოუტანე: ჯერ რვა წელიწადს არ გაევლო, დედაჩემმა გაამრავლა სახლი ოთხის ქალით და შვიდის ვაჟით; თჳთ ეკკლესიას მოაბეზრა ხშირის ტყუპების ნათვლით.—წარმოიდგინეთ ამდენი ყმაწვილები დაბალს სახლში წვრილის და ბნელის ოთახებით. დილით საღამომდის და საღამოდგან დილამდის ეს ცოცხალი ბოსტანი დარბოდნენ, ჩხუბობდნენ, ჭყიოდნენ, კიოდნენ, სარსარებდნენ, ღმუოდნენ... მიკვირს დედიჩემის მოთმინება, როგორ უძლებდა ამათ ხმასა... ათ წლამდის მე ნება მქონდა ყოველთჳს შესვლისა მამი ჩემის კაბინეტში. იქ ვსხდამდი ხოლმე ხშირად იმის მწერალს კამუზარსა, რომელიც იჯდა ხოლმე კოჭლ ფეხიან სკამზედ. ის თან და თან მახინჯდებოდა და სულელდებოდა. მე თჳთონ არ ვიცი, რისთჳს შევიძულე ეს კაცი: უფრო იმიტომ, რომ სიმახინჯე მეჯავრებოდა ბუნებითვე, თუ ამიტომ რომ წინათვე გულმა მიგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო ჩვენ შორის? იმასა ჰქონდა აბლაყა თმა, პირი დაკუნგილი და ბელოფეხი თითქმის სასხრებზედ არ იყო შედუღებული და ისე მოწყვეტილივით დაჰკიდებდაო. ბრუნდე წელი, ბრუნდე მუხლები, უზომო გრძელი მკლავები სრულებით უსიამოვნოთ ჰყოფდნენ იმას თვალისათჳს. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ბოროტი კაცი არ იყო. მე ხშირად ვჩქმეტდი იმას, ვაკაწრიდი, ვჰკბენდი და ის მოთმინებით იტანდა, და სრულებით ჯავრიც არ მოჰსდიოდა. ათის წლისა რომ შევსრულდი, დედა ჩემმა დამიშალა მამა ჩემთან შესვლა კაბინეტში, და მიბრძანა ვშველოდე იმას სახლში. ეს ნიშნავდა, რომ მე უნდა მომევლო ერთის ჯოგის ყმაწვილებისათჳს, დამეკერებინა და მექსოვნა იმათი საცვალი და წინდები.—მე მინდოდა მეწინააღმდეგა დედისათჳს, მაგრამ იმას მაღალი ხმა ჰქონდა, და არც დაზოგვა იცოდა სილებისა. მეტი ღონე არ იყო, მე დავემორჩილე და თითქმის ხუთი წელიწადი შრომაში და ტანჯვაში ვატარებდი ჩემს დღესა. ამ დროებაში მასწავლეს წერა და კითხვა და იმითი იკმარეს ჩემი გონების განათლება. მხოლოდ ერთმა ჩვენმა მეზობელმა ქალმა, მეკლუცობაში დაბერებულმა, შემიყვარა და ჩუმათ მაძლევდა ხოლმე საკითხავად სამიჯნურო წიგნებსა, რომლებისაც დიდი სალისი მქონდა, მამა ჩემი ბერდებოდა და ჩემი წვრილი დები და ძმები იზრდებოდნენ; ამასთან ჩვენ სარჩოც გვაკლდებოდა, ასე რომ ხან და ხან შიმშილიც გვესტუმრებოდა ხოლმე.

მე შევიქენ თხუთმეტის წლისა. ყოველ დღე სილამაზე მემატებოდა, და როცა წირვაზედ წავიდოდი ხოლმე კვირაობით, ყმაწვილ კაცები სულ მე მეხვეოდნენ და მიჩურჩულებდნენ სასიამოვნო სიტყვებს, რომლისაგანაც პირველად ვწითლდებოდი.—ერთხელ წირვაზედ ერთმა საპატიო მოქალაქის შვილმა ჩამიდო ჯიბეში ბარათი. ამისაგან შინ აღრეული მოველ; გავხსენ ჩუმათ და წავიკითხე:

«მოწყალეო ხელმწიფევ!

შენ მეტად ლამაზი ხარ, და არ შეგფერის, რომ საწყალის ექზეკუტორის ქალი იყო. ბუნება მეტად სულელურად შემცდარა: შენ უნდა დაბადებულ იყავ დედოფლად:რას ფიქრობს შენი სახლობა,როცა რთავს შენისთანა მშჳენიერსა წარსულს საუკუნეს მოდაზედა? შენი კაბა უთუოთ შეკერილია იმ ფარჩიდგან, რომელიც ჰსცმია ბებია შენსა თავის ჯჳარის წერის ღამესა.—მიიღე სარკე ჩემის გულისა და თვეში ხუთი თუმანი შენს მოსართავად.

თუ რომ საღამოს ლოცჳაზედ მიიღებთ ჩემგან ნაკურთხს წყალსა, ეს იქნება ნიშანი, რომ ჩემს თხოვნაზედაც თანახმა ხართ.»

გაჯავრებულმა დავჭმუჭნე ხელში ეს წიგნი. მე ამის მოწერა უფრო არ მეწყინა, როგორც ჩემი ტანისამოსის მასხარათ აგდება. თვალები ცრემლით ამევსო. რასაკვირველია იმ საღამოზედ მე ლოცვაზედ აღარ წავედ, შემდეგ იმან კიდევ იკადნიერა, ორჯელ თუ სამჯერ ჩამიდო ჯიბეში ბარათები, მაგრამ მე მაშინვე იმის ცხვირ წინვე ვხევდი წაუკითხავად. მანამ მე მამაჩემს არ უთხარ, და იმანაც იმ ყმაწვილის მამას, ეს არ მეშვებოდა თავისი სიყჳარულით.—ამ შემთხვევულებამ აუხილა ჩემს მშობლებს თვალები და ეხლა შეამცნიეს, რომ მართლა ლამაზი ვარ და გაფრთხილება მინდა. ერთს მშჳენიერს დღეს მამა ჩემა შემიძახა კაბინეტში, დამსო და მითხრა პირ და პირ:

—საყვარელო შვილო, შენს თავსა მთხოვენ, უნდა გაგათხოვო.

—ვინა? ვჰკითხე მე შიშით.

—დაიცა, დაიცა, ნუ ჩქარობ... ვინა? თქჳენ ქალებმა მაშინვე ეგ უნდა იკითხოთ: ვინა?

—მაშ არ უნდა ვიკითხოთ?

—არა, მარიონ, არა!... მანამ მამა შეუდგება ქალის გათხოვებასა, ის ცდილობს, რომ რიგიანი და სასარგებლო საქმრო უშოვნოს ქალსა. მაშასადამე გონიერმა და ჭკვიანმა ქალმა არ უნდა იკითხოს «ვის

მაძლევთ? არამედ უნდა ჰსთქვას: მე მზათა ვარ!» ამ ორ პასუხთა შორის დიდი განსხვავებაა: ერთი აჩვენებს, რომ შვილს გუნებაში აქვს წინააღმდეგობა და მეორე ამტკიცებს იმის მორჩილებას და პატივის ცემას მამისადმი.—

—მამ საქმროს სახელი უნდა დაფარული იყოს ჩემთვის? უთხარი მე გულის განკალით.

—გამიგონე, შვილო მარიონ, მითხრა ალერსით მამა ჩემმა: მგონია შენ ეჭვი არა გაქვს, რომ მიყვარხარ- მგონია მე უფრო საწყუხრად გამიხდება, რომ შენ გაგაუბედურო. მე მინდოდა შენთვის საქმროდ და კიდეც ვიპოვნე, კაცი დამშვიდებული, პატივცემული, შრომის მოყვარე, რომელსაც არ შეუძლიან დაიკვეხოს მხოლოდ სახით და ჭკუით.....

—ღმერთო დიდებულო! შემწყვიტე მე: გამუზარი!

—ჰო შვილო. გამუზარი, კეთილი კაცი....

—როგორ? ის უნდა გახდეს ჩემი ქმარი?.. ის საზიზღარი, ის მახინჯულა, ის უმსგავსიო?... არასოდეს, არასოდეს მე იმისი ცოლი არ შევიქნები! და დავიწყე ტირილი. მამა ჩემი შეკრთა და პატარა ხანს გაჩუმდა.

—მარიონ, მითხრა იმან ბოლოს: მარიონ, რათა ტირი... გამუზარი ისე მახინჯი არ არის, როგორც წარმოგიდგენია.

—ღმერთო! ის არ არის მახინჯი!....

- ჩუმათ.... მე მჯერა, რომ ლამაზი არ არის... მაგრამ იმან სამკვდრებელი მიიღო, შვილო! ბიძისაგან დარჩენია იმას ორი ათას თუმნამდინ; სოლო ფული ამ დროში ნიშნავს რასმეს თუ არა?... შენ ხომ თითონა ნახე, რამდენჯერ ვიყავით ჩვენ სიღარიბეში. მე მოხუცდი და მომავალი მაშინებს. შენი ნათლიის ფულისთვის კბილი არ გვისლია არც ერთის გაჭირებაში. ეხლა თავნი ერთი ორად გარდიქცა; ეს რიგიანი მზითევია, და თუ გამუზარს უარს ეტყვი, შენ ყოველთვის იპოვნი შენის გემოვნების საქმროსა... შენ თავისუფალი ხარ, შვილო, სრულებით თავისუფალი ხარ ქმრის ამორჩევაში... მაგრამ რა მოელის დედა შენს, შენს დებსა, შენს ძმებსა? ჩემი ეგზეკუტორობის თანამდებობა ან ოქროთაც არა ღირს, მაგრამ გამუზარი ყიდულობს იმ ალაგს ჩემგან ორას თუმნათ, ამ პირობით, თუ რომ იმის ცოლობაზედ თანახმა გახდები შენა.... რასაკვირველია, ეს სიმდიდრე არ

არის, მაგრამ მაინც მე შემეძლება ამ ფულით რიგიანად გავ-ხოვრო დედაშენი თავისის შჳლებითა. ეხლა ჩუენი სახლობის ბედი და უბედობა შენს ხელშია, შენ იცი შჳლო!—

მამიჩემის ნათქუამებმა მე ძალიან შემირყია გული.

—როგორც გნებავსთ, მამავ, მე ისე მოვიქცევი, უთხარი მე: მაგ-რამ კამუზარსა და იმის თხოვნას თავი დავანებოთ. რა საჭიროა ჩემი გათხოვება. მგონია ჩემი მზითევი და დაუღალავი შრომა ჩემი და ჩე-მის დების საკმაო იქნება შენის მოსვენებულობისათჳს. რისთჳს შე-მოვათრიოთ ჩუენს სახლობაში კამუზარი? არა, მამავ, ეგე არა სჯო-ბია?—

—არა, შჳლო, არა! შენი ნათლიის ფულსა სხუა დანიშნულება აქუს. შენ ნება არა გაქუს, და მე უმეტესად, იმ ფულის მოხმარებისა შენი ნათლიის დაუკითხავად.

—მაშ მივწეროთ პარიჟში და ვკითხოთ იმასა. ამაზედ ადვილი რა არის!

—არა შჳლო! მე და დედაშენმა კამუზარს უკვე სიტყვა მივეცით; იმან ფულიც გვასესხა. ახლა ეს ფული უკანვე უნდა დაუბრუნოთ და გამოუცხადოთ რომ შენ არა ხარ თანახმა.

—მაშ უნდა ეშმაკობა რამ მოვიხმაროთ, უთხარი მე.

—რა ეშმაკობა?

—მე მოგახსენებ... მხოლოდ რაც უნდა მოხდეს, მე კამუზარს არ შევირთამ; არასოდეს არ დავირქმევ სახელს «მადამ კამუზარ!»

ამ დროს გაიღო კარი და ჟოზეფ კამუზარმა შემოყო თავი.—მე გაბედვით მივასლოვდი იმას, ჩავღუნე თავი და უთხარ დამშჳდებით:

—შენ გითხოვნია ჩემი ხელი; ეგ მეტად სასიამოვნოა ყმაწჳლი ქალისათჳს. თუ რომ დღეს არ მოგცემ გადაწყვეტილს პასუხსა, მა-გითი ნურას იფიქრებ. თქუენ იცით, რომ ჩემა ნათლიამ გრაფინია ევრემონმა მომცა მზითევი. ჩემი ვალია გაცნობო იმას თქუენი თხოვნა და ველოდეთ იმის თანხმობასა.

კამუზარმა რაღაც სულელური კომპლიმენტი წაიბუტბუტა, რომ-ლისათჳსაც მე გაუკეთე იმას რევერანსი. მამა ჩემსკი წავჩურჩულე, რომ საქმე ჯერ ამაზედ შედგეს და ბოლოს გადევნება მე ვიცი მეთქი.

მე გამოვარდი ჩემს ოთახში და მრავლის შეცთომილებით დავიწყე წიგნის წერა გრაფინიასთან. აი რა მივსწერე:

მოწყალეო ჴელმწიფავ და საყუარელო ნათლიავ.

თექვსმეტის წლის წინათ მალონში მონათლეთ თქუენ მაისში ქალი ღარიბის კაცისა. თქუენი სიკეთე შემოერტყა გარეშე ჩემს აკვანსა და პირველად თქუენი სახელი წარმოსთქო ჩემა ტუჩებმა ჩემს ლოცვაში. თუ რომ თქუენ ოდესმე შეგმთხვევიათ მოგონება თქუენს ნათლულზედ, მე უფრო ხშირად ვცდილობდი წარმომედგინა თქუენი ბრწყინვალე სახე, რომელსაც ვინახავ ჩემს გულში. მე გავიზარდე გრაფინიავ; ყველანი მზოვებენ ლამაზად; ამ გვარათვე ჰფიქრობს ერთი ხამაგელი მწერალი, რომელიც მამა ჩემთან საქმობს- ამას გამოუსახავს სულელს თავში მითხოვოს და ეს ძალიან მაშინებს მე.მარწმუნებენ, რომ მითომ ამ ქორწინებას შეუძლიან შეადგინოს ბედნიერება მთელის ჩუენის სახლობისა; ეს ძნელი დასაჯერია, ამიტომ, რომ ეს კაცმირი იქნება მიზეზი ჩემის უბედურებისა. ამ შეიწროებულ მდგომარეობაში, მოვილტვი თქუენთან, საყუარელო ნათლიავ. ნუ დაზოგამთ ჩემთჳს თქუენს სიკეთესა და მომეცით ნება მოვიდე თქუენთან მამის ჩემით; თან მოვიყვანთ ამ საქმროსაცა; საკმაო იქნება მხოლოდ ნახოთ ესა, რომ მაშინვე უარი ჰბძანოთ ჩემს მითხოვებაზედ. ამაში ყოველი სიმახინჯეა, თითქმის გვარიცა. უღირსი ბედნიერი ვიქნები, თუ რომ შემეძლოს გატარება თქუენთან ჩემის მთელის სიცოცხლისა.

თქუენი უღირსი ნათლული მარიონ დელორმი.

ეს წიგნი გავგზავნეთ ფოსტით, და ორის კვირის შემდეგ მე მივიღე დიდ მშუენიერი პაკეტი, რომელიც მამა ჩემმა გახსნა ჩვენ სახლობასთან და კამუზართან. პაკეთიდგან გადმოვარდა ორმოცი თუმნის ბანკის ბილეთი.—ჩემი ნათლია, აი რას იწერებოდა: «მეტად ჭკუანად მოქცეულხარ, საყუარელო მარიონ, რომ მაცნობე შენი გათხოვება. რასაკვირველია შენი მშობლები ღირსეულად ამოგირჩევდნენ საქმროს, რომელსაც უნდა მიანდო შენი ბედი. მაგრამ, შვილო, ქორწინება დიდი საქმია; ამისათჳს მე მოხარული ვიქნები, რომ გნახოთ შენცა და შენი საქმროცა, მოსაცემად რამდენისამე კეთილის დარიგებისა. გიგზავნი გზის ხარჯსა. მამა შენიც თან გამოიყოლიეთ; ჯუარის წერა შეგიძლიანთ მერმეც, როცა აქედგან დაბრუნდებით. უთუოთ მოდი ჩემო მარიონ მისაღებად ჩემგან საგვირგვინოს საჩუქრისა, მანამდისინ მიიღე კოცნა შენის ნათლიისა

გრაფინია კვრემონისა» —

მე სისარულით შევიშალე; გამუზარიც, რომელიც ვერ მიხჳდა ჩემს ეშმაკობას, აგრეთვე აცხადებდა თავის კმაყოფილებასა.

მეორეს დღესვე სამნივ მოვემზადენით პარიჟში წასასვლელად. ჩუჱნი მგზავრობა წყლით იყო. დედა ჩემთან და ჩემ ძმებთან გამოსალმებამ მეტად დამანაღვლიანა; თითქოს გული მეუბნებოდა, რომ მე პარიჟიდგან აღარ დავბრუნდები და ბევრს ამათგანს ვეღარა ვნახავ. გამუზარი გონივრულად სარგებლობდა თავის ბიძის ფულებითა: იმან ხშირად მოუმატა ხმასა და მამაჩემსაც მიიპატიჟებდა ხოლმე; ესლა გზაზედაც არას აკლებდნენ; ამისათჳს მე ახლოს არ მივიკარებდი ხოლმე გამუზარსა. ნავში, რომლითაც მივცურავდით, იქნებოდნენ ოცდა ათამდინ მგზავრნი სხჳა და სხჳა ჯურისა. სადამოზედ ჩუჱნ მივედით ქალაქს ეპერნეში, სადაც აკეთებენ საუკეთესო შამპანსკებსა, და ჩამოვხტით ტრასტირში, სადაც ორი ოთახი ძლივს ვიშოვნეთ. ჩუჱნ ვახშმის ჭამა ძალიან გვინდოდა, მაგრამ ზალა სავსე იყო ხალხითა და სტოლები სულ ყმაწვილ კაცებს პარიჟანელებს ეჭირათ, რომლებითაც მოეპატიჟნათ იმ ქალაქის მოხელენი. ჩუჱნ მოვიკუნტენით ზალის კუთხეში და როგორც იყო დავნაყრდით საშუალ ყაყანისა ამ ყმაწვილ კაცებისა, რომელთაც მოსწყდებოდათ შამპანსკი და უზედობდნენ მოუღალავად. მაგრამ ჩქარა ამათ ლაპარაკმა მიიზიდა ჩემი ყურადღება.

—მე გარწმუნებ, რომ მეფე ლუდოვიკს მეცამეტეს არ მიეტევება ამ საქმეში! ჰსთქუა ერთმა და დაარტყა სტოლს მუშტი: მართალი ბირონი არ არის დამნაშავე.

—აბა რას ამბობ! წამოიძახა მეორემ: ბირონი მამულის მოღალატია: განა იმას არ უპოვნეს თავისის ხელით მოწერილი შეკრულობა, რომლითაც ჰპირდებოდა ისპანიასა გადუდგეს თავის მამულსა ფრანციასა?

—მართალია, მაგრამ იმისი მამა ერთგულათ ემსახურებოდა მეფესა, რომელსაც თითქმის იმან მოუპოვა გვირგვინი და ჰსწორეთ ამ ქალაქის აღების დროს მოკლეს ის აქ. ამის გულისათჳს მაინც არ უნდა ექმნა.

—მე რომ მეფე ლუდოვიკის ალაგს ვიყო, ჰსთქუა მესამემ: არათუ მარტო მართალ ბირონს, არამედ ყველა იტალიანელებს ჩამოვახრჩობინებდი! ეგ შეჩვენებულნი უცხო ხალხნი, ჰფლევენ სახელმწიფოს

დაუზოგავად, და სმენ სისხლის ოფლსა ღარიბის ხალხისას!... დიდი დედოფალი (მეფის დედა) ეკატერინე მედიჩი რადგანაც იტალიანკა არის, ამიტომ ყველას თავის ქუეყნისას დუქანში (სასახლეში) ინახავს და ივარავს.—ბირონის ცოლი ელეონორა რაებსა ჭსნადის! თვალ მარგალიტით სკივრები დაუმსია იმას, რომელიც დედოფალსაც არა აქუს....

—უფალნო! ჰსთქუა ერთმა გარეგათ ნაცმულმა ყმაწჳლმა კაცმა, რა წამოდგა სტოლიდგან: ყველანი გარეგათ ჰსჯით, მაგრამ სუფრაზედ მე მგონია უფრო სასიამოვნო სმა, სუმრობა, ოხუნჯობა, სიყვარულზედ ლაპარაკი, ვიდრე პოლიტიკაზედ. ამისათჳს გთხოვთ დაბძანდეთ და ჩემებრ ყველამ მიირთოთ სადღეგრძელო ჩუენის საყუარლებისა!

—ღმერთმა ადღეგრძელოსთ ჩუენი საყუარლები! დაიძახეს ყველამ ერთად.

—ვიდრე თქუენ მოგზაურობდით მაღალ პოლიტიკურის სამფლობელოში, განაგრძელა იმავე ყმაწჳლმა კაცმა: თქუენ ვერ შეამცნიეთ აქა, ამ სტოლის სიახლოვეს, უმშუენიერესი ანგელოზი სიყვარულისა და წყვილი საუკეთესო ალმასის შავნი თვალნი, რომელნიცა ბნელის კუთხიდგან გვინათებენ.—ამასთან ამ ყმაწვილმა გასწია სკამი და მოვიდა ჩუენს სტოლთან. მე შემრცხვა და გავწითლდი. კამუზარმა გააღო თავისი დიდი პირი და შეჰსცქეროდა; მამაჩემმაც არ იცოდა რა ეთქუა, ანუ რა ექმნა. ალტაცების ჩურჩული მოისმოდა ყმაწვილ კაცებში; ყველანი მე მიყურებდნენ. ამ ყმაწჳლმა კაცმა საყვარლად დამიკრა მე თავი და მითხრა თავაზით:

—დამშჳდდით, ცის ანგელოზო, თქუენ ჰპოვებთ ჩუენ შორის მხოლოდ პატივისცემას და მართებულებას. გსურსთ იცოდეთ ვინ არიან ეს ხალხნი? ესენი გახლავან ამ ქალაქის სუდის სოვეტნიკები, რომელნიც მოვიპატიჟეთ მე და ჩემა მეგობარმა სორლენმა ერთის საქმის გამო, რომლისათჳსაც მე აქ მოველი. ესენი ესრედ კეთილშობილნი იყვნენ, რომ არ წამაგებინეს ეს საქმე. მე ადვოკატი ვარ, სახელად დებარო: ხვალ დავბრუნდები პარიჟში და გავახარებ გრაფინია ევრემონს, რომ იმის დავა მოვიგე.

—გრაფინია ევრემონს? შეჰყვირეთ ჩუენ სამთავა.

—დიაღ, გრაფინიას, მშუენიერს და კეკლუცს ადამიანს, რომელიც

ჩუ̂ენდა სამწუხაროდ, შედის სიბერეში. იმას ექვსი ათასის თუმნის მამული ექმნება ამ მხარესა... რაზედ გაიკვირეთ თქუ̂ენა? ხომ არა ჰპოვებთ, რომ ისე პატარა ვარ ჯერა, რომ დავის მოგება მე არ შემეძლოს? —

—უკაცრავოდ, უთხარი მე აღრეულის ხმით: გრაფინია ჩემი ნათლია არის და მე იმასთან მივდივარ პარიჟში.

—ოჰ, რა ბედნიერი ვარ! ის შენი ნათლიაა? მაშასადამე ყოველ წამს იმასთან შემიძლიან გნახო ხოლმე?... მხოლოდ მე შემხუ̂დება ამისთანა ბედნიერი შემთხვეულება!... მეც ნავით წამოვალ. ამან წამავლო ხელებში და აღტაცებით დამიწყო კოცნა.

—ეე! შეჰყვირა კამუზარმა და დაუჭირა მაჯა დებაროსა.

—ეეო? რას ამბობ?... ვინ არის ესა? მკითხა იმან, რა აავლო თვალი თავით ფეხამდის კამუზარსა.

—ეს გახლავს საქმრო ჩემის ქალისა, უ. კამუზარი, უპასუხა მამა ჩემმა, და მიგვყავს გრაფინიასთან საჩვენებლად, რომ თანხმობა მოგვცეს ჯუ̂არის წერისა.

—უკაცრაოთ!... თქუ̂ენ მამა ყოფილხართ ამ მშუ̂ენიერის ქალისა და ეს წოდება გაძლევსთ ნებასა ჩუ̂ენგან პატივის ცემისას. ეს უფალიკი... მართლად ღირსია, რომ საჩუ̂ენებლად მიგყავთ.

მოისმა სტოლიდგან ხარხარის ხმა ყმაწვილებისა.

—რას იცინით? განა მე სასაცილო ვთქვი რამე? თუ რომ კამუზარი სრული მშუ̂ენიერება არ არის, ამას სახე კაცისა მაინცა აქუ̂ს, ეს უარს არ გვეტყვის დალიოს ჩუ̂ენთან სადღეგრძელო თავის საცოლოს მშუ̂ენებისა.

კამუზარს მეტად იამა ეს მიპატიჟება; მამა ჩემსაც მოართვეს შამპანსკი. მეც მიპატიჟებდნენ იმათ სტოლზედ, მაგრამ მე უარი უთხარი და ვალად ვრაცხე წავსულიყავ ჩემთვის მომზადებულს ოთახში. დებარომ გამაცილა ზალის კარებამდის.

—მე არა მინახამს რა თქუ̂ენზედ მშუ̂ენიერი! წამჩურჩულა იმან.

—მოწყალეო ხელმწიფევ!...

—თუ ღმერთი გწამს, ნუ ჯავრობთ. სრულებით არ შეიძლება, რომ გრაფინია ქვრემონი თანასმა გახდეს...

—მართლა ბძანებთ? დავატანე მე საჩქაროთ: მეც მაგის იმედი მაქუ̂ს... და რა თავი დაუკარ, გავედი ზალიდგან.

მთელი ღამე სვეს იმ უფლებმა. ადვოკატმა დაათრო გამუზარი, ასე რომ წასვლის დროს მეორეს დღეს, მკვდარივით გადმოიტანეს ისი ნავზედა და დააწვინეს გაშლილ ბალასზედ.

როდესაც დებარო მოვიდა თავის დასაკვრელად, იმას უნდოდა გუშინდელივით თავისუფლად ლაპარაკი ჩემთან, მაგრამ მე ცივად ვუპასუხე და ვაგრძნობინე, რომ უნდა მომექცეს თუმცა ისე არა, როგორც დიდი კაცის შვილს, მაგრამ როგორც პატიოსანს კეთილგონიერს ქალსა. ის შეკრთა და გაბრუნდა; იმან დაუწყო ლაპარაკი თავის მეგობარს სორლენსა. მამაჩემს იამა ჩემი ქცევა და ბოდიში მომთხოვა გუშინდელს ლოთობაში. მე დრო მქონდა იმ ყმაწვილი კაცების დაშინჯვისა. სორლენი იქნებოდა ოცდა ათის წლისა და თავი ეჭირა ისე, როგორც შეჰფერის დამჯდარს ჭკვიან კაცსა. ადვოკატი დებარო უფრო ყმაწვილი და ლამაზი იყო; ის იყო უკანასკნელს მოდაზედ ჩაცმული, რომელიც არ შეჰფეროდა იმის თანამდებობასა. დიდრონი ფირუზის თვალნი უცინოდნენ იმას ისე, როგორც ტუჩები; ის ატარებდა პატარა წვერსა, როგორც ყოველნი დიდ კაცები იმ დროისა.— მე ჯავრი მომდიოდა, რომ ის აღარ მომეკარა მე; ის აღარცკი იხედებოდა განზე ჩემკენ, თითქოს სხვასთან ლაპარაკში უფრო კმაყოფილებას პოულობდაო. ერთის სიტყვით, ის ისე იქცეოდა, რომ თითქოს მე ქვეყანაზედ აღარა ვარ და ჩემი სილამაზე აღარა ღირს შრომად, მეორეთ იმის მოსვლისა ჩემკენ. მეც გაჯავრებულმა ავიღე რაღაც ლოცვების წიგნი და მთელი დღე შიგ ჩავღუნე თავი, თუმცა არასა ვკითხულობდი.

მეორეს დღეს დებარო ნავზედ აღარ იყო, ხოლო იმისი ამხანაგი სორლენი იდგა მოაჯირთან და გადასცქეროდა წყალსა დაფიქრებული, თითქოს რაღასაც ლექსსა სთხუზავდა გუნებაში. ბოლოს შევიტყე, რომ მართლად ის უცხო ლექსების მთხზველი ყოფილა. მე მივახლოვდი იმას.—თქვენ მარტო რათ დარჩენილხართ? ვჰკითხე მე.

—რა ჰპოვეთ იმ საგანგებო წიგნში, რომ მთელი დღე ხელიდგან აღარ გაუშვით? მკითხა ახლა იმან.

—დებარო ჯავრობს ჩემზედ მაგისთჳს?

—იმას რა ნება აქვს გაჯავრებისა... მაგრამ, თუ რომ ქალსა ენახა იმას თქვენი აღრეულება, იმას სრულებით არ მოუვიდოდა სულელური ფიქრი ხმელეთით წასვლა. ის მეტად შეჰსწუხდება თავის მეც-

თომილებაზედ.—

—რა შეცთომილებაზედ?

—დღეს იმან წარმოიდგინა, რომ თქჳენ განგიძრახამთ არ მიი-ღოთ იმისი ხარჯი სიყჳარულისა.

—ჰსწორეთ უფიქრია: მანდ შეცთომილება არა აქჳს რა იმას, უთ-ხარი მე.

—მაშ რას ნიშნამს თქჳენი გამოკითხვა? თუ რომ მეც შემცდარი ვარ, მაშ დებარო გონიერად მოიქცა, რომ აქედგან გაექცა თქჳენს მშჳენიერებას, რომელიც ემუქრებოდა იმის გულსა.

—გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! თითქოს ერთს წამზედ შეიძლება სიყჳარული, ერთის შემოხედულობით...

—სიყჳარული ლიმონის ხე ხომ არ არის, რომ დიდ ხანს უნდო-დეს ლოლიობა, მითხრა იმან: ქალში და კაცში სიყჳარული იბადება ჭკუის შეუწევნელობით, ანაზდეულად. ერთი შემოხედულობა გვაბამს ჩჳენ, ერთი ღიმილი ყველას გვაბედვინებს.—

—დებარომ არ უნდა შემრაცხოს დამნაშავედ გაუზდელობაში. გუ-შინ, ჩემკენ ის რომ მოდიოდა, მე წიგნი ავიღე ჴელში, ამიტომ რომ.... რა მეც თქჳენსავით ვიფიქრე, რომ გულს შეუძლიან უეცა-რი წარტაცება, მე მეშინოდა...

—რომ იმის შემოხედულებას არ დაები?... დაუმატა იმან.

—იქნება; მაგრამ ვიდრე ჩემი ნათლია გრაფინია ევრემონი არ გადაჰსწყვეტს, მე არ შემიძლიან ვსთქჳა, რომ ვეკუთვნი ჩემს თავსა; თუ რომ იმისი გადაწყვეტა თანახმა იქნება ჩემს სურვილთან, მაშინ მე ვისარგებლებ ჩემის თავისუფლებით, და როდესაც საყჳარელი ყმა-წვილი კაცი ვინმე მოვა ჩემთან სალაპარაკოდ, გარწმუნებ, მე მაშინ აღარ გამოვაცხადებ გუშინდელს სურვილს წიგნის კითხვისადმი.

—ოჰ! დებარო იქნებოდა ცაში, თუ რომ იმას ეხლა ესმოდეს თქჳენი ნათქჳამები.—

—მე გაძლევ ნებას უამბოთ იმას ესენი, უთხარ მე.

—რატომ თქჳენ თჳთონ არა გსურთ გაახაროთ ის დღეს სადა-მოზედ? მითხრა იმან.

—მე სად ვნახამ იმას?—

—ორ საათს უკან ჩჳენ მივატანთ ქალაქს მოს; ის იქ იქნება; მე შეგარიგებთ. ჩემის მხრით ეს იქნება დიდი ერთგულება, ამიტომ

რომ მე თჳთონ მეტად მივსლოვდი ალსა, რომ არა ვგრძნობდე, როგორ ჩქარა მედებს ის.—მივედით მოში. სორლენი გადმოსცა წყლის ნაპირს და მე ვნახე, რომ დებარო მაშინვე მოვიდა იმასთან. ორივე ერთს წუთს გაჰქრნენ. იმ ღამეს ვახშმათ აღარ მინახვანან ისინი ტრახტირში. მე ჯავრის ცრემლი ჩამდიოდა გულში; ამან თავიც ამატკია. მეტრახტირის ცოლმა მთხოვა, რომ მოვისვენო ცალკე ოთახში, რომელიც იმას მოემზადებინა ჩემთჳს. მე დავუმადლე იმას და მოვისურვე იმისთჳს ღამე მშვიდობისა, რომ წასულიყო. მაგრამ იმან მითომ ვერ გაიგო, და გააღო ბალკონის კარები.

—თუ რომ გინდათ ისარგებლოთ ამ მშჳვენიერის მთვარიანის და თბილის ღამით, მითხრა იმან: და გაისეირნოთ ბაღში, თქჳენი თავის ტკივილი გაივლის. თქჳენ უშიშრად შეგიძლიანთ ისეირნოთ, ბაღის კედლები სამი ოთხი ადლის სიმაღლეა. თუ რომ ღამე მოგინდები, აი ზარები, დააწკარუნე და დამიძახე... მე ამ ოთახის გვერდით ვიწვები.

—ძალიან კარგი! უთხარი მე.

სახლის პატრონი გავიდა. მე გაველ ბალკონზედ და ჩავიარე პატარას სეივანში, რომელიც ორივეს მხრით ყვავილით იყო მოფენილი. უეცრად მომესმა ჩემს ახლოს შრიალი. შიშის თრთოლვამ დამიარა ტანში. გარდისხნენ ფოთოლნი და დებარო დაეცა ჩემს ფერხთადმი.

—ღმერთო! შევჰყვირე მე: შენ აქა ხარ?

—ჰო, ჩემო მარიონ! შენმა სიყვარულმა აღარსად გამაძლებინა. სორლენმა მითხრა შენი გრძნობა, რომელიც შეადგენს ჩემს ბედნიერებას. თუ ღმერთი გწამს, მარიონ, მიბოძე შენი მშჳვენიერი ჴელი შევეხო ჩემის აღგზნებულის ბაგით. მოაქციეთ ჩემკენ ეგ გრძნეული თვალნი; მაგათ დამკოდეს მე, მაგათ დამწვეს განუქრობელის ალით. შენ გაძლევ ჩემს გულს, ჩემს ქონებას და ჩემს სიცოცხლეს... შემომხედე: მე ოც და ხუთის წლისა ვარ, ადვოკატობა მივიღე იმიტომ, რომ არ მეწყენინებინა მამიჩემისათჳს, რომელიც პრეზიდენტია და რომლის შემდგომაც დამრჩება ოთხი ათასი თუმანი შემოსავალი წელიწადში... გინდა ამიყვანო ესე, როგორიცა ვარ, და როგორც მხედავ? ესე იგი: ყმაწვილი, მდიდარი, შეყვარებული და ურწმუნო?—შენ ჩემთან განატარებ ოქროს სიცოცხლეს; შენ მარად ვარდის ფურცლებზედ გატარებ; მწუხარება არასოდეს არ მოგეკარება. შენ მეტად

ღამაზი ხარ, რომ ეჭვი გქონდეს ჩემს ერთგულებაზედ და დაუდგრომილობაზედ. მე შენ მიყვარხარ, მარიონ, და შენ უნდა კითხულობდე ჩემს თვალებში, რომ ეს სიყჳარული მოტყუება არ არის.—მე მინდა, რომ ყველა ქალს შემოვანატრვინო შენი ბედი.

ყოველი იმისი სიტყჳა ხვდებოდა სიმებს ჩემის გულისას და მიღვიძებდა მიდრეკილებას კეკლუცობისადმი; მე ვგრძნობდი, რომ გაიღვიძა ჩემს გულში მთვლემარე ამაო დიდების ხმამა; მე სიტკბოებით წარმოვიდგინე ბრწყინვალე სიცოცხლის გზა, რომელიც გადმიშალა დებარომ თვალ წინა.

—მე მწამს შენი სიყჳარული, უთხარი მე: მე გერწმუნები, მაგრამ დრო არის წასვიდე აქედგან. ჩჳენ შევხჳდებით ერთმანეთს პარიჟში ჩემს ნათლიასთან: იქ მოვილაპარაკოთ დანარჩენი.

—შენს ნათლიასთან! შეჰყვირა იმან: მაგ იმედს მაძლევ!... შენ იქ გარე შემორტყმული იქნები სხვებით; იქ სამასხარო წესი ქჳეყნიერებისა იძულებულ მყოფს გულზედ ხელი მივიდო ხოლმე, რომ არ მიცემდეს... სჯობს მითხრა, რომ ესლავ ხელი აგიღო შენზედ.—

—ჩემა ნათლიამ იცის მიდრეკილება ჩემი კამუზართან; ის უეჭველად დაარღვევს ქორწინებას, რომელსაც მიმზადებდა მამაჩემი; ხოლო როდესაც მე თავისუფალი ვიქნები, შენ შეგიძლიან უშიშრად მოსვიდე გრაფინიასთან; მე მივანდობ იმას ჩემს ბედსა, და თუ ის მოგათხოვებს ჩემს თავსა, დარწმუნებული იყავით, რომ მე უარს არ ვიტყვი.—

—ოჰ, როგორ ეჩქარები, ჩემო სიყჳარულო! მითხრა დებარომ. მე ვხედამ, თუმცა ცოტა გვიან. რომ ჩჳენ ვერ მივხჳდით ერთმანეთის ლაპარაკს. მე ვარ დამნაშავე: მე უნდა ცოტა გამოცხადებით მეთქო...—არა, ჩემო მშჳენიერო, არა; მე არა ვჰთხოვ შენს თავსა შენს ნათლიასა... მე ისე მიყვარხარ, რომ არასოდეს არ გავბედამ შენზედ ჯჳარის წერასა.

—რას მეუბნები?—ჯჳარის წერა უფრო სიმტკიცე არ არის სიყვარულისა?—

—ქორწინება ეშმაკური განწესებაა, მითხრა იმან: ეგ არის საფლავი სიტკბოებისა და მაქრობელი ბედნიერებისა!.... მე მეგონა შენ უმეტესი გაგება გაქჳს ამ ქჳეყნიერებაზედ. სიყჳარული თავისუფლად დაბადებულა, ბოლოც თავისუფალი უნდა ჰქონდეს, ჩემო ანგე-

ლოზო. განა იქნება რამ იმაზედ უტუტუცესი და უსამაგელესი, რო-გორც ორი ადამიანის ბედის გადაბმა ერთმანერთზედ განუწყვეტე-ლის ბორკილით? ორივე უნდა გვნესოდნენ, ორნივ უნდა ცდილობ-დნენ მემუხრონ სიმძიმე იმისი და არ შეუძლიანთ თავი აქეთ იქით გაჯსძრან!.... ამ დაწესებაში რა ჭკუა ურევია კაცისა?—ცოლის სიყვა-რული ყაირათის სიყჳარულია და სხჳა არაფერი!—

მრისხანების ალმა ამტკრიცა ამ სიტყვების გაგონებაზედ. მაგრამ მე თავი შევიმაგრე და დამშჳდებით უთხარ:

—მიუტევეთ ჩემს სიყმაწვილეს და გონების გაუნათლებლობას. რო-გორც დაიწყეთ, მე მაშინვე უნდა მიმხჳდარვიყავ, რა ბოლოც ექნე-ბოდა თქჳენს სიყჳარულსა?... მშჳდობით ბძანდებოდეთ!

—როგორ?... ნუ თუ გაქჳს მაგთენი მხნეობა, რომ ამ გვარად დამტოვო?—

—რატომ არ მექნება? უთხარი მე: ერთი ფესი რომ გაუფრთხი-ლებლივ წინ წადგა, ნუ თუ ტყუილმა სირცხვილმა უნდა დაგვიმალოს უკანვე გადმოდგომა? და რა დაუტევე ადვოკატი განცჳფრებაში, მე წამოველ ბალკონისაკენ.

დებარო გამომიდგა.—მარიონ! მეგობრულათ მაინც განვშორდეთ ერთმანერთსა, მითხრა იმან: მეტადრე არა უნდარა უთხრა შენს ნა-თლიასა, რაც ჩუჳენში გაიარა.

—მართალია, ეგ არ არის სათქმელი, უთხარ მე, და ამოველ ბა-ლკონზედ.

—თუნდა დავნაძლევდეთ, მარიონ, მითხრა იმან, რომ ექჳს თვე-ზედ ჩემი ჯსწავლა მოგაქცევს შენცა. ესე იგი ქორწინების გამო, შენც ისეთი თავისუფალი ფიქრები გექნება, როგორც მე?—

—არასოდეს!

—მაინც დავნაძლევდეთ...

—რაზედ?

—ბრილიანტის ბეროზედ, ფასით ორი ათასის თუმნისა, დასამ-შჳენებლად შენის ლამაზის თავისა.

—მე მაგოდენი სანაძლეო არ შემიძლიან დავიჭირო.

—მე ვიჭერ ამ ბეროს შენს ერთს კოცნასთან, ჩემო სულო.

—რას ბძანებ?... ეგ სანაძლეო თანასწორი არ არის. მე იძულე-ბული ვიქნები ძალათ წაგაგო, რომ არ გაგცარცვო.

—მართალია... მაშ ორ წელიწადს ნუ მიღალატებ, როდესაც ჩემი საყუარელი გახდე.—

—ოჰ, ეგ ბევრი იქნება, თუ რომ შენ ჰფიქრობ, რომ უეჭუელად მიმიზიდამს შენი ჰსწავლა.

—მაშ ერთი წელიწადი?

—კარგი! გენაძლევები; მაგრამ ცვლილება არ იყოს.

—მე ისე ჰსწორე ვიქნები, როგორც ჩამოსხმული წმინდა ოქრო, მითხრა დებარომ.

—არ დაგავიწყდეს, ჩუენ ვნახოთ ხოლმე ერთმანერთი მხოლოდ ჩემის ნათლიისას.

—კარგი. შენც გახსომდეს, მარიონ, რომელ დღეს დავნაძლევდით: დღეს ოც და ხუთია აპრილისა. ჴელი აქ მომეც, ტურფავ!

მე ჩავუშვირე ჴელი ბალკონიდგან. იმან ექუსჯერ მაკოცა; ძლივს გამოვგლიჯე ჴელი და შევარდი ჩემს ოთახში და მოუჴურე მაგრა კარი.

მეორეს დილით ხუთ საათზედ გავედით. დებარო თავის ამხანაგით ხმელეთით წასულიყო.—მთელი დღე მე ფიქრით გავატარე. ჩუენ მივახლოვდით დედა ქალაქს. ჩქარა ვნახავ პარიჟსა, სადგურსა განცხრომისას და კმაყოფილებისასა. მკითხავის ნათქვამი ჩემს ბედზედ მომივიდა თავში. მე ვარ ლამაზი და ყმაწვილი: რატომ არ გამომიჩნდებიან თაყვანის მცემლები? ბევრნი ამაღლებულან დაბალის ოჯახიდგან. ამ ქუეყანაში სიხარული, ბედნიერება, სიმდიდრე ეკუთვნისთ იმათ, ვინც იცის იმათი შეძინება. თუ რომ გზა ბედნიერებისა გაბმულია დაბრკოლებით, რატომ მეკი ვერ შევმუსრამ ამ დაბრკოლებას? მე გავდივარ იმ ბრწყინვალე ასპარეზზედ, სადაც ჯილდო ეძლევათ გულადობისა და გამბედაობისათჳს. პარიჟი—ცაა პატივის მოყუარეთათჳს;—ოჰ, ჩემო ბედის წერავ, ჩემო იღბალო,—შემეწიენით!

ზრქელი კვამლი ამოდის აქა იქ. პირველად გამოჩნდა სამრეკლო პარიჟის წმიდა ღუთის მშობლის ეკკლესიისა; შემდეგ გამოჩნდნენ თავები შენობისა, კოშკებისა, საყდრებისა, რომელნიც თვალ მიუწდომლად იფინებოდნენ. მე აღტაცებაში მოვედ: მე განცჳფრებით ვუყურებ ამ ქვის ქუეყანას, ამ კაცების სკრას, რომლის ბზუილიც მოდის ჩუენსამდინ. ნუ თუ ეს სიზმარი არ არის? ნუ თუ ეს ყრუ ხმიერება არის ხმა დიდის ქალაქისა, სადაც უნდა შევგიყვანოს ამ დიდმა მშუენიერმა მდინარემ სენამ?... ჩუენ განვლეთ მრავალი შე-

სობანი, მოუბრუნდით მარჯვნით შატლეს, ამ ძველს მეფეების სასახ-ლეს, ეხლავე სამყრობილედ გადაქცეულს მდაბალის ხალხისათჳს, და შევხედეთ მახლობლად ახალის ხიდისა. გრევსკის მეიდნიდგან დაწყო-ბილი, ჩუჱნ ვხედამთ, რომ წყლის ორივეს ნაპირზედ იკრიფება მრა-ვალი ხალხი, რომელიც უფრო მოგროვდა იქ, სადაც ჩუჱნი ნავი შედგა. ჩუჱნგანნი ვერავინ ვერა ჰხედავს ნავიდგან გადმოსვლას. მხო-ლოდ პატრონი გადმოვიდა და შეერია ხალხში ამბის შესატყობლად. ის ჩქარა მოვიდა ჩუჱნთან შეშფოთებულის სახით.

—რა ამბავია? ჰკითხავენ მგზავრები.

—გუშინ მოუკლამთ მარშალი ბირონი ლუვრში! გვითხრა იმან. ყარაულებს წუხელის ჩუმათ დაუმარხავთ ეკკლესიაში. ხალხს შეუტყვია სადაც დაუმარხავთ, ამოუღიათ მკუდარი და უთრევიათ ქუჩებში; ეხლა უნდა ჩამოჰკიდონ სახრჩობელაზედ, რომელსაც ჰხედავთ ახალ ხიდ-ზედ.—მე ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ეხლა მომაგონდა ყმაწვილი კაცების ლაპარაკი ეპერნეში კასმამზედ.

მარშალი ბირონი იყო შვილი ფლორენტინსკის დიპლომატისა. როდესაც მარია მედიჩი გამოთხოვდა ფრანციაში მეფეზედ, იმას თან მოჰყუა ბირონი პარიჟში. ამის ცოლი ელეონორა მდაბლის ოჯახის ჩამომავლობისა იყო მარია მედიჩის ძიძის ქალი, რომელიც ძალიან უყუარდა იმას და მოინდომა იმის წამოყუანაც პარიჟში. აქ მიათხოვა ეს მარიამ ერთს თავის კამერიუნკერს ბირონსა. ამ ორთ ასეთი ძლიერი მოქმედება ჰქონდათ მარია დედოფალზედ, რომ თჳთ დიდმა მეფემ გენრიხოს მეოთხემ ვერა გასწყორა იმათზედ. ბევრჯელ ელეონორამ თავისი ენით წაჰკიდა მეფე და დედოფალი.

ერთხელ გენრიხოსმა უთხრა რამდენსამე დიდ კაცთ ლუვრის ბა-ღში:

—ჰხედავთ იმ კაცს? იმან მიიშვირა ხელი ბირონისაკენ: ჩემის სი-კუდილის შემდეგ ეგ იქნება მმართებელი ფრანციისა, მაგრამ მაინცა საქმეები უკეთესად არ წავლენ.—

მართლაც, როდესაც რავალიაკმა მოკლა ხანჯლით მეფე გენრიხო-სი, იტალიანელებმა მაღლა აიწიეს თავი. მეფე მოკლეს მაისის თო-თხმეტს, და პირველს მარიამობის თჳსას ხუთი მილლიონი მოიპარეს ბასტილიის (სამყრობილე) ძირის სარდაფიდგან. იმის წინა ღამე ბი-რონმა წაავლო ქაღალდში სამოცი ათასი ოქრო.—

იმისი ცოლი ელეონორაც ზრუნავდა სკივრების ავსებას. ის ჭყავდა ადგილებს საეროს თუ საბეროს თანამდებობისას. როგორც ამბობენ, ის მზათ იყო თავის თავიც გაეყიდნა. ყოველ წამს დედოფალი მარია მედიჩი ისე ავსებდა ბირონს მოულოდნელის მოწყალებით, რომ ხშირად სასაცილოც შეიქნებოდა ხოლმე.—მთელმა სასახლის კარის მოხელეთ გაიხარხარეს იმ დღეს, როდესაც იმ იტალიანელმა მიიღო წოდება ფრანციის მარშლობისა: ბირონი არასოდეს არა ყოფილა უბრალო ომებშიაცა. ამის გულისთჳს დედოფალი თავის შვილებსაც შემოჭსწყრა. ყველგან აღრეულება იყო. მღელვარება აზნაურების გარდავიდა მოქალაქებთან და ამათგან მდაბალ ხალხთან. ყველა მხრიდგან მუქარება ისმოდა.—

დედოფალიც ჰხედავდა ამას. ამან ბევრჯელ ურჩია ელეონორას წასულიყო თავის ქუეყანაში სიმდიდრით და ქმრით, მაგრამ ეს უგუნური არ ერწმუნებოდა შიშსა და უპასუხებდა, რომ მეფე ლუდოვიკი არასოდეს ისე ალერსიანათ არა ყოფილა ამის ქმართან, როგორც ეხლაო.

—ნუ ენდობით მაგას, უთხრა მარია მედიჩიმ: მეფე ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს!

მართლაც, 24-ს აპრილს, რაკი ლუდოვიკმა გამოიღვიძა, მიჰსცა ბძანება მარშლის ბირონის დაჭერისა. ეს იმ დილით ჩვეულებრივ მიდიოდა სოვეტში და შეხჳდა სასახლის ეზოში გვარდიის კაპიტანს ვიტრის, რომელმაც ბრიყვულად უბრძანა მას ხიყარის და მიჰსცეს თავისი ხმალი. მარშალი არ ანებებდა. ამ დროს გავარდა დამბაჩა და მარშალი წაიქცა. დედოფლის ოთახში გაიღო ფანჯარა, და თჳთონ მარია მედიჩიმ შიშით იკითხა: რა მოხდაო?

—მარშალი მოკჳდა, უპასუხა ვიტრიმ.

—საცოდავი! შეჰყჳრა დედოფალმა, რა დაინახა მკჳდარი: შენ მოკალი?

—დიახ.

—ვინ გიბძანა?

—მეფემ.—

საღამომდის მკჳდარი იქ ეგდო და ყარაული ეყენა. იმ ღამეს ჩუმათ დამარხეს ეკლესიაში; მაგრამ ხალხმა მიაგნო იმის საფლავს, საიდგანაც ამოიღეს და ხუთჯერ აათრიეს და ჩამოათრიეს სასახლის გა-

რეშემო. შემდეგ ჩამოიტანეს ახალ ხიდთან ჩამოსაკიდებლად. ჰსწორეთ ამ დროს მოვედით ჩუენც ახალ ხიდთან ნავით. მე გული და მუხლები მიკანკალებდა შიშით. ხუთი ექუსი კაცი შემოდგნენ ჩუენს ნავზედ, საიდგანაც ჰსჩანდა სახრჩობელა. მეჴდარი ჩამოჰკიდეს თავქვე, ვიღაც შემურვილი და სისხლში მოსვრილი კაცი გრძელის დანით ატყავებდა საცოდავს. მე გული მიღონდებოდა.

—ბარაქალდი, პიკარ! უვიროდა ხალხი: ერთხელ კინაღამ მარშალმა ჯოხ ქვეშ მოგაკვლევინა თავის ლაქიებსა; ეხლა დროა ჯავრი ამოიყარო.—

გამხნევებულმა ხალხის წაქეზებით, პიკარმა გაუჭრა მეჴდარს მკერდი, ამოართო გული და დადო გახალებულ მაყალზედ. რა პატარა მოიწო, პიკარმა გასჭრა ის, თჳთონ პირველი ნაჭერი შეჭამა და დანარჩენი უთავაზა თავის ამხანაგებს.—მე გული შემიღონდა, ვიდრე გათავდებოდა ამათი მხეცური ნადიმი. როდესაც გონზედ მოველ, ჩუენს ნავზედ სამი ოთხი ადამიანის მეტი აღარავინ არ იყო. რომელნიც ცდილობდნენ ჩემს მობრუნებას. რა თვალი გავახილე, საწყალი გამყზარი ტირილით მომვარდა და უნდოდა მკოცნა, მაგრამ მე განვათავისუფლე ამ შრომისაგან.

ჩუენ გადმოვედით ნავიდგან. გამყზარმა აიღო ბარგი. ჩუენს კითხუაზედ მივასწავლეს გრაფინიას სახლი. ძლივს გავაღებინეთ შვეიცარს კარები, რომელმაც, მანამ ქალბატონს არ შეატყობინა და არ მიიღო მისგან ბრძანება, არ შეგვიშო, ამიტომ რომ, ჯერ ხალხი არ დაწყნარებულიყო შფოთისაგან. ჩუენ ავიარეთ მშუენიერის ხალიჩებით დაფენილს კიბეზედ, რომელსაც ორივე მხარეს ეწყო ყუთებით სხუა და სხუა ყვავილები. კიბის თავში იდგა მდიდრად ჩაცმული ქალი, რომელმაც ღიმილით მიმიკრა გულზედ. ეს იყო ჩემი ნათლია.

—რა ლამაზია! რა მშუენიერი ლოყის ფერი აქუს, რა დიდრონი შავი თვალები აქვს! ამბობდა გრაფინია და მკოცნიდა.

—განა მე გითხარი ეგრე ლამაზი გამოდი მეთქი? რატომ არ დაეკითხე შენს ნათლიას! მე მშურს!... რა ვწუხვარ, რომ მარკიზი ვილარსო ესლა გავიდა ხალხის აღრეულების საყურებლად... შენ მოსველ ჩუენს მხიარულს დროსა, შჳლო ჩემო; მეფე განთავისუფლდება და ჩუენც განგვათავისუფლა მარშლისაგან: ის ღირსი იყო თავის ბედისა....

—აა! მე კიდევ გიცან, საყჳარელო მოსიო დელორმ, უთხრა გრაფინიამ. რა დაინახა მამა ჩემი. მშჳდობა თქჳენი აქ მოსვლა. შერიცხე ჩემი სახლი თქჳენად. მე კიდევ მახსოვს თქჳენი ცხენიდგან გადმოვარდნა, რომლის გამო ჩჳენ გავიცანით ერთმანერთი.—იმის შემდეგ სხჳა მაგ გვარი ხომ აღარა შეგმთხვევიათ რა?

—არაფერი, თქჳენო ბრწყინვალებავ! ძალიან კეთილი ბძანდებით რომ მოიგონეთ თექვსმეტის წლის ამბავი, უპასუხა მამა ჩემმა.

—თექვსმეტი წელიწადი, საყჳარელო დელორმ! ჩჳენ არ გავუმაწჳლებულვართ ამ დროის განმავლობაში... ღმერთო დიდებულო! ვის ვხედავ? მიჩურჩულა გრაფინიამ.

ამ დროს ბარგით ამობძანდა კამუზარიც და თავი დაუკრა.

—ეს გახლავს ჩემი საქმრო, ნათლიავ.

—ვიცი, ვიცი, მახსოვს....

—დიახ, მე გახლდი უმაწჳლი, როცა თქჳენ მობძანდით ჩჳენ ქალაქში, დაატანა კამუზარმა: მე მიხარიან, რომ ეგრე გასქელებულ-ხართ იმას შემდეგ; ჩჳენი ქალაქის ჰაერს არ უწყენია თქჳენთჳს მაშინა. სად მიბრძანებთ ჩჳენი ბარგი წავიღო?

—ბიჭებმა იციან; მე მითქჳამს იმათთჳს. მიბძანდით, უფალნო, მოისვენეთ.—ამ ქალსკი მე შევიყვან ჩემს ოთახში.

როდესაც მარტო დავრჩით, ჩემმა ნათლიამ მითხრა:

—ეგ ჭსწორეთ მხეცია, შენი საქმრო!

—დიახ, ჩემო ნათლიავ,—გებრალებოდე.

გრაფინია ევრემონი იქნებოდა ორმოცის ანუ ორმოც და ხუთის წლისა. ის ჯერ მეისევ ლამაზათ მეჩვენა. ჯერ არ ვიცოდი ქალების საიდუმლო, რომელნიც რიღასიც წამით ჰფარავდნენ თავიანთ სახის ნაკლულებას, დროებისაგან მოძველებულს. მაგრამ სიკეთილე, გადაფენილი იმის სახეზედ, უკეთესად უხდებოდა იმას ყოველ მშჳენებაზედ.—გრაფინიამ შეამცნია, რომ ჩჳენ ერთის ტანისა ვიყავით, მოატანინა მაშინვე თავისი ხუთი ექვსი კაბა და ყოველი გამაშინჯა. ბოლოს ერთი ამოარჩია და მე გამოვცვალე ჩემი მხოფლიური კაბა მშჳენიერს ცისფერს ატლასის კაბაზედ. მოახლეებმა დამვარცხნეს თავი; შემდეგ ერთს იმათგანს აჩუქა ჩემი ტანისამოსი; გრაფინიამ დამიჭირა ხელი, გამატარ-გამომატარა, მიმაბრუნ-მომაბრუნა და მაღლა აცხადებდა თავის აღტაცებას.—

— რა ლამაზია ამ ტანისამოსში! ამბობდა ის: რა შეხედულობა აქუს! რა საუცხოვო ტანი აქუს! შენ დღესვე დაამშვენებ სასახლის ბალსა. პირველს ბალშივე წაგიყვან და ჩემს ნათესავთ გამოვაცხადებ, შვილო მარიონ. —

— სასახლის ბალში? მე წამიყვანთ სასახლის ბალში, ნათლიავ?

— შენ იქ ყველაზედ უკეთესი იქნები. — მაკოცე!

გრაფინიამ მომცა მარაო და მაჩუენა როგორ უნდა ვისმარო, როცა კაცები შემომერტყმებიან. მე ამისთანაებში დიდი ნიჭი მქონდა ბუნებითგან: გრაფინია გავაოცე მარაოს და თვალების თამაშობით, მისვრა მოხვრით და ჩემის სასიამოვნოს კეკლუცობით.

— ახლა როგორ უნდა გავაგდოთ შენი საქმრო? მითხრა გრაფინიამ.

— მე თქუენი იმედი მქონდა, ჩემო ნათლიავ.

— ტუტუცო, რატო იქვე უარი არ უთხარი?

— არ შეიძლებოდა. — მე გრაფინიას მოვახსენე ყოველი: ჩუენი სიღარიბე, წვრილშვილობა, მამიჩემის ზრუნვა ჩემის მზითვის გამრავლებაზედ, და ვალი, რომელიც დაედოთ კამუზარისა. მე მამა ჩემი დავიყოლიე მეთქი უარის თქმაზედ, მაგრამ სახლის პატრონი ის არ არის: ყველა დედიჩემის ხელშია. შეწუხებული შრომისა და სიღარიბისაგან, ის არ მიიღებდა და არც დასდევდა ჩემს მუღვილებას კამუზარისადმი.

— სჩანს დედა შენს არასოდეს არ შეუხედნია იმისთჳს სახეზედ?

— როგორ არა, გრაფინიავ, მაგრამ ჩუეულება... თითქმის ჩუენს სახლში ყველანი იმას ლამაზად რაცხამენ.

— კარგი იმათ მოუგვათ! — მაშ როგორ უნდა ვქნათ?

— ნათლიავ, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ისევ თვითონ კამუზარს როგორმე გული აგვაღებინოთ ჩემზედ.

— მე მეტად მიჭირს მაგის მოხერხება, მითხრა იმან: თუ შენ შეგიძლიან რამე, აბა მითხარ მე დაგეხმარები.

— მაშ აქ დაუძახეთ ჩემს საქმროს, მოვახსენე მე.

— კარგი! ვთქუათ დაუძახე.

— და უბძანეთ: მოწყალეო ხელმწიფევ, მე ძალიან მიყვარს ჩემი ნათლული. —

— ეგ მართალია, მიუჩხარ.

— მე მინდა ჩემთან ვიმყოფინო და გამოვიყვანო სალხში.

— რატომ, მე ეგ განზრახულებაცა მაქჳს.

— მაშასადამე, აღარც შენ და აღარც ჩემი ნათლული ვეღარ დაბრუნდებითქო შალონში.

— რა სასიამოვნო საპოვნელა იქნება ის პარიჟისათჳს!

— უბრძანეთ, რომ დღეიდგან უნდა დაიწყოს იმან ჰსწავლა ენებისა, ტანციობა, ცხენზედ ჯდომა, ლაპარაკი, რომელიც საჭიროა დიდ კაცებში, ერთის სიტყვით შეიქმნეს კავალერი.

— ქალო, შენ რომანები გიკითხავს? მკითხა გრაფინიამ.

— დიახ, ნათლიავ, ცოტაოდენი.

— განაგრძელე, მიბძანა იმან: მე ვხედამ, რომ მარტო პარიჟი არ ასწავლის გამოქნილებას.—

— მე იმედი მაქჳს, რომ მესამე უროკზედვე გრამატიკისა და ლათინურის ენისა გამუზარი დაჰსთმობს ჩემს სიყჳარულსა. ამას გარდა შეუჩინოთ ერთი ექიმი, რომელმაც ცოტა ანუ სულ არა აჭამოსრა და ასოს, მითომ წელის დასაწვრილებლად და კანის დასალბილებლად. მეტადრე ხმის დაშლით ის გონებიდგან შეიშლება.

— როგორ? განა სხჳათა კარგთა ღირსებათა შორის...

— ლოთიც არის, ჩემო ნათლიავ.— ესენი კმარა, რომ მესამე დღესვე გამუზარმა თითონვე გვთხოვოს ნება შინ წასვლისა.

— უშენოდ?...

— რასაკჳრველია, შემდეგ თქჳენ ნებას მიჰსცემთ მამა ჩემს, მოიხმარონ ჩემი მზითვის ფული, მეკი თქჳენთან დავრჩები, და ყუელანი კმაყოფილნი გახდებიან.

— სად მოგიგროვებია მაგ პატარა თავში ამდენი სიბრძნე, შე ეშმაკო?

— სიხარულისაგან, ჩემო ნათლიავ, რომ თქჳენა გნახეთ.

— მიფრთხილდი! მე დაგხრჩობ ჩემის კოცნით....

ამ დროს ლაქია შემოვიდა და მოახსენა დებაროს გასლავსო.

— მე გავწითლდი და ხელიდგან მარაო დამვარდა ხალიჩაზედ; მაგრამ გრაფინიამ ვერ შეამცნია ჩემი აღრეულება.

სტუმარი შემოვიდა. გრაფინიამ მიუშჳრა მას ხელი, რომელიც მიიტანა იმან ტუჩებთან.

— ეს ჩემი ნათლული გახლავს, დებარო, წარმომიდგენია.

დებარომ თავი დამიკრა ისე, მითომ სრულებით არ მიცნობდა.

— ჩჳენი დავა რა მდგომარეობაშია, დებარო? ჰკითხა გრაფინიამ.

—მოვიგე, გრაფინიავ.

—აი ბედნიერი დღე! შესჭყვირა გრაფინიამ: რამდენი სიხარული მივიღე დღესა! დაითვალე ჩემთან: დღეს დილას გავიგე, რომ მარშა-ლი ბირონი მოუკლავთ, ერთი! მომგვარეს ჩემი ნათლული, ორი! დავა მომიგია, სამი... იქნება მეოთხე სიხარულიც მოვიდე სადგანმე. მასამდისინ მიიღეთ ჩემი მადლობა დებარო. მე ყოველთვის ვეუბნე-ბოდი მამა შენს, რომ შენში ბევრი ღირსება არის, და თუ რომ შენ გჯეროდეს ჩემი კეთილი დარიგებანი....

—ეგ ჩემი ვალია, გრაფინიავ!

—მაშინ შენ თავს დაანებებდი დამთხვეულს ჩჳეულებებსა, შენს ამხანაგებს იმ უღვთოებს, რომელნიც მიგიზიდამენ ცუდს გზაზედ. შენ რიგიანათ ეცდებოდი გამხდარიყავ გამოჩენილი ადვოკატი, და მო-საპოებლად ნდობისა, პატიოსნებისა და სულიერის სახლობებისა, შენ არ გამოაჩენდი შენს თავს ღჳთის ურწმუნოდ, რომლითაც, როგორც ამბობენ, მითომ ჰგესულობ კიდეც ჩუმს შექცევებში....

—გარწმუნებ, გრაფინიავ. დაუბეზღებივარ ვისმეს თქჳენთან; ცილს მიგონებენ; მე ღმერთიცა მწამს, წმინდანებიც და იმათი მოსამსახუ-რენიც....—

—მარკიზი ვილარსო! დაიძახა ლაქიამ, რა შემოაღო კარები.

—სსუ!.. ჰსთქჳა გრაფინიამა, რა შემომხედა მე და მიიდო თითი ტუჩებზედ. მე ალაგითგან არ დავიძარ.

შემოვიდა ორმოცდა ათის წლის კაცი, კარგათ ჩაცმული, ცოცხა-ლი, თუმცა ჭაღარა ულვაშებით და თეთრის თმით.

—დავამარცხეთ, დავამარცხეთ! შემომხედე, გრაფინიავ, დამმარც-ხებელს არა ჰგავარ? ჰსთქჳა იმან და ააგდო ქუდი მაღლა, რომელიც დაიჭირა ისევ ჯოხის თავით.—

—საიდან მოდიხარ, მარკიზო? დამშჳდდა ხალხი?

—ნუთუ მე ხალხს გამოუდგებოდი? მე სასახლეში ავედ, სადაც მაქჳნდა პატივი მეფესთან ქაღალდის თამაშობისა.

—რას მეუბნები? უთხრა გრაფინიამ: მაშასადამე სასიხარულო შე-გმთხვევია რამე?

—რასაკვირველია... მაგრამ ეს სასიამოვნო საქმე შენ უფრო შეგე-ხება, ვიდრე მე.

—კიდევ? ეს მეოთხე! ჰსთქჳა გრაფინიამ და ტაში შემოჰკრა. და-

იწყე ჩქარა, ნუ მომილევ მოთმინებასა, შენებურად ნუ გააგძელებ.—

—უნდა რიგიანად ვსთქვა... მეფე, რომელიც მთელი წლიწადი ცხვირით მიყურებდა მე იმ უფალის მოწყალებით... მაგრამ ის ხომ აღარ არის...კუდრებზედ ლაპარაკი არ ვარგა...

—აი, კიდევ მოჰყვა თავისებურად! ჰსთქვა მოუთმენელად გრაფინიამ.

—კარგი, მოკლეთ მოგახსენებ: რა მეფემ დაინახა სასახლის გალერეაში (ტალანში), მოვიდა ჩემთან და დაჰკრა მხარში ხელი: შენა ხარ, ვილარსო? მიბრძანა იმან: «ჩემა გვარდიელებმა დაატუსაღეს ის საძაგელი იტალიანკა (მარშლის ცოლზედ ბძანებდა): შენ არ დაიჯერებ, ვილარსო: იმის ლეიბში უპოვნიათ ორი მილლიონის ძვირფასი ქვები!»

მეფევ! მოგახსენე მე: ეგ არ მაკვირვებს: კიდევ ბევრი რამე ექმნება მოპარული იმათ.

—არა თუ? განაგრძელა მეფემ: ჰსწორეთ სირცხვილია!... ელეონორა პელასის ხელით მოკვდება, და თუ რომ ჩუენს დედას ეს არ მოეწონება, მაშინ ჩუენ გავისტუმრებთ იმას ფლორენციაში სახივლელად.—მართლა, მარკიზო, შარშან ჩუენა გვთხოვე გვებოძებინა ადგილი პორუჩიკობისა ჩუენს გვარდიაში შენის ნათესავისათჳს გრაფის მარგერიტ ეურემონისათჳს...

—მართლა? იმისმა დიდებულებამ გიბძანა ეგრე, ვილარსო? ჰკითხა გახარებით გრაფინიამ.

—არა თუ მიბრძანა, არამედ ეს ადგილიც მიჰსცა...

—ჩემო მეგობარო! ჩემო მეგობარო! ეუბნებოდა გრაფინია აღტაცებული: როგორ უნდა დაგიმადლო... ჩემს შვილს მართლა როტა მიჰსცეს!... არ ვიცი სიხარულით რა მომივა. მარიონ, მომეხვიე შვილო! მგონია შენთჳს არ მითქუამს, რომ გიჟი ვაჟი შვილი მყავს!... ლამაზი, ჭკვიანი, უცხო სახისა... მაგრამ რა სახით აფუჭებს ის ჩემს საცოდავს ფულებს!... ის აქედგან გავაგდე ჩემს მამულში... შენ ნახავ რა ჭკვანია... გრაფინია სიხარულით ტიროდა. ანაზდად იმან გაიხარხარა და მივარდა ვილარსოსა, რომელმაც მხოლოდ ესლა დაინახა. ის თავს დამტრიალებდა აღრეულის სახით.

—არ დასდგები შენს ქერქში! შეჰყვირა გრაფინიამ: შენ აშინებ ამ ყმაწჳლს და შენის ცქერით... ვერა ხედამ, რა სახით გაწითლდა და

დაიხარა თვალები?...

—რას ბძანებთ? გრაფინიავ, ეს ქალი ჩემი უცნობია...

—აკოცე, თუ მოგწონს! ნებას გაძლევ აკოცო. შენ ასეთი ამბავი მომიტანე, რომ უნდა დავაჯილდოვო ამ ლამაზის ქალის კოცნით.

—რას მიბძანებთ გრაფინიავ, ნებას მაძლევთ, განცჳფრებით განიმეორა მარკიზმა.

—დიაღ, ჩემო ნათლიავ, უთხარი მე, რა მიველი იმასთან: თქჳენ ნება გაქჳსთ მაკოცოთ.

—მე ვარ შენი ნათლია, მშჳენიერო? როდის? საიდგან?... ახ! ახ! მომაგონდა! შალონში! ცხენი, ეგზეკუტორი, ნათლობა!... და გადამეხვია მარკიზი, და დაიწყო კოცნა ასეთის სიმხურვალით, რომელმაც დებაროც მადაზედ მოიყვანა. შემოვიდნენ სხჳა სტუმრებიც. გრაფინიამ აცნობა იმათ მეფის წყალობა თავის შვილისადმი. შემდეგ მე წარმიდგინა იმათ. დაუძახეს მამა ჩემს და ჩემს საქმროსა გასშმის საჭმელად. სითამამის და სიმხნის მისაცემად კამუზარს ცოტა გადაუკრა შვეიცართან, რომლის ქალიც ტერეზა გრაფინიას ჰყჳანდა მოახლედ,—გრაფინიამ გვერდით მოისო ვახშამზედ კამუზარი და არიგებდა, რა უნდა ექნა იმას, რომ გამხდარიყო ღირსი იმის სიყჳარულისა. სტუმრები სიცილს ვერ იჭერდნენ. საწყალმა ვერცა რა სჭამარა, ვერცარა დალიარა! სულ ტოკავდა, ასე ეგონა ცეცხლზე ზისო. რა ვახშამი აიღეს, კამუზარი მაშინვე გაძვრა და შევიდა თავის მცნობ შვეიცართან ბულმანთან.

—მე აქ არ დავდგები! წავალ შალონში! ეუბნებოდა კამუზარი თერეზას მამას.

—რათა? მიუგო ტერეზამ: გრაფინია თავის ქალსათ ისდის შენს საცოლოსა, და უნდა, რომ ქალბატონათ გარდააქციოს.—

—ქალბატონად! ეხლაც იმას კაცი ვერ იცნობს, ის თავის მველს ტანისამოსში უფრო მომწონდა... აი როგორც შენა ხარ ჩაცმული!

—ეს შენი საცოლოს კაბაა, უთხრა თერეზამ: იმან მაჩუქა; მაგრამ იმის მაგიერად მეკი არ მიმიღო... მე აღარ მოგეშვები, ამიტომ რომ ძალიან სურვილი მაქჳს ქმრის შერთვისა.

კამუზარმა შეხედა ტერეზასა და პირველად შეამცნია, რომ იმასაც წითელი ლოყები ჰქონდა, წვრილი მოცინარე თვალები და სულ ერთად სასიამოვნო სახე.

—მე მგონია, უთხრა კამუზარმა ამოხვრით: მე მგონია, რომ შენ უფრო მიყვარდე მარიონზე. მე შევამცნიე, რომ ის თვალს უმეგრე-ბოდა ხშირად დესაროსა და კიდევ სხვებსა. გარწმუნებ, შენ ჰსჯობიხარ.

—ჩუმათ იყავით! უთხრა ტერაზამ: რო დავიჯერო?

—ჰო, დაუმატა ბულემანმა: ცოდვაა ჩემი ქალი, სიყჳარულს ნუ ჩა-უგდებ გულში; ამათ ხომ იცი ჩქარა ეკიდებათ მაგისთანა სიტყვები როგორც ბურბუშელას.

—მაიტა დამალევინე რამე! წამოიძახა კამუზარმა: მე თავისუფალი ვარ, არავის შეუძლიან ჩემი ძალის დატანება მარიონზედ.... თერე-ზამ გადმოიღო ბოთლი და დაუდგა იმათ.

—თუ არ გინდა, ნუ დაიწერ ჯჳარსა! უთხრა თერეზამ.

—მაგას ენა ადვილად იტყვის: «ნუ დაიწერ ჯჳარსა:» მე მინდა ჯჳარის წერა... სულ ერთია, ვინც უნდა იყოს. მე ცარიელი არ დავ-ბრუნდები შალონში, იქ ყველანი მასხარათ ამიგდებენ!

—შენი სადღეგრძელო იყოს! უთხრა შვეიცარმა: როგორ მოგწონ-სთ ეს ღვინო?

—უცხოდ!... დამიხსი!... უთუოდ, განაგრძელა კამუზარმა: მე უ-თუოთ დავიწერ ვიზედმე ჯჳარსა....

—ვიზედ? ჰკითხა ეშმაკმა თერეზამ და ჩაღუნა თავი.

—ერთს უმაწვლს ქალზედ, რომელსაც შენ იცნობ... იმას ნათლი-ათ გრაფინია არა ჰყავს... დამიხსი, ბულმან, დამიხსი!... გესმის თე-რეზავ?

—არა, არ მესმის, ვიზედ ბძანებ... შენისთანას ვინ დაერიდება.—

—ესლავ გამოვაცხადებ. კამუზარი წამოდგა და აიღო სტაქანი ხე-ლში.—ბულმან! შენი სადღეგრძელო იყოს! მე გთხოვ კელს შენის ქალისას!

—რას მიბძანებ! მე სრულებით თანახმა ვარ.—

—მგონია, მეც უნდა მკითხო რამე! უთხრა თერეზამ: მე არა-ვარ თანახმა. შენ მგონია მხოლოდ ჯავრის გულისთჳს მთხოულობ; ჩქარა დაიწყობ ნანვას.

—მადმუაზელ თერეზავ! უთხრა კამუზარმა, რა დაასხეთქა დაცლილი სტაქანი: მე ლამაზი არა ვარ, მაგრამ გული ლამაზი მაქჳს. ბიძა ჩემმა დამიგდო ორი ათასი თუმანი. მე გთხოვ, ორნივე დავეპატ-რონოთ ამ ფულსა. თანახმა ხარ თუ არა?

—ხვალვე შეხვალ ხინხნულში. მე არ მინდა ცრემლიანის თვალით ვიჯდე და ვწყევლიდე ჩემს ბედსა, უთხრა თერეზამ.

—ბედ-წერილი რომ მოგცე შენზედ ჯუარის წერისა, მაშინ რაღას იტყვი?

—მაშინ რა მეტი ღონე მექნება, უნდა დავიჯერო.

—მომიტანეთ ეხლავ საწერ-კალამი და ქაღალდი! დაიძახა გამუზარმა. და როდესაც ესენი მიართვეს, იმან დასწერა რაცა შეეძლო გარკვეულის ხელით:

«ღუთისა და კაცის წინაშე ვამბობ და ვფიცავ, ერთი კვირის შემდეგ ჯუარი დავიწერო თერეზაზედ ბულმანის ქალზედ, და თუ არ აგასრულე ეს ჩემი დაპირება, მაშინ მოვალე ვარ მივსცე თერეზას ათას ორასი თუმანი.»—

—უცხოთ არის! ჰსთქუა ბულმანმა: აკოცე ჩემს ქალს, ჩემო სიძევ! ენდეთ ამის შემდეგ კაცებსა!

ვახშამს უკან დებარო გვერდით მომიჯდა. იმან ბევრი დარიგება მომცა, როგორ უნდა მოვიქცე, როგორ უნდა ვერიდო აქაურს ხალხს ანუ ლაპარაკში ანუ ქცევაში. ვილარსოს ერიდე, თუ შენი ნათლიის გრაფინიას გადამტერება არ გინდაო; იმათი ერთად წასვლა შვეიცარიაში სამკვიდრებელის მისაღებად უსაგნო არ იყოვო და ბევრის ბოროტი ენა კუდს აბმენო.—

—შენ როდისმე შეგხვდება ქმრის ამორჩევა, მარიონ, ნუ გაბედავ ამ საქმეს, მანამ შენს გულს არ დაეკითხო... მაგრამ ვინ იცის, იქნება სახარბიელო საქმრო შეგხუდეს, თუმცა მე ეჭვი მაქუს.

—რათა გაქვს ეჭვი? ვკითხე მე.

—საქმრონი ორ ნაირნი არიან, მითხრა იმან: ყმაწვილნი და მოხუცნი. პირველნი ფულს ეძებენ, და მეორენი ჰპირდებიან ხან და ხან ფულს. ყმაწვილნი, რა გპოვებენ შენ მხოლოდ სილამაზით მდიდარს, მდაბლად თავს დაგიკვრენ და ჩამოგეცლებიან, ხოლო ბებერსკი შენ თჳთონ ეტყვი უარს. მაშინ, მარიონ, თუ მოიგონებ იმ კაცს, რომელსაც უყვარხარ, რომელსაც არ შეუძლიან შემატოს თავისი სიცოცხლე, მაგრამ რომელიც მზათ არის მოჰფინოს შენი სიცოცხლე ვარდითა, გაანათლოს ყოველი შენი დღე ბედნიერების სხივითა, მაშინ მიჰმართე იმ კაცს და შენ ჰპოვებ იმაში ნარნარებას, ერთგულებას, უცვალებლობას.—

—თუ ღმერთი გწამს, ნუ მელაპარაკები მაგეებს, უთხარი მე: იქნება გვათვალიერებენ, ან ყურს გვიგდებს ვინმე.

—არავინ არ არის მოცლილი, მარიონ! მამა შენსა სთვლემს; ის ერთი ბებერი როზგრუა ჩაყურყუმელებულა შენის მშუენიერების ფიქრ-ში, და გუნებაში აწყობს, როდის ჰსთხოვოს შენი თავი ცოლად გრა-ფინიასა. გრაფინია არ ეშვება ვილარსოს თავის შჳლის ანბის გამო-კითხვას. ამასთანავე ის დიდის მოხდობილობით და ყოვლის უშიშრო-ბით მომცემს ნებას ვიყო შენთან იმ სანამდე, ვიდრე მოგიგებ ბაღში შეკრულს სანაძლეოს.

—არასოდეს.

—ჩუენ ვნახამთ, მარიონ.—

—რას ელაპარაკები ჩემს ნათლულს, დებარო? ჰკითხა გრაფინიამ, რა მოგვახლოვდა ის ჩუენა.

—ამ ქალაქის გვარმა მაფიქრებინა, უპასუხა დებარომ: რომ ეს უნდა დაბადებულიყო ლიონში და მე ჰკითხამდი ამას, ნათესავი ხომ არ არის ამათი ფილიბერ დელორმი, ის ჩინებული არხიტექტორი, რომელმაც შეადგინა ტუილრის სასახლის პლანი. მაგრამ მიპასუხა, რომ არ ენათესავებიან იმას. შემდეგ მე აუწერე, როგორც ვიცოდი, აქაუ-რი დიდრონი შენობანი, მეფის სასახლეები, რომლების ნახვაც ამათ ძალიანა სურს.—რა ეს დაასრულა, დებარო გამოესალმა გრაფინიას. იმისი მაგალითისამებრ სხვებიც წავიდნენ. იქნებოდა თერთმეტი საა-თი. ამ დროს გამუზარი აღსრულებდა თავის უღირს ლალატსა ჩემ-დამი. ესე იგი ტერეზას ჰპირდებოდა ქმრობას.—

მეორეს დღეს, რაკი გამომეღვიძა, თერეზა შემოვიდა ჩემთან არე-ულის სახით, რომელმაც შემაშინა მე.

—რა დაგმართვია? უთხარი მე.

—ოჰ, ქალბატონო, რათ მაჩუქეთ გუშინ თქუენი ტანისამოსი!... რა იმაში მნახა ჩაცმული, თქუენს საქმროს ანაზდეულად შეუყვარდი... ის აპირებს ჯუარი დაიწეროს ჩემზედ.

მე წამოვხტი გაოცებული. მე მეტად ჯავრი მომივიდა, რო ამის სამასხარონიც გავხდით.—ჩამაცვი ეხლავ, უთხარი მე იმას, და წამომ-ყევ გრაფინიასთანა. მე მინდა შევიტყო, იმას მოუცია შენთჳს ნება მაგვარად ჩემთან სუმრობისა!—

—გარწმუნებ, ქალბატონო, მე არ გეხუმრები, მითხრა თერეზამ

და ამოიღო უბიდგან ქაღალდი და მომცა. აი წაიკითხე რასა ჰსწერს.

რა თვალი გარდავავლე ამ ქაღალდს, მე შევკრთი; სიხარული და მრისხანება ირეოდა ჩემს გულში მცირეს ხანსა: მაგრამ უსიამოვნება ჩქარა განქრა ჩემში და ისე გაჯავრებით აღარ უყურებდი ტერეზასა.

—ეგ როგორ მოგიხერხებია? ვჰკითხე იმას: რა ჯადოსნობა მოიხმარე? რით მიიზიდე იმისი გული?... იქნება საწყალი მთვრალი იყო?—

—არ გახლდა ძალიან მთვრალი. მე ჯადოსნობისა არა ვიცი რა, ქალბატონო, მამიჩემის ოთახში მნახა, და იქ...

—მომილოცავს ბედნიერება! რაცკი შესაძლებელია, ჩქარა დაიწერეთ ჯჳარი, ხჳალ, დღეს, ესლავ... და ეცადენით ბევრი შჳლები გყვანდეთ, მაგრამ მამასკი არ დაემგზავსონ. ამ სიტყვებთან მე ასე მხიარულად, ასე ხმა მაღლივ გავიცინე, რომ ჩემი ნათლია, რომლის საწოლიც ჩემის ოთახის გვერდზედ იყო, შემოვარდა დილის საცმელით.

—რა იყო, შჳლო? გაგიჟდი? მითხრა იმან.

—დიაღ, ნათლიავ, ჰსწორეთ სიხარულით შევიშალე... ინებეთ, წაიკითხეთ, თქჳენც გაიხარეთ! კამუზარი ჯჳარს იწერს თქჳენს მოახლეზედ.—გრაფინიაც გაოცდა ჩემსავით, რა წაიკითხა წიგნი.

—ყოველი ჩჳენი პლანი დაარღვია თქჳენის შვეიცარის ქალმა; იმან გამომაგდო კამუზარის გულიდგან.—

გრაფინიამაც გამიყო მხიარულება: ნახევარ საათი მეტი ვეღარ შევიწყვიტეთ სიცილი. წერილი დაუბრუნეთ ტერეზას და უთხარით, რომ დაუმასხოს კამუზარსა, და ნურას ეტყვის იმას.

ხუთის მინუტს შემდეგ კამუზარი შემოვიდა დაღუნულის თავით და შეშლილის სახით.

—ნუ თუ პარიჟის ჰაერისაგან მოგივიდა ამდენი ცვლილება გულში? უთხრა გრაფინიამ: მართალია, რომ დატყვევებულს სხვის მშჳენიერებით, გიღალატნია ჩემის ნათლულისათჳს?

—ახ ქალბატონო!... ახ, მარიონ! შეიტყეთ კიდეც!... გარწმუნებ, რომ ძალიან მიყვარდი, მაგრამ... თუ რომ ჩჳენ შალონში ვყოფილვიყავით... მე არ ვამბობ, რომ... მე ასეთი მახინჯი ვარ, შენ ეგრეთი ლამაზი... ეგ სისულელე იქნებოდა ჩემგან...

—რას ამბობ? ენა რათ გებმის? რით მართლულობ თავსა! ეუბნე-

ზოდა გრაფინია: განა ჩუენც უნდა სხვისავით ჴელ წერილი ჩამოგვერთმევინა?—

—არა გრაფინიავ, მე შალონში ცოლი დაკეტილში მეყოლებოდა, მაგრამ აქ, კლიტეებს კაცი ვერ ენდობა. მარიონის სიყვარული ხამი თვეეც ვერ გასტანდა ჩემთან! გუშინ დ გზაზედაც, აქ რომ მოვდიოდით, რაც მე უმაწვილკაცები ვნახე, რომელნიც ისე ნაირათ ლაპარაკობენ, ისე ისრებიან,—მე სად ვისწავლი მაგეებს... მე მაშინვე მომივიდა თავში ფიქრი, რომ ჰსჯობს ჩქარა მოვირჩინო გული.

—დ ტერეზას აწამლებინე? კარგათ გიქმნია, გარწმუნებ, უთხრა გრაფინიამ: მეტი ღონე არ არის, მარიონ შენც უნდა დაემორჩილო შენს ბედსა; შეგიძლიან აიტანო ეს მწუხარება შჳლო?

—რასაკჳრველია ავიტან, თუკი მაგისთანა მახინჯმა ეგ აბიდა მომცა, მე რაღათ შევინახამ მაგის სიყვარულს გულში!

—თქჳენგან პირველად არ მესმის მე ეგა, მარიონ! უთხრა კამუზარმა: რასაკჳრველია, მე ისე ლამაზი არა ვარ, როგორც დებარო, ნავშიაც იმას უფრო ბევრს უყურებდი, ვიდრე მე...

—ნავში? განიმეორა გრაფინიამ გაოცებით დ შემომხედა წარბებ შეკრული. მე გავწითლდი.—შენ გადი კარგი! უბძანა კამუზარსა.

—ახ, რა ტუტუცობა მომივიდა, რომ წამომცდა! ლუღლუღებდა კამუზარი: ჯავრობ ჩემზედ, მარიონ?

—რათ გავჯავრდები! უპასუხე მე. თუ დებაროს ჴქონდა მიზეზი გაჩუმებულიყო, მე უფრო არა მაქვს, რომ დაუმალო რამე ჩემს ნათლიასა.

კამუზარი გავიდა. მე ჯავრით ცრემლები მომდიოდა. ჩემ ნათლიამ ისე დაწვრილებით გამომკითხა, რომ ბევრი ვეღარა რამ დაუმალე იმას განვლილის გარემოებისა.

იმ დღესვე გრაფინიამ გაუგზავნა დებაროს ხუთასი ოქრო დავის მოგების შრომისათჳს ბებერი როზკრუას ჴელით, რომელმაც მეტად ცხადად გააგებინა, რომ დებარო მეტად გონიერად მოიქცევა, თუ რომ პატარა ხანს დაივიწყებს გზასა გრაფინიას სახლისას.—

მაგრამ დებარო იმ საღამოზედვე მოვიდა გრაფინიასთან! იმან დამშვიდებით დააწყო ზალის ბუხრის თავზედ გაგზავნილი ფული დ უთხრა გრაფინიას:

—მე დიდად საწუხრათა მაქჳს, რომ განგარისხეთ, მაგრამ მაინც

თქუენთჳს ეგ მიზეზი არ არის მოაკლოთ მოწყალება თქუენს გლახაკებს.—შემდეგ იმან დაუკრა თავი იქ მყოფთა, რომელთა შორის მეცა. როდესაც იმან გაიარა ჩემკენ, მე წავჩურჩულე: «ეს კამუზარის საქმეა.«

—კარგი! მითხრა იმან: მე გადუხდი იმას სამაგიეროს:

ჩუენ ისე მსწრაფლად გავცვალეთ ეს სიტყვები, რომ ვერცკი შეგვამცნიეს სხვებმა ტუჩების დაძვრა.

მთელს საღამოს გრაფინია აბუზღუნებული იყო ჩემზედ; გარდა ამისა, ის-მეტად გულიანად შეუდგა ჩქარა დაეწერა ჯუარი კამუზარის და ტერეზასათჳს, და გადაწყვიტეს, რომ სამის დღის შემდეგ უნდა მომხდარიყო ეს.—

კამუზარი შემოვიდა ერთს დღეს და ჩაუვარდა გრაფინიას მუხლებში.

—გრაფინიავ, შეამსხეთ თქუენი მოწყალება! მე მხოლოდ ერთი რამ მაკლია, რომ სრული ბედნიერი ვიყო.

—რა გაკლია?

—ჩემი დანიშვნა ეკზეკუტორათ შალონის უეზდის სუდში... ეს ოცნებაა მთელის ჩემის სიცოცხლისა... ამ ფიქრით ვიძინებ და ვიღვიძებ.—

—კარგი, უთხრა გრაფინიამ: შენი სურვილი აგისრულდება. გაძლევ სიტყუას, რომ ჯუარის წერის დღეს შენ მიიღებ მაგ თანამდებობას. მარკის ვილარსოს ვათხოვნინებ სადაც ალაგია.

სამმა დანარჩენმა დღემ განვლეს მწუხარედ. გრაფინია ისევ ცხვირით იყო ჩემზედ. ის ჰგრძნობდა, რომ მე გულგრილი არ ვიყავ დებაროზედ და ბევრი რამ დაუმალე ჩუენს გარდასავალში. იმან გაისტუმრა კაცი თავის შჳლთან მარგერიტთან და მოელოდა იმას მაისის პირველს. მამა ჩემს უნდოდა ვეტარებინე პარიჟში, რომ გამეშინჯა მაგრამ ისე ჩაცმული ვიყავ, რომ ქვეითი არ შეიძლებოდა ჩემი სიარული, და გრაფინიამ გამოგვიცხადა ხმელის სიტყვით, რომ მე კიდევ მოვესწრობი პარიჟის ნახვას. იმის სიტყვებით ჯერ მე უნდა დამესრულებინა ჩემი ჰსწავლა. მაშასადამე, ოსტატებმა, რომელთაც უნდა შეეზეზრებინათ კამუზარი, შემაზეზრეს მე ლათინურის გრამმატიკით.—

მე ვზიჟდებოდი ჯავრით. საკრავის ოსტატმა მიქო კელოვნება თავის თავისა.

«ერთი შაგირდი მყვანდა, რომელსაც მეტად მცირეს დროში ვას-

წავლე უცხოდ დაკვრაო. იმან დებაროს სახელი ახსენა. მე მითომ გულგრილად უსმენდი ამის ლაპარაკს. უროკების დროს ერთი მხლებელი გრაფინიასი აუცილებლივ იქ იყო ხოლმე; მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ დებაროს ჩუმათ ისე მოუხერხებია, რომ გრაფინიას უთუოთ ეს ოსტატი ამოერჩია ჩემთჳს. მე ამაში ეჭვი აღარ მქონდა, როდესაც მეორეს დღეს ვჰპოვე ჩემს ნოტებში პატარა ბარათი:

«დამშვიდდით, სულო ჩემო! ჩუენი ჯვრის ამოყრა ახლოვდება და კამუზარს იავათ არ დაუსომ ჩუენს დაბეზღებას. ათასჯერ გაკოცებ ჴელზედ. დებარო.« —

მე თავს ვიმტვრევდი და ვერ მივმხვდარვიყავ, როგორ უნდა ამოეყარა დებაროს ჯვარი კამუზარისა, რომელსაც უკვე მოუვიდა დანიშნულება ახალს თანამდებობაში, ესე იგი ეკზეკუტორობა.

პირველს მაისს, დღესასწაულს დღეს ყვავილებისას, კამუზარი მორთული სამეფოდ წავიდა ეკკლესიაში ტერეზათი, რომელიც უცხოდ შვენოდა როგორც თავისის სილამაზით, ეგრეთვე სავირგვინოს ტანისამოსით, ეს ემსგავსებოდა ყვავის ვარდზედ ჯდომასა. მე და გრაფინია უყურებდით იმათ ბალკონიდგან და ვჰფიქრობდი მე: «სად არის დაპირებული ჯვრის ამოყრა!» — მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ თვით კამუზარმა მოგვიტანა ეს ამბავი: ის შემოვარდა გაწეწილის თმით და ტანისამოსით; ახლაყა თმებიდგან წურწურით ოფლი სდიოდა.

— ტერეზა! ყვიროდა ის: ტერეზა!... სად არის? ცოლი წამართვეს, ტერეზა მომტაცეს, მომპარეს... თქუენო ბრწყინვალებავ, უნდა მეფეს მოახსენოთ, დასაჯოს მტაცებლები.,. სად წავიდოდა, ღმერთო დიდებულო?... მე აქ მეგულებოდა... მიშველეთ, მიშველეთ!... ის გავარდა ჩუენგან თავში ცემით. ჩუენ სრულებით ვერა გავიგეთრა. ჩქარა მამაჩემიც მოვიდა მოწმებით: იმათ გვითხრეს რაც მომხდარიყო. მექორწილებს თავიანთის ამალით მიეტანებინათ ეკკლესიასთან. უეცრად ოციოდე გვარდიელის სალდათებს შეეკრათ იმათთჳს გზა და დაეცალათ თოფები იმათ ყურებთან. ტერეზას შეშინებოდა ამ სროლისა; იმას შეეკივლა და შევარდნილი იყო იქვე სადღაც სახლში; კამუზარი კი ცდილობდა შეეგონებინა სალდათებისთჳსა, რომ ესენი მეტად ურიგოთ მოიქცნენ. ამათ გაიცინეს და განვლეს თავისი გზაო; როცა კამუზარმა მოინდომა ცოლის ჴელის დაჭერაო, ნახა რომ იქ აღარ არისო. იმას ასწავლეს სახლი, სადაც ტერეზა დაიმალაო.

მივიდა, აბრასუნა კარები, გამოჰკითხაო ყველას, თჳთონ ჰსძებნიდაო, ილანძღებოდა, იწყევლებოდა, ტიროდა, ყვიროდა, ჩიოდაო, მაგრამ სულ ტყუილად: ტერეზა იქ არავის არ უნახავსო.—ზოგი მარჯვნივ გვასწავლიდა, ზოგი მარცხნივ, ზოგი იმასდა კარეტაში ჩაჯდა და გაა-ქროლაო; ერთის სიტყვით ვერა გავიგეთრაო.—გრაფინიამ გაგზავნა თავისი მსახურები, მთელი პარიჟი მოანახვინა, პოლიციაცა შველოდა იმათ, მაგრამ ვერა გაიგეს რა; ტერეზა გაჰქრა, როგორც ჩრდილი.— თავისთავათ გაჰყვა ის ქალი, თუ მართლა ძალათ მოიტაცეს, ან ერია დებარო ამ საქმეში თუ არა მეც არა ვიცოდირა. სამუალ ამ არეუ-ლობისა მხოლოდ ერთი კაცი იყო დამშვიდებული: ეს იყო ტერეზას მამა, რომელიც არ გაჰყოლოდა საყდარში ფეხების ტკივილისაგან ნიკრისის ქარით. როდესაც ამას კამუზარმა უთხრა, ტერეზა დაიკარ-გაო, ამან მოკლედ უპასუხა: უფრო ცუდი შენთჳსაო; ის მე შენ ჩა-გაბარეო.—ხუთი დღე ამბავი ვერა შევიტყეთრა. კამუზარს მოჰსწყინ-და და ჰკითხა თავის სასიმამროს: რა უნდა ვქნათო?

—უნდა იპოვნო ჩემი ქალი და ჯუარი დაიწეროთო, უპასუხა იმან, თუ არა და ათას ორასი თუმანი უნდა მომცეო.

კამუზარი შემოვიდა გრაფინიასთან საჩივლელად. ამას მოჰსწყინდა ეს სულელური ამბავი და უპასუხა მკჳახედ:

—მარიონის მამას შინ წასვლა უნდა, გირჩევ შენც იმას გაჰყვე და შესვიდე შენს ახალ თანამდებობაში. ხვალ მე და მარიონი მივდივართ ჩემის შჳლის მისაგებებლად, მშვიდობით!

—გრაფინიავ, მე ჩემს წერილს არ მიბრუნებს ტერეზას მამა...

—შენი ბრალია, რათ აძლევდი იმისთანა წერილსა... როცა დაგე-ცნენ, მოგერებაც უნდა იცოდე.—დავა შენი საქმეა.

მამა ჩემმა დაუმადლა გრაფინიას ჩემის კეთილად მიღებისათჳს.

—მე იმედი მაქჳსო, რომ მარიონი ყოველთჳს იქნება ღირსი თქჳენის წყალობისაო.

—რასაკვირველია, საყვარელო დელორმ... თუ არა, უკანვე დაგიბ-რუნებ ამას.—გული მეუბნება, რომ ჩემთან ვიმყოფო და ღმერთმა ჰქნას, რომ გონებამ არ დააყვედროს ჩემს გულსა. გაძლევ სიტყვას, რომ რიგიან საქმროს უპოვნი... თუ რომ ამისი გონიერებაც ეთანხ-მება ყოველთჳს ჩემს კეთილს განძრახვასა. ჩემი ნათლიის ხმა აღრე-ული იყო. მე ვხედამდი, რომ დებაროს დევნა ჩემი საწუხრად და

საწყინოდ ჰქონდა იმას. სინიდისი მიხრამდა მე გულსა; მე მაშინვე მოვეხვიე კისერზედ გრაფინიასა და შევჰფიცე, რომ სიკჳდილს უფრო ვირჩევ იმის წყენაზედა.

ოო, ჩემო ფიცნო! რა იქნენ ჩემი აღთქმანი!

მეორეს დღეს მამაჩემი და კამუზარი წავიდნენ. იმან მიიღო ნება მოესმარებინა ჩემი მზითვის ფული თავის თავზედ. გარდა ამისა, იმან წაუღო დედაჩემს და ჩემს დებს უცხო საჩუქრები გრაფინიასაგან.

იმ დროს, როდესაც მამაჩემი კამუზარით ჯდებოდა ნავში, მე და გრაფინია ხმელეთით მივაქროლებდით კარეტასა მანტში, გრაფინიას შვილის მისაგებებლად; ამ ქალაქის ფოჩტასთან მიველით საღამოზედ და დავხვდა ბრწყინვალე კრება—გახშამზედ მსხდომნი. ესენი იყვნენ ექვსი ხულნი. ამათში რომელიც უნცროსი იყო საჩქაროთ წამოსტა სტოლიდგან, მოეხვია გრაფინიასა და შეჰყვირა: დედავ! საყვარელო დედავ!

—შენა ხარ, შვილო მარგერიტო! მე არ მეგონა, რომ ასე ასლოსა გნახამდი პარიჟიდგან. და შეუდგათ ხვევნა-კოცნა.

—გვარდიის პორუჩიკობამ ფრთები შემასხა, დედავ, და შენს მოსახვევად მოვფრინამდი; ჯერ ექჳსი ცხენი ფოჩტისა დავარდნილან, რაც მოვდივარ...

—შენ კიდევ ისევ ის ქარიანი ხარ, არა გაგაკეთებსრა...

—აქეთ მოიხედე, დედავ, აქ ყველა თქჳენი მცნობნი არიან: გერცოდინია დე-ლუინი. შვეიცრების კომანდირი პოლკოვნიკი ბესომპიერი, ამათი მეუღლე მარკიზა, ბებერი როზკრუა...

—ახ, ღმერთო დიდებულო! სიზმარში ვარ!... თქჳენ აქა ბძანდებით, მშჳენიერნო, თქჳენც აქა ხართ პოლკოვნიკო! მე გაკვირვებულსა ვარ, ამბობდა გრაფინია.

—აა, ჩჳენ ორი დედოფალი გვყვანდა და ახლა მესამეც მოგვმატებია! ჰსთქჳა პოლკოვნიკმა და წამოვიდა ჩემკენ. არა, ეს ვენერა არის, თჳთ ვენერა!...

—მართლა, მართლა! ვენერა კეკლუცებისა! მოუმატა აღტაცებით მარგერიტამ, რა ისიც მომასლოვდა.

—ნუ გაგიჟდით! შეუტია გრაფინიამ. ეგ ჩემი შვილია, ჩემი ნათლული. გთხოვთ მოექცეთ ისე, როგორც ჩემს ქალსა.

—მაშასადამე, ჩემთჳს და მოგიპოვებია, დედა ჩემო, უთხრა მა-

რგერიტამ: მშჳნიერი დაჲ, რომელსაც თაყვანსა ვცემ, როგორც მარია მაგდალინას.—

გრაფინიამ წარბები შეუჭმუხა.

დასხდნენ სტოლზედ და მე გრაფინიამ გვერდით დამისო მარცხნივ, ბესომპიერი მარჯვნივ მოიჯდა, ქალებიც პირდაპირ; იმათ შორის ჩაჯდა მარგარეტა, რომელიც დიდის მორიდებით ისე მაღლა აღარ აცხადებდა თავის ალტაცებასა ჩემდამი და ჩუმ-ჩუმად მჩხრეკდა. მე მომაგონდა ქება, რომლითაც შეამკო ეს ყმაწვილი თავის დედამა, მაგრამ საქებური ამაში არა იყორა: სახე მეტად ჩვეულებრივი, თვალებთა შორის ცხვირზედ მეჭეჭი, რომელიც აპირებდა უფრო გაზრდას; მთელი სახეთი ყბედობდა, და ერთი ჭკვიანი ანუ მახვილი სიტყვა ვერ გავიგონე: ამასთანავე ქალური სახელი წვერიან კაცსა—ერთის სიტყვით ვერა ვნახერა იმასში მისაზიდავი, როგორსაც გრაფინია ამბობდა. რა განსხვავება იყო იმასა და დებაროსა შორის ანუ სახეში ანუ ლაზარაკში.... მე თავისუფლად შემეძლო დაჩხრეკა დანაშთენებისა.—ბესომპიერს ეტყობოდა, რომ ის სწორეთ სასახლეში არის გაზდილი: ლამაზი, მაღალის ტანისა, ცოცხალი, ოხუნჯი; იმას ჰქონდა მხოლოდ ერთი წუნი—ტოტა სქელი იყო. იმისი ცოლი იყო წითელ ლოყებიანი, მოთეთრო, ტანდაბალი ქალი, რომელსაც ღიმილი არა შორდებოდა ტუჩებიდგან. რაც შეეხება გერცოგინიასა, რომელიცა ზოლოს განთქმული იყო მარია დეშევრეზად, ვერც მე და ვერც ნინონა ლანკლო, ვერა ვჯობდით ვერც სახით, ვერც ტანადობით.—იმას ჰქონდა შავი თვალები, ახეთი ცეცხლებრივის გამოთქმითა, რომ იმათ აუღელეს გული თჳთ მეფე ლუდოვიკ მეცამეტესა, რომელიც ყინულის კაცზედ თბილი არ იყო. თითქმის ეს მეფის აღრეულება იყო მიზეზი ამ ქალის აქ ყოფნობისა. ჩემს ნათლიას გრაფინიას საოცრად მიაჩნდა, რომ ეს ქალი აქ იყო იმ დროს, როდესაც ამის ქმარს პარიჟში აბარებდნენ მარშლის ზირონის ალაგსა. აი ეს როგორ მომხდარიყო, როგორც ბესომპიერმა გვიამბო. ზირონის სიკჳდილის დღეს მეფეს ენახა გალერეიაში ეს ქალი, მხიარულად მისულიყო ამასთან, და ებძანებინა:

—შენი ქმარი პირველ მინისტრად გავხადე, და მე ვაძლევ იმას ყოველ მიწებს, რომელიც შეეძინა ზირონს ფრანციაში, დამიმადლებ თუ არა ამისათჳს, გერცოგინიავ?

—გთხოვთ ეჭვი ნუ გექმნებათ მაგაში, მეფევ, ეპასუხებინა ქალსა: მე მზათა ვარ ყოვლის ღონის-ძიებით გამოგიცხადო მადლობა.

მერმე მეფეს ეკოცნა ამ ქალისათჳს ჴელზედ და მითომ შეცთომითაც შეჴხებოდა იმისი ტუჩები მშუჱნიერს ხალსა, რომელიც თურმე აქუს მარჯუჱნა მხარზედ... ამ დროს თურმე გერცოღს დელუინს დაენახა ამათი ალერსი, და როგორც ოსტატმა მოასწროს წვრილ შაგირდებს რაშიმე ეშმაკობაში, ისე შერცხვენოდა მეფესა და დამალულიყო შინა. მეც იმ ჟამად წავადექი გერცოღს თავსაო არაფრის არა მცოდნემაო, დაუმატა ბესომპიერმა.

—უნდა მოგახსენო, გრაფინიავ, განაგრძელა იმან: რომ იმის წინაღამეს მე ჩემის შვეიცრებით დამაყენეს ყარაულად დიდი დედოფლის კარებთან და მიბძანეს შინიდგან არ გამოუშვაო!... რას იტყვით ამაზედ, გრაფინიავ? მე გამხადეს საპყრობილის მცველად—მარია მედიჩისა, დიდი გენრისოსის ცოლისა! მე გავჯავრდი, და მინდოდა უთუოთ სამსახურიდგან გამოსვლა.—ამისგამო მოვდიოდი გერცოღ-დელუინ-თან» როდესაც უეცრად წავადექ თავსა, მაგრამ ამ ქალის ქმარმა გერცოღმა მიპასუხა:

—შენი შვეიცარლები ესლავ გამოიცვლებიან სხჳა პოლკის ყარაულებითა. თუ რომ შენ მოიგონებ რიგიან მიზეზს რასმეს... მაგალითად წასვლის საჭიროებას... აი მართლა, ბიძა ჩემი ეპისკოპოსი... მგონია შენიც ნათესავია?...

—დიახ გერცოღო, მიუგე მე.

—ის ძალიან ავათ არის. უბძანე შეგიბან ფოჩტის ცხენები, წაიყუანე ჩემი ცოლიც და შენიც: აგრეთვე როზკრუას გამოგატან და მიდით ქ. მანტში ავადმყოფის სანახავად. შეგიძლიანთ ერთი კვირა დარჩეთ; მანამდისინ მეფეს მიუჩენ თავის მოძღვარსა დასარიგებლად... აბა რა ეჭვი მექნებოდა მე, რომ მეფის კოცნა ყოფილა მიზეზი ჩუჱნი აქეთ გამოგზავრებისა?,. გერცოღმა თავისი ცოლი მე ჩამაბარა, მე—ბესომპიერსა... მე, გმირს ათასის შემთხვეულებისასა... ამაზედ ყველამ გავიცინეთ და შევხედეთ იმის ცოლსა.

—მაინც გერცოღს მაგითი არა უფრთხილობა არა მოსვლიარა, უპასუხა გრაფინიამ: იმას უთხოვნია წაიყვანე ჩემი ცოლიო, ამ პირობით, რომ შენი ცოლიც თანა გყვანდესო.

—და აგრეთვე მე! წამოიძახა როზკრუამ.

—ბარაქალდი, როზკრუავ, კინაღამ შენ დამავიწყდი, ჰსთქუა ბე-სომპიერმა: ეხლა თქუენ იცით, გრაფინიავ, რისთჳსაც ვართ ჩუენ მანტში. მაგრამ ესკი არ იცით, რომ ჩუენ ეპისკოპოსი ვჰპოვეთ მთელს, მრთელს, აყვავებულს მდგომარეობაში, და არასოდეს არ უფი-ქრნია იმას ავად გახდომა. იმას შეეშინდა, რომ აქ ეშმაკობა არა იმა-ლებოდესრაო და ბოდიშით გამოგვისტუმრა თავის სასლიდგან, ასე რომ ჩუენ გადმოვსახლდით ამ ფორტაში და ხუთი დღეა ესე მხია-რულად შევექცევით. ეხლასან დავსეირნობდით ქალაქის გარეთ, სადაც ვნახეთ, რომ შენი მჴლი მოაქროლებდა ეკიპაჟსა, და მალის მალათ ჩამოვასხდინეთ ჩუენთან. ჩუენი პარიჟიდგან გამოგდების ვადაც სრუ-ლდება. მე დავასრულე, გრაფინიავ, ჩემი მოთხრობა. ეხლა დრო არის, რომ მოვისვენოთ. ხვალ ჩუენც მოვდივართ პარიჟში.

სტოლიდგან წამოვდექით. როზკრუამ მიაწოდა თავისი მკლავი ჩემს ნათლიას ასაყენებლად.

—არა, გმადლობ, როზკრუავ, უთხრა იმან: წადი დაიძინეთ.

—მართლა, რას შვრებით ჩემს თხოვნაზედ... და როზკრუამ დაუ-წყო გრაფინიას ჩურჩული.

მარგერიტამ მოჰკრა ყური იმათ ლაპარაკსა და გაიხარხარა.

—ხა! ხა! ხა! როზკრუავ!... ამ ბებერ სულელს უნდა, რომ ჯვარი დაიწეროს მადამაზელ მარიონზედა... მიიფთხილდი, როზკრუავ, დუე-ლში გამოგიწვევ... წადი, წადი დაიძინე. როგორც დედაჩემი გაიჩინებს და იმას ჰკრა ზურგში ჴელი.—მე გავეცალე. გრაფინია გაუყვანდა მჴ-ლსა, მაგრამ იმისი სიტყვებიგი არ დაარღვია; მამასადამე როზკრუას მართლა ჰქონდა იმედი ჩემზედ ჯუარის წერისა.—მარგარეტმა მიგვა-ცილა ოთახის კარებამდინ, სადაც ჩუენთჳს იყო მომზადებული ორი გრაოტი. ის გამოესალმა დედას და ჰკოცნა ნება მაგივრად მე.

—არა, არ შეიძლება, უთხრა გრაფინიამ: მე ძალიან გემდურები მჴლო: შენ არც რიგი იცი, არც მღვიმული მოთიდვობა გაქვს, რომელიც შეჰფერის შენს გვარიშვილობას და ჩინსაცა.—

—ახ, დედავ! მეფეც თურამეტის წლისაა, მაგრამ იმასაცკი მონ-დომა გერცოგინიას მხარზედ კოცნა,—რომელიც მიუგზავნიათ ქმარს აქეთ გამოუსტუმრებია.—

დედამ მოუხურა იმას კარები, როდეს ის ჩემთან მოდიოდა სავოდე-ნელად.—

როცა ჩუჱნ მარტონი დავრჩით, გრაფინიამ შემომხედა მე; სახე გაუყვითლებოდა, თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

—ჩუჱნ ბევრი მწუხარება გვექნება, შვილო, მითხრა იმან.

—რათა, ნათლიავ?

—ჰმ! მე უნდა ადრევე მეფიქრა... საკვირველია, რომ თავში არ მომივიდა მაგ გვარი შიში... კაცი ყოველთჳს ნანობს, როცა უჯერებს გულსა და არა გონებასა... მართალია, მარიონ, როზერუამ მთხოვა შენი თავი.... ის საკმაოდ მდიდარია, და რამდენსამე წლის შემდეგ შენთჳს სასიამოვნო იქნებოდა, შვილო, დარჩენილიყავ ქვრივად კარგის სახელით და შეძლებით.—

—ოო, ნათლიავ, გავთხოვდე და შემდეგ ყოველ დღე ვნატრობდე ქმრის სიკუდილსა... ეს საშინელებაა!

გრაფინია გაყვითლდა. მართალს ამბობ, შვილო... მე მინდოდა გამომეცადე... შენ არ იცი შვილო, რა ძნელია რიგიანი საქმროს შოვნა.... იქნება შალონშივე მოგიხდეს წასვლა!

—ღმერთო! შევჭყვირე მე: ისევ კამუზართან? აქვე თავს მოვიკლავ და იქ არ წავალ! მე დავიწყე ტირილი.

გრაფინია აღრეული ბოლთასა სცემდა ოთახში და თავის თავად ლაპარაკობდა ხმა მაღლა: «საწყალი ქალი! ამისი რა ბრალი იქნება! ერთს სახლში... როგორ დავრწმუნდე, რომ თჳთონ ამასაც არ შეუყვარდება? იმისი მოშორება ჩემგან არ შეიძლება. იმისი ბოლო ლუკრიდგან არ გამოდის; ის ჩემს სახლში უნდა სცხოვრობდეს.. სჯობს ისევ თავის მშობლებს დაუბრუნო»—შემდეგ მომიახლოვდა და მითხრა: შვილო. მე მოგცემ პირველზედ უკეთეს მზითევსა; შენ შეიძლებ შენს ქვეყანაში ვინც გინდა ამოირჩიო ქმრათა; მე აქედგან ჩემს სიყუარულს და ზრუნვილობას არ დაგაკლებ. იქნება დროით ისევ აქვე გადმოგიყვანოთ.—

—მაშ ნათლიავ, ერთი ორი კვირა მომეცით დრო ვიფიქრო. იქნება მე სრულებით ქმარი არ მოვინდომო, მე მირჩევნიან ისევ მონასტერი, იქ დავმარხო ჩემი მწუხარება.—

—ღმერთო! დაიძახა გრაფინიამ: გაატარო შენი სიყმაწვილე მონასტერში, შენი საუკეთესო წელიწადები!... ეგ არ შეიძლება! მე ნებას არასოდეს არ მოგცემ!—იმან მიმიკრა გულზედ—ცრემლიანის თვალებით.—

ფიქრი ჩემი მუშაობდა მთელს ღამეს, მე არა მქონდა განზრახულება მონასტერში შესვლისა; ჩემი ჯაზრი იყო მომეგო დრო, რომ უფრო ადვილად მომეტყუებინა ჩემი ნათლია. იმისი ოხვრაც ხშირად მესმოდა; ჯხნანს არც იმას ეძინა ტკბილად. დილით მეექუსე საათზედ იმას ჩაეძინა.—მზე უკვე ანათებდა ჩუენს ფანჯრებს. მე წამოვდექ ჩუმათ, ჩავიცვი ტანთა და გამოველ კარზედ იმ განზრახულებით, რომ მომელაპარაკნა ჩემის ნათლიის შვილთან; მაგრამ არ ვიცოდი სად, და როგორ შევხვედროდი იმას უმოწმოთ. როგორც ათიოთ ნაბიჯი გადავსდგი ბალკონზედ, მარჯვნივ კარი გაიღო და ბესომპიერი გამოვიდა, რომელიც მაშინვე ჩემკენ წამოვიდა, რაკი დამინახა.

—თქუენ კიდევ ამდგარხართ? სად მიბძანდებით?

—საყდრის ზარის ხმა მომესმა... მინდა გსლდებოდი...

—მე დიდად უმადლი შემთხვეულებასა, რომელმაც შემყარა თქვენთან. თქუენ არ გეცოდინებათ ამ ქალაქის ქუჩები. ისარგებლეთ ჩემის ორმოცდა ათის წლის გამოცდილებით. მე გაგაცილებთ.—თუ ყოველთვის ეგრე ადრე ჯსდგებით, მზე არ იქნება თქუენი მადრიელი: მზახავნი თქვენის მშვენიერებით უფრო ირჩევენ გაიბნენ, ვიდრე მზის სხივებით.

—უდროვოთ მიკეთებ მაგ კომპლიმენტსა, უთხარ მე: ეხლა მე მეტად გაყვითლებული უნდა ვიყო, ამიტომ რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭამს.

—რა მიზეზით, მშვენიერო ანგელოზო?

—ოჰ, მე ძალიან შეწუხებული ვარ, პოლკოვნიკო: გრაფინიასა სურს გამისტუმროს ჩუენ ქვეყანაში.—

—რა მიზეზით?.. თქუენ პარიჟი გაჩვენოს, ჩუენ თქუენი დაუფასებელი და შეუდარებელი მშვენება, და შემდეგ დაგვტანჯოს სინანულით... ეგ არ შეიძლება! მე წინააღმდეგობას გაუწევ ყოვლის ძალით და ღონით.

—მართლა ბრძანებ? შევჭყვირე მე.

—გარწმუნებ ჩემის პატიოსნებით!

—თუ ეგრეა, გთხოვ წაუკითხო მარგარეტას გრძელი დარიგება. იმისმა გუშინდელმა ქარიანობამ დაბადა გრაფინიას თავში ჩემი გასტუმრება.—

მე უთხარი იმას ყოველივე, რაც ლაპარაკი გვქონდა მე და ჩემ ნა-

თლიას.

—თუ მართლა მარგერიტას უყვარვარ, მოუმატე მე, რისთჳს აც-სადებს მაგას თავის დედასთან? მაგითი მეტ გზას მიკრამს უპასუხო იმის ხიფარულს.

—მართალია; ძალიან სულელურად მოუვიდა.—

—უნდა, პოლკოვნიკო, შეასმინოთ იმას და ურჩიოთ, რომ მეტად გულგრილად მოეპყროს ხოლმე.

—დიახ, მშვენიერი, ეგ საჭიროა.

—რაკი გრაფინია ჩვენ ესრე გულგრილად გვნახავს, მაშინ იმას აღარ ექმნება აღარც შიში, აღარც ეჭვი... და იქნება შემდეგ ჩვენ ცოტ-ცოტად დავითანხმოთ ის ჩვენს ჯვარის წერაზედ.

—ჰმ! ეგ ცოტა ძნელი იქნება: მითხრა პოლკოვნიკმა: მაგრამ... შეიძლება ჩუმათაც ჯვარი დაიწეროთ...

—მართლა ბძანებ?

—მაგაზედ უადვილესი არა არის რა: ამ გვარად ჯვარს იწერენ ყოველ დღე.

—თუ ეგრეა, მე თანახმა ვარ ჩუმათ ჯვარის წერისა.

—ძალიან კარგსა იქმთ.. რაღას გააგრძელებთ... მაგისთჳს მიბ-ძანდებოდი სადგარში, რომ გელაპარაკნათ?...

—არა, მე გამოვყევ იმ იმედით, რომ იქნება მარგერიტა შემხვე-დროდა და იმისთჳს უნდა მეთქო ის, რაც თქვენ გაიგონეთ ჩემგან. ხოლო რადგანაც თქვენ შემხვდით და მიიღეთ ჩემში მონაწილეობა, მე იმას აღარას ვეტყვი.

ბესომპიერმა ჩამიყვანა ბაღის სეივანში, სადაც ჯერ არავინ დასეი-რნობდა, რადგანაც ადრე იყო.

—შეგვკრათ პირობა, მითხრა იმან: მე რიგიანათ დავტუქსავ იმ საძაგელ მარგერიტას, უბძანებ შეგიყვაროს იმან ისე ჩუმათ, ისე სა-იდუმლოთ, როგორცკი შესაძლებელია, და ვკისრულობ ჯვარი დაგ-წეროთ თქვენ, თუგინდ გრაფინია უარზედ იყოს... ეს ყოველი კარგია, მაგრამ მხოლოდ თქვენთჳს... მე რა საჩუქარი მერგება აქე-დგან?

—შენი საჩუქარი?

—მაშ? განა მარტო შუა კაცობა კმარა ჩემს წილად? ნუ თუ გსურ-სთ ისარგებლოთ ჩემის სამსახურით?

— მაშ რასა თხოულობ, პოლკოვნიკო? უთხარ მე სიცილით.

— პატარა ადგილს თქჳენს გულში... არ შეიძლება, რომ მთლივ თქჳენი გული მარგარეტას ეჭიროს... ვგონებ, აგრე რიგათ აღტაცებაში არ მოდიხართ იმისაგან? რასაკვირველია გუშინდელიდგან, ერთს დღეში, ვერ ჩაგბერამდათ ის ძრიელს სიყვარულსა, და ამიტომ გიბედამ მეც მინაწილოთ რამ მცირედი ნაჭერი სიყვარულისა...

— მართლა? ძალიან ცოტა?... თითქმის არაფერი?...

— ნება მომეცით, მხოლოდ გაკოცოთ ხოლმე ყოველთჳს, როცა კი შემეძლება, ასე რომ არავინ არა ნახოს.

— რას ბძანებ პოლკოვნიკო! შემთხვევა ყოველ დღე გამოგიჩნდებათ, თუ რომ კიდეც დაუწყებ ძებნას.

— მე მაგისი იმედი მაქჳს.

— შენ ხომ ცოლიანი ხარ, პოლკოვნიკო...

— ეგ რა სათქმელია! ცოლი!... რასაკვირველია, ჩემს ბაღჩაში ტურფა ვარდი დგას... მაგრამ განა ეს მიზეზია ყველგან ვყვიროდე, რომ სხვის ბაღების ვარდნი უსუნონი და უფერონი არიან? ნუთუ მე უნდა დამლილი მქონდეს იმათი ნახვა, იმათი ყნოსვა, იმათი მეხარვა?...

— თუ თქჳენ არა გრცხვენიანთ, მე მრცხვენიან, პოლკოვნიკო.

— ეგ გაივლის. მაინც თუ თქჳენ არა გსურსთ, თავისუფალი ხართ; ჩჳენი პირობა ჯერ არ არის შეკრული.

— პოლკოვნიკო, პოლკოვნიკო, ძალათ მართმევთ პირობას!

— გათავდა? მკითხა იმან.

— გათავდა, მომიცია პირობა.

ჩჳენ დავბრუნდით ფოჩტაში, დავაღვიძეთ ყველანი და ერთის საათის შემდეგ მივქროლამდით გზაზედ პარიჟისაკენ. ადვილათ ეტყობოდა, რომ პოლკოვნიკმა აღასრულა თავისი სიტყვა. მთელი გზა მარგარეტას რიგიანათ ეჭირა თავი. ამ ცვლილებამ თითქოს დაამშვიდა გრაფინია. სულ რიგზედ მიდიოდა საქმე.

გერტრუდინის დედუინმა მოინდომა შეტყობა ჩემის ისტორიისა. იმან ბევრი იცინა კამუზარის შემთხვევაზედ; ძალიან მოსწონდა აღარ დავბრუნებულვიყავ ჩემს მშობლებთან და გამომართო სიტყვა გაუკეთო იმას ვიზიტი ლუვრში. აქ უნდა მოვიხსენიო, რომ რადგანაც გრაფინიას სურდა ჩემი ხალხში გაყვანა, ამისათჳს იმან თავის ახლოს

მცნობებს უთხრა, რომ მე მითომ პატარა აზნაურ შვილის ქალი ვარ, და ეს მიმატყუება ჩემი გერცოღინიასაგან საკმაოდ ამტკიცებდა, რომ იმასაც ჭკვიეროდა ჩემი აზნაურთ წამომავლობა.

ჩვენ წამოვედით პარიჟში საღამოს შვიდ საათზედ. გრაფინია შე-იქმნა ჩემთან ისევ ალერსიანათ და მეგობრათ. იმის შვილი იქცეოდა ისე როგორც დაერიგებინა ბესომპიერს; ხოლო ამანკი მომტაცა ათი თუ თორმეტი კოცნა, როცა ცხენებს გამოვიცვლიდით ხოლმე ანუ როცა პურის ჭამას დავაპირებდით.

მეორეს დღეს მარგერიტას ჩააბარეს როცა სასახლის ეზოში. იმას უნდა სამი კვირა ერთმანერთზედ ესრულებინა სამსახური, რომ გაეცნო თავისი ამხანაგები და შეეტყო ყოველი ვალდებულების თავი-სის თანამდებობისა. ყოველ საღამოზედ ის მხოლოდ ორ საათს ატარებდა თავის დედასთან. ისე რიგიანათ ეჭირა იმას თავისი თავი ჩემთან, რომ გრაფინიამ ერთის კვირის უკან მითხრა:

—მე ძალიან გაწყენინე, ჩემო მარიონ! მე წარმომიდგა რაღაც ტუტუცობა; მეც ვტანჯავდი ჩემს თავს სულელურის ფიქრებით, რო-მელთაც უკვე გავლეს... დავივიწყე რაც გითხარი და მომიტევე.

იმ დროს, როცა გრაფინია ამას მეუბნებოდა, მე უკვე მედო მარგერიტასაგან მოწერილი წიგნი, რომლითაც ის მესვეწებოდა წავ-სულიყავ ლუვრში გერცოღინიასთან, და მარწმუნებდა, რომ ათას შემთხვეულებას ვიპოვნით აქაო ჩუმათ მოსალაპარაკებლად. მე ვჰკითხე გრაფინიას, როდის მომცემს ნებას გერცოღინიასთან წასვლისას.

—თუ გსურს, თუნდ ეხლავე, მითხრა იმან.

და რა დააწკარუნა ზარი, უბძანა კარეტის შებმა. მე მომრთეს მშვენივრად და წავედით. გავიარეთ მხოლოდ ორასიოდე ნაბიჯი და კა-რეტა შევიდა ლუვრის ეზოში. ყარაულის ოფიცერი მოვიდა ჩვენთან, თავი დაგვიკრა მდაბლად, იკითხა გვარი გრაფინიასი და უბძანა შე-გვიშონ: გერცოღი და გერცოღინია დელუფინი იდგნენ დიდრონს ოთა-ხებში, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ ხელმწიფის შვილებისათვის.—რო-დესაც ჩვენ გავიარეთ შვეიცრების ზალა, მუნდირში ჩაცმული ბესომ-პიერი მოგვეგება ჩვენ. მოიკითხა გრაფინია, გვითხრა ათასი კომ-პლიმენტი, იმან ჩაიგდო ერთი წამი, როცა გრაფინია მოეფარა ოთა-ხსა, და მაკოცა! რას ვეტყოდი; იმასა ჰქონდა მიცემული ნება.

გერცოღინიამ მიგვიღო სიხარულით. იმ დროს ის შინჯამდა და

ალაგებდა თავის მოსართავებს და გვიმჩვენა დიდ მშვენიერნი ძვირფას-სი ქვები ბირონის ცოლისა ელეონორასი, რომელნიც მეფეს ეჩუქე-ბინა იმისთვის იმ დილით. ერთს საათს უკან გრაფინია იძულებული იყო მარტო დაბრუნებულ იყო: გერტრუდინამ აღარ დაანება იმას ჩემი თავი და უთხრა, რომ ერთს კვირას არ გამოუშვებო.—

აი გაბრიელ დელორმის ქალი გადმოსახლდა, როგორც თავის სა-ხლში, მეფის სასახლეში. მხოლოდ ექვს კვირას გაევლო, რაც მე და-მენებებინა თავი ჩემის ღარიბის, ჭუჭყიანის სახლისათვის შალონში! ამეების მნახველს. როგორღა შემეძლო შინ დაბრუნება, როგორღა შევირთამდი კამუზარს, ანუ იმის მსგავსებს... გერტრუდინას ჰყვანდა აყვანილი ყმაწვილი ობოლი ქალი, სახელად ლიზა, რომლის აზნა-ურშვილობაც ისეთივე საეჭვო იყო, როგორც ჩემი. ლიზასაც ჰქონდა მეტად გაჭრილი თვალები; ყბედი იყო საშინელი და ქრევა ყველას აკვირვებდა და ფიქრიდგან შლიდა, ვინცა პირველად იმას ნახავდა. ის იყო ნათლული პრინცესსა კონტი, მაგრამ თვით პრინცესსაც არ მოუნათლა, არამედ იმისის სახელობით მეორე პირსა, ანუ რომ ლი-ზა მაღალის ხმით აცხადებდა თავის თავს პრინცესისა და დიდი გენ-რისის მეოთხის ქალად. არ შეიძლებოდა ადამიანს არ დაეჯერებინა— ისე ცხადად და გამბედაობით ის ამას ამტკიცებდა.

საღამოზედ გერტრუდინას სადღაც მოუნდა წასვლა. იმან დამტოვა მე ლიზასთან, რომელიც მაშინვე ახლოდ დამიმეგობრდა, მკოცნიდა ყოველ მინუტს და მომითხრობდა ათას სასაცილო ჭორებს. რა წამა-ვლო ჴელი, ლიზამ მომატარა მთელი სასახლე; ფარაულებში უშვებდნენ იმას დაუბრკოლებლივ; ის ყველას მიხსნიდა, ყველას მეუბნებოდა, ყველას იცნობდა. როცა ჩვენ მივედით ბოლოს ოთახთან მეფის მჯ-ლებისა, ჩვენ უნდა გაგვევლო სხვა გალერეია, რომელიც სავსე იყო შვეიცარლებით და ლეიბ გვარდიელებით, პირველნი იყვნენ წითლების მუნდრებით და მეორენი ცის ფერში, სულ ოქროთი და ვერცხლით მოქარგულნი. ესენი თავს გვიკრამდნენ, ახლო რომ გავუვლიდით ხო-ლმე. ერთი იმათგანი მოგვახლოვდა და გამოგვყვა გვერდზედ. მაშინ იმან ჩაუდო ჴელში ლიზასა ბარათი და განაგრძელა გზა სრულებით დამშვიდებულის სახით.—დიდი გაბედვა იყო; მაგრამ ლიზა სულ არ გაკვირვებულა; ჰსჩანს ის ჩვეული ყოფილა ამ გვარის მიწერ-მოწერას. როცა პატარა გავშორდით, ლიზამ გახსნა ბარათი და წაიკითხა:

—აა, აა! ჩემო საყვარელო, მითხრა: შენც გულის თაყვანის მცემელი ლეიბ გვარდიელებში!... კარგი! კარგი! გული ნუ შეგიწუხდება! მეც მაწევს სინიდისზედ ამ გვარივე დანაშაული... მართალს გეუბნებიან, ამბობდა ლიზა თავისთავათ, რა ზარათს მეორეთ დაუბრუნდა: ოთხში ნახვის დანიშვნა ისე საშიში არ არის... წავიდეთ!—

—რას კითხულობ? რას იწერებიან? ვჰკითხე მე აღრეულმა.

—მერმე შეიტყობ. ჯერ წავიდეთ მეფის ვახშამზედ.

—რას ამბობ? ჩვენ ვინ შეგვიშვებს მეფის ვახშამზედ!...

—ნუ მიყურებ ეგრე გაოცებული... თითქოს გლეხის გოგო ხარო დათვების ქუჩიდგან!... დღეს ამაღლებაა... საერთო დიდი ვახშამია; დავჩქარდეთ.—რა ეს ჰსთქუა, ლიზამ წამათრია სხვა გალერეიებისაგენ, რომელნიც ბრწყინავდნენ დაოქროვებულნი; მაჩვენა მე ზალა ელჩებისა, კაბინეტი რჩევისა, ზოგი ერთი დედოფლის ოთახები, ბოლოს შევედით ერთს დიდს პერედნაში, სადაც გამოდიოდა მრავალი კარებები—პურის საჭმელის სახლისა, ეკკლესიისა და მეორე გვარდიელების დიდი ზალისა. აქ ვნახე მე მრავალნი დიდ კაცნი და ქალნი, მშვენივრად ჩაცმულნი; ლიზა ყველას თავს უკრამდა, როგორც მცნობი.

მე თვალები აჭრელდა ამ ახალის სახილველისაგან: მე განცვიფრებით უყურებდი ქალებსა და კაცებს სასახლის ტანსაცმელით; ზოგს ეკიდათ მრავალი ორდენები და ლენტები, ზოგნი ბრწყინავდნენ ღიმილით და მეკლუცობით ატლასში, ხავერდებში, კრუჟევებში. ბევრი კაცი მოგვასლოვდა ჩვენ და დაგვიწყეს ლაზღანდარობა. ლიზეტა ყველას მახვილ პასუხს აძლევდა.

—ახ! გაჩუმდი, მოსიო მარილიაკ! ოცი წელიწადია, რაც მაგ ტუტუცობას უმეორებ ყოველ სასახლის ქალსა... უფრთხილდი მოსიო კარამაილ, მადამ დუ ფარჟი თვალს არ გაშორებს; მხოლოდ იმასა აქვს მიცემული ნება ლალატობისა. როდესაც ამ გვარად მოიშორა ლიზამ ყველანი, ის ჩემკენ წამოვიდა მოსაშველებლად. მეც შემომხვია შეიწროებულის ალერსებით. ლიზამ სკამზედ ჩამსვა თავის გვერდით, რომ უკეთესად დაგვეჩხრიკა, ვინც ჩვენკენ გამოივლიდა. ის არ აყენებდა თავის ცუდს ენასა და ყველას გულს ახამდა.—ღმერთო! მგონია რიშელიე დაიმალა იმ ფანჯარაში მშვენიერის მადამ მონმორანსით?... ოო, თუ რომ დიდი დედოფალი მარია მედიჩი გაიგებს!....

აი კიდევ დელავალეტი ჰკოცნის ყელზედ მადამ კომბალეხს... გავიქცეთ
აქედგან ჩემო საყვარელო; ჩუენი უმანკოება საშიშროებაშია ამ გვა-
რის მაგალითების ნახვით. ლიზა წამოდგა და გაბრუნდა გალერეისა-
კენ.

—მეფის ვახშამი? ვჰკითხე მე.

—მართალა! მე ვხედამ, რომ მისი დიდებულება არ გვექცევა საყ-
ვარლად, რაკი ამოდენი ხანი გვალოდინებს. უთუოთ გერცოგინია
დელუინის მხრის ხალი არის მიზეზი, რომ იმას მადა დაუკარგამს!.

—მე ბოროტო! არავინ არ უნდა დაზოგო? უთხარ მე.

—რასა ფიქრობ შენ, თქვა ლიზამ: არა გგონია, რომ გერცოგინიამ
მეტად იაფათ მოიპოვა მეფისაგან ორი მილიონის ძვირფასი ქვე-
ბი?... მაგრამ მეფე ისეთი ტუტუცია! ის ისევ ყმაწვილია, რომელიც
ბოლომდის ყმაწვილადვე დარჩება.—ამას წინათ მე ვნახე მეფე, თა-
ვის კუჩერს ეთამაშებოდა ბაღში; მზარეულს ჰხთხოვდა მურაბის გა-
კეთება ასწავლეო!... რა მეფეა! ოჰ, რათ შეჰხვდა დიდი გენრიხოსი
დღითა და სქესით!.. ის რომ არ შემცდარიყო, ლუდოვიკი ატარებდა
ჩემს იუბკასა და მე ვიქნებოდი საფრანგეთის მეფე!

ამის შემდეგ ლიზა პატარახან გაჩუმდა.

—შენ ნახამ, შენ ნახამ, მითხრა იმან: რომ პირველი პატივის მო-
ყვარე, ვინც მოიგდომებს, დაიჭერს მაგ ლოქოს (მეფეს), დააბამს მა-
ფიით და ათამაშებს როგორც უნდა! მაგას სრულებით არა აქვს სუ-
ლის ძლიერება; მაგას სრული ბუნებაც არა აქვს; მაგას ყველა აკლია,
თითქმის გულიცა; მაგას თავის დედაც არ უყვარს; მარშლის ბირო-
ნის სიკვდილის შემდეგ, დაამწყვდია ერთს ოთახში თავისი დედა,
მარია მედიჩი, ყარაული დაუყენა კარებზედ, და იქნება კიდეც გაის-
ტუმროს საითმე შორს... მოუმატე ამასთანავე, რომ ორს დღეში
ერთს სიტყვას არ ეტყვის ყმაწვილ დედოფალსა, თავის მშვენიერს
ცოლსა, რომელთანაც ისე ზის, როგორც მგელი; ერთის სიტყვით
სრულებით დაჰკარგავ ჩემის ძმის მეფის პატივისცემასა, თუ იცოდე
იმისი ბუნება და ხასიათი... მაგრამ ხმა!..ესლავ ნახამ იმას...

ჩვენს გარშემო რაღაც აყალ მაყალი შეუდგათ. სასადილო ოთა-
ხის კარებები გაალეს. გამოვიდა დარბაისელი. გაიარა ხმაურელ დიდ-
კაცებისა, და დაიკაკუნა თავისი ჯოხით კარები ლუიზ გვარდიის ზა-
ლისა.

—უფალნო! დაიძახა იმან: მეფის პრიბორი!—

მაშინ გამოვიდა ერთი გვარდიელი, ჴელში ხმალ ამოღებული. ის გაჰყვა დარბაისელსა და ორივ შევიდნენ მახლობლის კარებში. შემდეგ გამოვიდნენ ისევ და თან მოჰსდევდა იმათ სხჳა ხუთი ლაქია, რომელნიც შევიდნენ სასადილო ოთახში, გაშალეს სუფრა, მერმე აიღეს წვრილი პურის ნაჭრები, დაწმინდეს იმითი დანა, ჩანგალი, კოვზი და კბილების საჩიჩქნი მეფისა და შეჭამეს ის ლუკმები.

—ამ სიფრთხილეს იმიტომ ხმარობენ, მითხრა ლიზამა, რომ საფრანგეთის მტრებმა არ მოწამლონ ჩემი ძმა.—

დარბაისელმა კვალად გამოიარა ჩემკენ და დააკაკუნა მეორეთ თავისის ჯოხით კარებში ლეიბ გვარდიელების ზალისა.

—უფალნო! დაიძახა იმან: ხორცი მეფისათჳს!

ოთხი კაცი გამოვიდნენ ხმალ ამოღებულნი და შეჰყვნენ დარბაისელს მახლობელს კარებში. შემდეგ ისინი გამოვიდნენ სხვების ხუთის ლაქიებით, რომელთაც მოჰქონდათ ბლიუდები ხორცით; იმათაც ნასხეს გემოთ პურის შიგ ჩაწებით. როცა სტოლი გაამხეს საჭმელებით, ყველანი შევიდნენ. კაცების კრება დადგა მეფის სკამის უკან და ქალებისა—დედოფლის სკამის უკან.

ჩჳენ კარებზედ დავრჩით. შემობძანდა მეფე ლუდოვიკო შლიაპით თავზედ და ჴელით უალერსა კრებასა. ის იყო ჩაცმული შავს ტანისამოსში, რომლისაგანაც უფრო ყვითლად ჩანდა უიმისოთაც ყვითელი სახე მისი. მოყვანილება სახისა კარგი ჰქონდა, მაგრამ ასეთი ბეჭედი ედო სახეზედ მოწყენილობისა და ადამიანის მიუკარებლობისა, რომ ერთის შეხედულებით კაცი ჰსწუხდებოდა. ის იყო თვრამეტის წლისა, მაგრამ ოცდა ათისასა ჰგვანდა. ის დაბძანდა; დედოფალიც მარჯვნივ მოუჯდა; რაოდენისათაც მეფე მეჩვენა მე შეჭმუხვილი და დაღონებული, ეგოდენივე მეჩვენა მხიარულად დედოფალი; ის მშვენიერი იყო, როგორც ამური (სიყვარულის ღმერთი) და იმისი დიდრონი ისპანიური თვალნი ანათებდნენ როგორც ნაკვერჩხალი.

—ჰხედამ მარიონ, რა ლამაზია ანნა დედოფალი? მითხრა ლიზამ, ნუ თუ ბუნებას იმიტომ შეუქმნია ეგ ეგრე, რომ სულელმა ქმარმა გვერდით უჭიროს და არ შეამჩნიოს მაგისი მშვენიერება?.. ჩქარაც ამოიგრამს ეგ ცხვირში მაგისათჳს... თვალი ადევნე მარიონ, დედოფლის თვალებს: იგინი ხშირად შეხვდებიან ხოლმე ერთის ლამაზი ყმაწვილის

კაცის თვალებს, რომელიც ცდილობს ყოველთჳს დედოფლის პირ და პირ დაჰხედვეს... ჰხედავ, მარიონ?

— ვხედავ. რა ჰქვიან მაგ ყმაწვილს?

— გენრი მონმორანსი!... ოჰ, ჰხედავ ჩუენს ლამაზს გერცოგინიას ქმარსა, მითხრა ლიზამ, რა დაინახა მეფის სკამს უკან ერთი კაცი: ის ცდილობს მიიზიდოს ყურადღება მეფისა, მაგრამ ტყუილად ჰკარგავს დროსაც, შრომასაც: მეფე ყურს არ უგდებს იმას! ეს წყრომის ნიშანია.—

უეცრად მეფემ დადო თავის ოქროს თეფშზედ ერთი ხოხბისა და ბძანა:

— ბესომპიერი აქ არის?

— აქ გახლავარ! უპასუხა თვით პოლკოვნიკმა და წამოდგა წინ.

— შენ ცდილობ განგვარისხო ჩუენ, თუ რომ ყურს არ უგდებ ჩუენს ბრძანებასა, უთხრა იმას მეფემ.

— გავბედავ დაგარწმუნოთ, თქუენო დიდებულებავ, რომ მე თქუენ ბრძანებას უგულოთ არას ვასრულებ...

— ჩუენ ეხლა გამოვიარეთ ერთის ოთახის გვერდით და ვნახეთ, რომ კარებზედ შვეიცარელები არ იდგნენ ყარაულათ.

— ხელმწიფევ! თჳთ გერცოგ დელუინმა ნება მომცა...

— გერცოგი არ არის მართალი!.. ჩუენს მტრებს შეუძლიანთ მოისყიდონ მუშკატერები; ეგენი ახალნი სალდათნი არიან; მე ჯერ ვერ ვენდობი მაგათ. მე მსურს, რომ შენივე შვეიცარელები იყვნენ ყარაულათ დღეს საღამოიდგანვე.

პოლკოვნიკმა თავი დაუკრა და არა უპასუხარა.

— მაგრამ, მოუმატა მეფემ: ჩქარა მოვა დრო, როდესაც განვთავისუფლდებით ამ უსიამოვნებისაგან. ხვალ დიდი ბალი იქნება სასახლეში... მთელი ღამე იტანციეთ ქალებო და დილით გამოესალმენით ჩუენთან მარია მედიჩის. ჩუენ ვსთხოვეთ დედა ჩუენს წაბძანდეს ბლუაში.—

ლიზეტამ დამიჭირა მაჯა და გამომიყვანა.

— წავიდეთ, თორემ მე ვერ მოვითმენ! მითხრა იმან: მაგ კაცის ბოროტი გული მტკიცდება მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირებს თავის დედას წყენასა... ამასთანავე უნდა დავეშუროთ იმათ სანახავათ....

— ვის სანახავათ?

—ვერ მიხვდი? ჩუენი თაყვანისმცემლები გვყლიან.

—ვინ თაყვანის მცემლები?

—წეღან რომ საიდუმლო ბარათი მივიღე! ვიკონტ დელუდრი, მთელი თვია დამდევს, მაგრამ საწყალმა ვერა გაიტანარა... მე გამოვიცადე... ისა მწერს, რომ ძალიან მეგობრათა ვართ ერთს ყმაწვილს ოფიცერთან; ეს ახალი მეგობარი იმისი, მითომ შენი თაყვანის მცემელიაო და მითომ შენ ლუვრში იმიტომ უფრო მოსულხარ, რომ იპოვნო შემთხვეულება იმასთან მოლაპარაკებისა... მართალია, მარიონ?

მე თავი დაუქნიე.

—მაშ წავიდეთ რაღა, დროა! იმათ დაუნიშნავთ ჩუენთჳს ალაგი ნახვისა თეთრი ქრცხილის ხეივანში, წყლის პირთან. მე ძალიან მიხარიან, რომ ჰსწორედ გავიგებ ვიკონტ დელუდრის განზრახვას. მე უფლები სიყვარულში ძალიან დაუდევნელნი არიან. მე ბევრჯელ მომწყვდეულვარ... თუ რომ ამ პატარა ვიკონტმა ფიცი არ მომცა, რომ ჯუარს დაიწერს ჩემზედ თჳთ კანონიერის წესით, მე თითებზედაც აღარ გაგოცნინებ იმასა... ეგო რაც აქამდინ მატყუა.—

—მეც ეგრე მოვექცევი მარგარეტსა, უთხარი მე.

ამ ლაპარაკით ჩავედით ჩუენ ბაღში და შევედით ქრცხილის ხეივანში.

აქ დაგვხვდნენ ჩუენი საყვარლები, რომელნიც. რა ხედავდნენ ჩუენს უარზედ დგომას, თანახმანი გახდნენ ჩუენზედ ჩუმათ ჯუარის წერისა.

—ბესომპიერი, სთქუა მარგარეტმა: ძალიან მოსერხებული გაცია; ის თავის პოლკიდგან მოგვცემს ღვდელსა.

—კარგი, უპასუხა ლიზამ: მაგრამ ჩუენ უნდა ჯუარი დავიწეროთ ისე, რომ ლუვრიდგან არ გამოვიდეთ; მე უბრალოდ დაპირებას არ ვენდობი და მე გრაფინია დელუისის სახლს დაუტევებ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ქმარს გავჰყვე.

მეც უპასუხე მარგარეტსა, რომ მანამ ღვდელი არ გვაკურთხებს, ტყუილად ის ნურას ეცდება.

—ჩუენ ისევ ბესომპიერს უნდა მივმართოთ! ჰსთქუა მარგერიტმა: ხვალ ბალის დროს იმას შეუძლიან ღვდელი მოგვგვაროს სასახლის ეკლესიაში; მაშინ ყოველი თქუენი სურვილი აღსრულდება.

—აგრე ჰსჯობს, ჰსთქუა ვიკონტმა: ჩუენ ყველანი ჩუმათ გამოვიდეთ ბალითგან შუაღამისას და შევიყარნეთ ეკლესიაში.

ამის დაწყების შემდეგ ჩუენმა საქმროებმა დაგვიჩოქეს, გვაკოცნეს

რაც შეეძლოთ ჴელებზედ, გაარწმუნეს თავიანთ უცვალებელს სიყვარულში, ასე რომ ჩუენთჳს დიდხანს იქ დარჩენა საშიში იყო.

— მშვიდობით ხვალამდინ! უთხარით და სიხარულით გამოვიქეცით.

მეორეს დღეს, ბალამდისინ, გერცოგინია დელუინმა მოატანინა ჩემთჳს და ლიზასთჳს ორი მშვენიერი ატლასის კაბები იის ფერი და მოგვრთო თავისის ბრილიანტებითა. ამ დროს მოვიდა ჩემი ნათლიაცა თავისის სახლის კავალერებითა: ვილარსოთი, როზკრუათი და სხვებით.— როზკრუა სრულებით იმედს არა ჰკარგავდა ჩემს გამო, ის მეტად საყვარლად მოვიდა ჩემთან, ამოიოხრა სამჯერ, წარმოსთქო სამი ოთხი დასწავლილი სიტყუა და ბოლოს მომაწოდა თავისი ჴელი ფერჩატკებში გამოკანკლული, რომ შემეყვანე ბალის ზალაში,—

იქნებოდა ათი საათი. ლუვრის გალერეია ენთებოდა ცეცხლში, აყვავებული და გაბრწყინებული კრებას კაცთა და ქალთა, ჩაცმულნი და მოკაზმულნი ძვირფასის ქვებით და ყვავილებით ღელავდა დაუცხრომლად, კასკასებდა, ხმიერებდა, შრიალებდა. ამაებისაგან და დუხების სუნისაგან ასე შემომბრუნდა თავში, რომ მე მაგრა ჩამოვეკიდე ჩემს კავალერს როზკრუასა. საწყალმა წარმოიდგინა, რომ ეს ნიშანია განსხვავებითის ნარნარებისა და თჳთონაც მიპასუხებდა მეტის მეტად ჴელისა და მკლავის მოჭერით. მე ვისარგებლე ამ გვარის როზკრუას გამბედაობით და გავექანე ბესომპიერისაკენ, რომელიც იყო კავალერად გერცოგინია დელუინისა, როდესაც ეს ქალი დედოფალთან ჩამოჯდა კრესლოზედ.

— მე დიდად მიხარიან, უთხარ მე ბესომპიერსა, რომ თავისუფლად შემიძლიან თქჳენთან მოლაპარაკება. თქჳენ მხოლოდ იმისთჳს გამოჩნდებით ხოლმე, რომ კოცნა მომგლიჯოთ... განა მე როდისმე შემიმცნევინებია, რომ თქჳენი ლაპარაკი უსიამოვნო არის ჩემთჳს?

— გაფრთხილდი, მარიონ! შენ თჳთონა ჰსდგამ ნაბიჯს წინა!

— ეს ნაბიჯი სიცოცხლის ნაბიჯია! უთხარ მე: მითხარ, თქჳენ უნდა მოიყვანოთ ღჳდელი თქჳენის პოლკიდგან?

— მოვიყვან, მიპასუხა იმან მშრალად.

— ღმერთო ჩემო! რა მოგსვლიათ?

— არა ფერი... ნუ ჰსწუხარ... თქჳენ გაგილებენ სასახლის ეკლესიასა და თქჳენი ჯუარის წერა შესრულდება დაუბრკოლებრივ.. მეგი. წყალ გაღმა. მე ნებაც არა მაქვს ჩემს ბედზედ ჩივილისა! მე ცოლიანი ვარ! მე

არ შემიძლიან გარდავიხადო სიყვარული ჯეჭარის წყლით... მე ეს ყოველივე ვიცი, და ამიტომ უფრო ვრაცხამ ჩემს თავს უბედურად.

მე ვნანობდი, რომ როზკრუას თავი დავანებე. ბესომმზიერის სიტყვებმა მე ამრიეს.—

—გამიგონე, მარიონ, მითხრა ბესომმზიერმა: შენა გაქვს ღონისძიება დამიბრუნო იმედი...

—რა იმედი?

—ესა რომ, მითხრა ნელა, საიდუმლოს ბეჭდის დასმით, მხოლოდ ჩუენ შორის... რომ შენ არ გიყვარს მარგერიტა, რომ არასოდეს იმას არ შეიყვარებ, რომ ეს ქორწინება არის მხოლოდ შენთვის გაბე საზოგადოებაში შესასვლელად, რომ თუ მე თავისუფალი ვიყო, მე გერჩივნებოდი იმას.

—ეგ მართალია, პოლკოვნიკო! თქვენ მაჩვენისართ იმას, თუ თავისუფალი იყოთ...

—კმარა, კმარა! მე მაგითიც ვმადლობელი ვარ. გმადლობ, მარიონ! წავიდე მოვამზადო ყველაფერი... თავში ამდენი სხუა საქმეები მაქუს!... დიდი დედოფალი მარია მედიჩი შემეხვეწა გამომიშვით, მასკას ჩამოვიყვანო, რომ არ მიცნონ... იმას სურს მოლაპარაკება რიშელიეხთან... საწყალი, ბევრს რასმეს კარგს არ გაიგონებს!... ერთის სიტყვით, დროება აღარა მაქუს.—. წამოდი ისევ როზკრუას ჩაგაბარო. ბესომმზიერმა მოუწოდა როზკრუას, რომელიც შორი ახლო დაგვტრიალებდა.

—აქ მოდი! ქრისტიანო ჭაბუკო, უთხრა იმან: ერთხელკი მოუტევებია ამ ქალსა და მერეთ ნუღარა ჰსცდი კელის მოჭერასა.—

ბესომმზიერი წავიდა. როზკრუა სიხარულით ცაში დაფრინავდა. იმის საუბედუროდ, მაშინვე ვიდამაც ყურში წამჩურჩულა: ეგ თავიდგან მოიშორე; მე მინდა შენთან მოლაპარაკება,»—

რა თავი მივიბრუნე, მე ვიცან სორელენი. თავზედ ქუდი მოვიხვი და დავიძახე:

—ახ, მოსიო როზკრუა, მე ყვითელი ბრილიანტი დამკარგვია, ყურთან რომ მქონდა გარჭობილი... აქ თუ დამკარგვებოდა სადმე! თუ ღმერთი გწამს, მონახე. უკანვე გაბრუნდი; მე აქ მოგიცდი... ჩქარა, ჩქარა ჩემო ძვირფასო!—ის მაშინვე გაბრუნდა უკან და დაიღუნა თავი საძებნავად ხალხის ფეხქვეშ იმ ბრილიანტისა, რომელიც არასოდეს არ

მქონია. მე და სორლენიკი გავეშურენით.—ჩქარა, ჩქარა! მეუბნებოდა ის: დიდის მოუთმენლობით გელის შენი მეგობარი.

—ვინ მეგობარი?

—დებარო, სხვა ვინ იქნება! მითხრა იმან: განა ვერ მიხვდი?

—არა, არა! მე არ მინდა იმის ნახვა! თავი დამანებე, არ შეიძლება!

—რატომ? რა დანაშაული აქვს იმას შენთან? ეგრე სასტიკად რათ მგიდები? ერთი კვირაა შენ იმას უკანვე უბრუნებ ხოლმე წიგნებს გაუხსნელებს.

—მართალია. მე გუნებაში კიდეცა მქონდა, რომ ჩემი ნათლიისათჳს მეთქო, გააგდოს საკრავის ოსტატი, რომელიც ჰბედავს იმის ბარათების ჩემთან მოტანასა.—

—უთუოდ შეუბეზღებიათ ვისმეს შენთან დებარო!... მგონია შენ კიდეც გიყვარდა ოდესმე დებარო... ნუ ერწმუნები მტრის სიტყვასა.. მერწმუნე, მე პატიოსნის განზრახულებით მიმყავხარ შენ იმასთან.—

ამ ლაპარაკში იმან გამაცილა რამდენსამე ოთახს, ასწია კიდევ ფარდას. შეაღო კარები და შევიდა ბნელს ოთახში, სადაც სუსტად ბჟუტავდა სინათლე; აქ ძლივს მოდიოდა ბალის საკრავის ხმა. სიბნელისაგან შეშინებული მე შევდექი და უთხარ:

—არა, აღარ გამოგყვები შორსა!.... მე არ მინდა არც ნახვა და არც ლაპარაკი დებაროსთან... ამასთანვე ახლა უკვე გვიან არის.

—გვიან არის, მარიონ? რას ნიშნავს ეგ თქმა? მკითხა დებარომ, რომელიც თითქოს მიწიდგან ამოძვრა.

მე კინაღამ გული შემიღონდა და მივეშვი კრესლოზედ, რომელიც მოეხწია ჩემკენ სორლენმა; შემდეგ ამას მითხრა:

—შენ იმყოფები ჩემ და რიმელიეს სახლში. ჩემს მეგობარს დებარომ მითხრა, თუ რომ მარიონს პირისპირ არ მაჩვენებ და არ მალაპარაკებ, თავს მოვიკლავო. ნათქვამია, ძმანი ჭირთა შინა სახმარარიანო. მე დავპირდი, რომ გაჩვენებ მეთქი, მაგრამ ამასთანავე შევჰფიცე, რომ გავაფრთხილებ მეთქი: ახლა მარიონ, შენ თჳთონ განსაჯე. არ გიკვირს, რომ შენს ნათლიასთანვე დარჩე? იქ იმედი გექნება კანონიერი ქმარი შეირთო, იქ შენ პატივისცემა გექნება, რიგიანათ მიგიღებენ საზოგადოებაში... იფიქრეთ აგრეთვე, არა ჰსჯობს რომ დაუჯერო დებაროსა? ეს თავის დღეში შენზედ ჯუარს არ დაი-

წერს, ადრევე გეუბნები; მაშასადამე შენი მდგომარეობა მეტად ცხადია; შენი ამორჩევა უნდა იყოს სიყჳარული ანუ პატიოსნება. თუ რომ სიყვარული გირჩევნიან, დარჩით დებაროსთან, ამიტომ რომ ამას უყჳარხარ, გაგიყვებით უყვარხარ... და თუ შენ პატიოსნებას რჩეულობ, აი ჩემი ჴელი: მე მზათა ვარ იქვე წაგიყვანო, საიდგანაც ეხლა გა-მოგიყვანე.—

ამის ლაპარაკში დებაროს ეჭირა ჩემი ჴელი და მაგრა იკრავდა ტუ-ჩებზედ და გულზედ. და ძლივს იმაგრებდა ტირილს. მე მეჩვენა, რომ ერთმა წვეთმა ცრემლმა ჩემს ჴელზედაც გადირბინა.

—მე მესმის თქჳენი სიჩუმე, მითხრა სორლენმა: თქჳენ რჩევით, იცოდეთ თავისუფლებას არავინ გართმევსთ და თუ როდისმე იგრძ-ნობთ ტანჯვას სინიდისისას... მე უკალომც ვიყო.

—კარგი! დავატანჯე მე: მე დავაყვედრებ მხოლოდ ჩემს თავს... გრჩები.

სორლენი გავიდა.

—აი, ჩემო მეგობარო, უთხრა მე დებაროსა: რა საშინია შენი ძულვილება ჯჳარის წერისა! შენ კინაღამ პირველსავე დღეებში მტრად გადამექციე ჩემი ნათლია; შენ იძულებულს მყოფ ვებრძოლო ჩემს გულსა, გაქცეოდე შენ, რომლისაც მე სურვილი მაქჳს, რომ განუშორებლივ შენთან ვიყო, ჭეშმარიტს სიყჳარულს არ ექნება ძულვილი...

—მოიგონე. მარიონ, ჩჳენი პირველი შეხვედრა, მითხრა დება-რომ: მე მახსოვს გითხარი, მე მეტად მიყვარხარ მეთქი, რომ შენ-ზედ ჯჳარი დავიწერო. მე გიძღვნი ჩემს ქონებას და სიცოცხლეს; სხჳა მეტი რაღა გინდა? უთუოთ ბორკილი გინდა? მე მძვინვარებით შევმუსრავ მაგას ჩჳენის ქორწინების მეორეს დღესვე... ჯსწორეთ, მე შემძულდები იმ წამიდგანვე, როდესაც შენ იძულებული იქნები გიყ-ვარდე მოვალეობისგამო, და არა გულის წადილით, გულის თქმით!.. გეუბნები, შეგიძულებ მეთქი ჯჳარის წერით; ესლაკი ასე მიყვარხარ, რომ მზათავარ სიცოცხლე შემოგწირო. ეცადე გაიგო ჩემი ჯაზრი: მე იმიტომ არ ვიწერ შენზედ ჯჳარსა, რომ არ მინდა ზიანი მივს-ცე ჩჳენს ბედნიერებას.

—ნუ ცდილობ, დებარო, მაგითი თავის გამართლებას. სად არის შენი მსხვერპლი? შენ რასა მწირავ, ჩემგანკი თხოულობ ყველას. მე რომ შენ დაგიჯერო, ბიაბრუთ უნდა გავხდე ქვეყანაში.

—ეგ ძველებური ჩვეულებაა, მარიონ, ძველებური! შენ მშვენიერი ხარ, მდიდარიხარ; ხვალვე მთელი პარიჟი ფეხ ქვეშ დაგეგება. და თუ-თონ დებარომ პირველმა დამიჩოქა.

—თუ რომ გატყუებდე, მარიონ, თუ რომ ვსტყუოდე მეხი და-მეცეს თავზედ; შენ აღემატები დიდრონ კაცების ცოლებს. შენ გექ-ნება სასახლე, როგორც დედოფალსა! როცა პარიჟი მოგწყინდება, ჩვენ წავიდეთ სამგზავროთ იქ, სადაც ფრინველნი მხიარულად ჭიკ-ჭიკებენ... შენ ნახამ რა თავის მოწონებით ვაჩვენებ მე მთელს ევ-როპას შენს მშვენიერებასა. ყოველს დროს წლისასა — ამოვირჩიოთ ახალი ჰავა, ახალი სტუმრობა, ახალი კმაყოფილება. ჩვენ გვიყვარ-დეს ერთმანერთი ყოველ მხარეს, ყველა რჯულში, ყველა ხალხში.....

დაჰკრა შუა ღამე სასახლის საათმა. დებარომ შეამცნია, როგორც მე შევთრთოლდი.

—შენ უცხოდ იკეთებ შენს საქმესა, უთხარ მე: ჩემს გულში არის სიმები, რომელთაც შენ აწკარუნებ, მაგრამ საუბედუროდ მე შევხვდი კაცს, რომელიც მტერი არ არის ქორწინებისა, როგორც შენა!... ეხ-ლა მე ის ეკკლესიაში მელის.

—შენ მე მატყუებ! შეჰყვირა იმან და წამოდგა კანკალით.

—არა! ტყუილი არ შეგვფერის არც მე და არც შენ. აი საიდუმ-ლო ჩემის სიტყვებისა, წეღან რომ გსთქვი: «უკვე გვიან არის!»

—გერწმუნები, ჰსთქვა იმან აღრეულებით: ყმაწვილი კაცია შენი საქმრო?

—შენზედ უფრო.

—მდიდარია?

—ძალიან.

—და ჰსწორედ ამაღამ იწერს შენზედ ჯვარსა?

—ის ეხლა მზად არის, მხოლოდ მე მელის.

დებარო პატარა ხანს დაფიქრდა. მერე ძალა დატანებით მითხრა: კარგი, შენ იცი!.... მშვიდობით მარიონ!

—დებარო, უთხარ მე მთრთოლვარის ხმით: იფიქრე ჩემო საყვა-რელო... ჯერ კიდევ შემიძლიან დავმალო ყველა... და ეხლავ გამოგყ-ვები შენა, თუ რომ შემომფიცავ, რომ ჯვარს დაიწერ ჩემზედ...

—არასოდეს, არასოდეს!

დებარო მიასხოლვდა კარებს გასასვლელად. ამ დროს შემოვარდა

სორლენი ძალიან შეშფოთებული. იმან წაავლო ჴელი დებაროსა, სა-ჩქაროთ მოვიდა ჩემთანაცა და მითხრა:

—დაიმალენით, თორემ დავიღუპე!—

ჩუენ შევცქეროდით იმას გაოცებით. იმან მოუმატა: ამ ოთახს ორი გასასვლელი აქვს ეპისკოპოზი რიშელიე მოდის მარჯვნივ და დიდი დედოფალი მარცხნივ.... რაღაც საიდუმლო ნახვა უნდათ... ისინი არასოდეს არ მომიტევებენ მე, რომ აქ მოწმეები მომიყვანია... აქ მოდით, ფარდას უკან!... ჩქარათ, თუ ღმერთი გწამსთ?—

იმან შეგვყარა ფანჯრის ღოლაბში. თითქმის იმ წამსვე შემოვიდნენ მარია მედიჩი და რიშელიე იმ ოთახში. სორლენის შიში ჩუენც გადაგვედო. ჩუენ ვეღარც ვიძროდით, ვეღარც ვსუნთქავდით.

—რა უგუნურად მოიქეც! შეჰყვირა რიშელიემ, რა მიჰსწია დედოფლისაგან ის [illegible], რომლიდგანაც მე წამოვდეგ.

—დიდი ხანია გელოდი მე შენ, უპასუხა ქალმა. შენ იცი ექვსი კვირაა რაც მე უბედური ვარ, რაც მე ვიტანჯები... ისინი განსჯას უპირებენ საწყალ ბირონის ცოლს ელეონორასა, ამასაც ისე მოჰკლავენ, როგორც ამის ქმარი მოკლეს... ეს საშინელებაა! და შენ ამ დროს მარტო მიშვებ, უნუგეშოდ, უიმედოთ, მაშინ როდესაც შენ ეგრე ადვილად შეგიძლიან მოატყუო ყველას სიფრთხილე! ბესომპიერმა დაარღვია მიცემული ბძანება: იმან მომცა ნება შენთან აქ შეხვედრისა, თორემ მე უნდა წავსულიყავ შენი უნახავი.

—მეფემ დამიმალა...

—ჰსტყუი!

—გარწმუნებთ...

—უსვინიდისოთ ჰსტყუი! ჩემა შჯულმა თჳთონა გთხოვა შენ გამაცილო ბლუამდინ.

—მე რომ სასახლე დავუტევო, მე მოვკალდები ჩემს ალაგს. კარგათ მოგეხსენებათ, თქუენო დიდებულებავ, რამდენი მტერი მყავს, რომელნიც არ დაზოგავენ ენას...

—ეგრე ჰსთქვი! პირმოთნეობას ისევ მირჩევნიან გავიგონო შენგან უკეთილშობილო გატეხილი მართალი... მაშ ეგრე, ჩემზედ ჴელს იღებ... ჩემგან, შენის კეთილის მყოფელისაგან, შენის დედოფლისაგან, რომელსაც ჰქონდა სისუსტე...

—შეჰსდექით... თუ რომ ყოველნი თქუენი ერთგულნი მოსამსა-

ხურენი გამოგყოლიყვნენ პარიჟიდგან, მაშინ ვიღა დაგიფარავდათ თქუენ აქა...

—ნუ თუ ჩემს დასაფარავად რჩები სასახლეში, უთხრა დედოფალმა მწარის დაცინვით: მაშ აგრეთვე ჩემს დასაფარავათ თუ დამეგობრებიხარ ჩემს მტრებსა? უთუოთ ჩემის გულისთვისვე უჩოქებთ გერცოლინის დელუსონსა და ცდილობ ჩემს შჳლს შეაყვარო ისა?... ოო, ჩუმათ იყავ! მე ყველა ვიცი!... უბრალო ღუდელი, რომელსაც მე დავხურე მიტრა (სამღუდელო-მთავრო ქუდი)! გესლიანი გველი, რომელიც მე გავათბე გულში!...

—მე არ მოვითმენ მაგ გვარს წყენას! უთხრა რიშელიემ.

—მე გაგხადე შენ კაცათ! ჩემგან ყველა უნდა გაიგონო და აიტანო!

—მითომ რის იმედი გაქუსთ, დედოფალო. ეგრე რომ მამცირებთ?

—იმედი! ეს კიდევ მიბედამს იმედის თქმას! მე გიბრძანებ შენ, გესმის თუ არა? მე კიდევა მრჩება იმდენი ერთგულნი ჴელნი, რომ დასაჯონ ორგული კაცი, რომელიც ივიწყებს დედაკაცს, რომ გარდუხადონ უმადურსა, რომელიც ღალატობს დედოფალსა! შენ უნდა წამამყვე ბლუაში.

—არ შეიძლება.

—მე მსურს! მე გიბრძანებ! შეჰყვირა მარია მედიჩიმა გაცოფიანებულმა.

თრთოლამ დაიარა ჩუენს ძარღვებში.

—აა! განაგრძელა დედოფალმა: უთუოთ შენ ძალიან გეძნელება განშორება მშუენიერს გერცოლინისთან... აგრეთვე მადამ მონმორანსი ატირდება, რაკი შენ წახვალ!

—თუ ღმერთი გწამთ, ნელა ილაპარაკეთ! მოასხენა რიშელიემ: თქუენი ხმა ბალის ზალებში გავა.

—როგორა შიშოა! თუ ჩუენში დასამრახისია ვინმე აქ შემოსვლით, რასაკვირველია ისევ-მე; ჩემის გულისათჳს ნუ შრომობ შეწუხებას.

რა ამ სიტყვებს აბოლოვებდა, მარია მედიჩიმ დაინახა უეცრად ჩემი მარაო, რომელიც დამრჩა ფანჯარაზედ კრესლოსთან ახლოს, სადაც მე ვიჯექ

—შენ აქ ქალი გყავს? შეჰკივლა გაბასად დედოფალმა.

—ქალი? განიმეორა რიშელიემ გაოცებულმა.

მე შიშისაგან ცახ-ცახმა ამიტანა და სუნდრუკში მყოფივით წავავლე ჴელი ფარდასა. დედოფალმა დაინახა, როგორც ფარდა შეინძრა, მო-

ვარდა ის ჩემკენ და ძალათ გამათრია შუა ოთახში. იმან ვერ დაინახა ვერც დებარო, ვერც სოროლენი, რომელნიც მიყუნწულიყვნენ მეორე ფანჯრის კუთხეში.

—ეხლაც ნუ გატყდები! შეუკივლა დედოფალმა რიშელიეს. მე დავინახე, როგორც დედოფალმა ამოიღო უბიდგან პატარა ხანჯალი, რომლის პირიც ანათებდა, როგორც ელვა. მე გაცივებული შიშისაგან მოვეხვიე იმას მუხლებზედ. რიშელიემ არ იცოდა სიზმარში თუ ცხადად ჰხედავდა ამას.

—რა ლამაზი ქალია! ჰსთქვა დედოფალმა კასკასით: მომილოცავს უფალო რიშელიე, გემოვნებითი ამორჩევა.. ეხლავა ჰსთქვი, რა გქვიან, თორემ მოგკლავ! მიბძანა დედოფალმა ხანჯალი ამართულმა.

შეშინებული, რომ მართლა არ მომკლან, დებარო გამოვიდა თავის სამალავიდგან, აგრეთვე სოროლენიც იძულებული შეიქმნა გამოსულიყო. დედოფალმა მაშინვე პირზედ მასკა ჩამოიფარა. აქ კაცების დანახვით დედოფალი გაოცდა. მე ვისარგებლე ამით, წამოვდექ და გამოვარდი ელდასავით. მაგრამ ტყუილად ვცდილობდი გამეგნო გზა. მე უკვე დავაპირე მეკითხა ყარაულებისათჳს, როგორც დავინახე ჩემი ბებერი კავალერი როზკრუა, რომლის შეშინებულმა სახემ კინაღამ გამაცინა. იმან უკვე გააღო პირი რიღასიც სათქმელად, მაგრამ მე პირზედ ჴელი მივადე და უთხარ:

—ვერ იპოვნე ჩემი ბრილიანტი?... კარგი! საკჳრველიც არ არის ამდენს ხალხში.... თუ ღმერთი გწამს, გზა მაჩვენე აქაური ეკკლესიისა... მე ეხლა დიდს შიშს გადავრჩი და მინდა დაუმადლო ღმერთსა.

იმას უნდოდა მკლავი ეთავაზებინა ჩემთჳს.

—არა არა! უთხარი მე: მხოლოდ გზა მასწავლე, და შენ ისევ მონახე ქინძისთავი.

—ეხლა თქვენი ნათლია... მე რომ თქვენ დაგეძებდი... როზკრუას აერია სიხარულით სიტყვები.

—კმარა, მიპოვნე ყვითელი ბრილიანტი და კარგს ჯილდოს მიიღებ.

—კოცნას? მითხრა იმან.

—ჰო, ჰო, კოცნას, თუ რომ მიპოვნი! უთხარ მე და ეკკლესიისაკენ, გავიქეცი; ნახევარ საათითაც დამგვიანებოდა, მე გადავწყვიტე, რომ უთუოდ მოუღო ბოლო ჩემს მდგომარეობას. რასაკვირველია,

პირველად რა ჩემი ნათლია შეიტყობდა ჩემს ჯუარის წერას იმის შჳლზედ, განჩხლდებოდა და მოისმარებდა ყოველ ღონის ძიებას ჩვენის გაყრისათჳს. მაგრამ იმედი მქონდა, რომ ბოლოს მოგვიტევებდა.—ესრეთ, ჩემის გამბედაობით მოვიპოვებდი მაღალ მდგომარეობას და ღარიბი ეგზეკუტორის ქალი დაიჭერდა ალაგს გამოჩენილთ სასახლის ქალებთა შორის. მე ამ ფიქრში წამოვიძახე აღტაცებით: ჩემო ბედის მკითხაობავ! ჩემო იღბალო! მომეშველენით!

მარგერიტა დამხვდა ეკკლესიის კარებზედ.

—ძლივს! ჰსთქვა იმან: კინაღამ მოვჰკუდი მოუსვენრობით.... ღუდელს მოთმინება მოელია. მარკიზმა ლუდრმა და ლიზამ კიდეც დაიწერეს ჯუარი, და წავიდნენ.

—ჩუენ აღარ მოგვიცადეს?

—ჩუენ ჩქარა ვიპოვნით იმათ, მითხრა მარგერიტამ: მე და მარკიზმა დავიჭირეთ ერთი განშორებული სახლი... იქ უნდა დავმალოთ დროებით. ჩუენი ბედნიერება და სიხარული.

ეკკლესიაში ბნელოდა; იმას ფანჯრები სასახლის ოთახებისაკენ ჰქონდა და ამისთჳს უგუნურება იქნებოდა სანთლების ანთება. მე დავინახე სიღრმეში მხოლოდ რაღაც პატარა სინათლე, საითკენაც მარგარეტას მივჰყვანდი. ეს იყო ოქროს კანდელი, რომელიც ბჟუტავდა საკურთხეველის მარჯვნივ, იმის ახლოსაც იდგა მღუდელი; ამის უკან იდგნენ ორი ლეიბ გვარდიის სალდათები, რომელნიც იყვნენ მოწმებათ ლიზასი და ვიგონტის ჯუარის წერისა, და ჩუენთჳსაც ესენი უნდა ყოფილიყვნენ.

ჩუენ დავიჩოქეთ მოძღვრის წინ, რომელსაც თავზედ წამოფარებული ჰქონდა კაპიშონი (ყაბალახივით). იმან დაიწყო ლოცვების კითხვა. მე გული მიცემდა შიშითაც, სიხარულითაც; ხან ცხელს, ხან ცივს ოფლს მასხამდა. მარგარეტას ეჭირა ჩემი ხელი მაგრა. იმან უკვე შემიცვალა თითზედ ბეჭედი, ღუდელმა უკვე ორჯელა მკითხა, მსურს თუ არა?

მე შევიმაგრე გულის ბგერა, დავიყრუე სინიდისის ხმა და უთხარი მტკიცედ:

—ჰო, მე თანახმა ვარ ცოლობისა გრაფი მარგარეტა ეკრემონისა.

რაკი წარმოვსთქვი ეს სიტყვები, მაშინვე ასეთი ლაწანი გამადინეს ლოყაში, რომლის მსგავსიც მგონია, არასოდეს ქალის ყბას არ მიუღია!

რასაკჳრველია ამ სასიამოვნო სილას, სასიამოვნო სიტყვებიც მოჰყ-

ვებოდნენ ყურისთჳს.

—თანახმა ხარ განა, შე ურცხვო, ჩემს შჳლზედ ჯუ̂არის წერისა! აი როგორ მეც ვამტკიცებ შენ თანხმობასა!.. ეგრე მიხდი განა მადლობასა ჩემის ზრუნვისათჳს, ჩემის მოწყალებისათჳს, რომლითაც აგავსე, შე უნამუსოვ, შე გლახავ, გლახის შჳლო!... ეგ იყო სამაგიერო ჩემს სულელურის სიყუ̂არულისა!—

თუ რომ დედამიწა გასეთქილიყო ჲ ასი ადლი უფსკრული ფეხ ქვეშ მდებოდა, იმაში ჩაძრომას ვინატრებდი, ვიდრე ამ შერცხვენასა.

მეტად ადვილია ახსნა მიზეზისა, რომლის გამოც იმ დროს ჩემმა ნათლიამ მოგვაგნო; მე უნდა გავამტყუვნო ჩემი ქარიანობა, ჩემი წინად-დაუნახაობა. როდესაც მე დავუტევე როზკრუა ბრილიანტის სამებნელად, ის შესულიყო საბალო ზალაში ჲ მისულიყო ჩემს ნათლიასთან, რომელიც აშფოთებული თურმე მე დამეძებდა. მე არ მითქვამს როზკრუასათჳს, რომ იმას არა ეთქორა ჩემზედ, ამისათჳს ჩემის ნათლიის დასამშჳდებლად ეთქო იმას, რომ მე სასახლის ეკკლესიაში ვარ. ეს გაჰკვირვებოდა ჩემს ნათლიას ჲ უნდოდა შეეტყო, რაზედ მომგონებია მე იმ დროს ლოცვა ბნელს საყდარში. ისინი შემოსულიყვნენ ჩუმათ, სიბნელემ დაგვიმალა ჩუ̂ენ იმათი მოახლოვება. რა ყური დაუგდეს ლოცვასა, ისინი მაშინვე მიხუ̂დნენ ყველასა. ჲ როდესაც მე წამოვსთქვი თანხმობა ჲ ვახსენე იმისი შჳლის სახელი, იმ დროს მითავაზა საყვარელმა ნათლიამ ის დაუვიწყარი სილა.—როგორც მეხ დაკრულნი, ყველანი ისე გავხდით. ერთის ხელით გრაფინიამ მე ამწია ზეზედ, მეორეთი ცდილობდა აეგლიჯა ღუ̂დელისათჳს პირიდგან კაპიშონი.—

—მე უნდა ვნახო, რომელი ღირსი ეკკლესიის მსახური ჰსწერს ჯუ̂არსა უმაწჳლ კაცებს იმათი მშობლების უთანხმოდ.

მღუ̂დელმა უკან დაიწია ჲ საშინელის ხმით გაიცინა.

—კმარა, გრაფინიავ, დამშვიდდით! ნუ თუ გინდა მეც სილა შემომკრათ ისე, როგორც ამ საცოდავს ქალსა, რომელსაც დანაშაული [illegible]ში აქვს. აქ მარტო ჩუ̂ენა ვართ დამნაშავენი.—დამშჳდდით, ვნება ისე დიდი არ არის, როგორც გეგონათ.—

რა ეს სთქუ̂ა, მღუ̂დელმა თჳთონვე გადიწია კაპიშონი, ჲ მე ვიცან იმაში ბესომპიერი! მე მიწასთან ვიყავ გასწორებული; გრაფინია გაოცებული დარჩა. მარგარეტა გავარდა საჩქაროთ სალდათებით...

ჰაწყა ლამაზაც ეგონა, რომ ის ჭეშმარ დარ[illegible] გონიერათ!

— ოხ, პოლკოვნიკო! უთხრა გრაფინიამ: განა ღმერთს ეგრე აწყენს თავისავე ტაძარში? სირცხვილი და ცოდო არ არის?

— რა ვქნათ, გრაფინიავ! ეს ახალგაზდა ქალები სულ ჭეშმარის წერას ნდომობენ. თუ ხან და ხან ამისთანა ხუმრობას არ ვითამაშებთ, ჩქარა დავბერდებით...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, პოლკოვნიკო. მე მრცხვენიან შენს მაგიერად!

— ნახვამდის, გრაფინიავ! წაბძანდით აქედგან და ეცადეთ არსად არ გავიდგამოვიდეს ეს ხმა... ჩვენ მოვილაპარაკოთ ამაზედ, როცა გული დამშვიდებული გექნება.—

ეს მოღალატე კაციც გავიდა. დავრჩი მე მარტო ნათლიასთან და როზკრუასთან.

— ქვეყნის დასაცინავი უნდა გახდე ახლა შენ, მითხრა გრაფინიამ, რა დამიჭირა ჴელი და გამიყვანა საყდრიდგან, და დღეიდგანვე ჴელი უნდა ავიღო შენის გათხოვების იმედზედ.

— თუ რომ ნებას მომცემთ, გრაფინიავ, ჰსთქვა როზკრუამ, მე ჴვალად გთხოვ ამის ჴელსა.

— როგორ, ჩემო მეგობარო! განა კიდევ თხოულობ ამ ქარიანსა?.. აი, მარიონ, მითხრა გრაფინიამ ლბილის ენით. ღვთის მოწყალება მოგვეშველა კიდევ. ჩვენ საიდუმლოთ დავიცვამთ შენს დღევანდელს ეშმაკობას; დღეს, თორემ აღარასოდეს აღარ გექნება შემთხვევება დამავიწყო შენი ქცევა.—მე ნებას გაძლევ დარჩე პარიჟში მხოლოდ ამ პირობით, რომ უთუოთ შეირთო როზკრუა... რას იტყვი მარიონ?

მე ტვინი ამერია სირცხვილისა და სიანჩხლისაგან. მინდოდა მენთხია ვიზედმე გულში შეკრებილი შხამი, რომელსაც ჩემი ნათლიის სიტყვების შემდეგ, მომასხლოვდა შეყვარებული ბებერი, სიხარულისაგან აყვავებული და დარწმუნებული, რომ ჩემი პასუხი დააგვირგვინებს იმის იმედსა, მე ყინულებრივ გულგრილად უპასუხე იმას:

— უკაცრავოთ, კავალერო... მე არ შემიძლიან მივიღო თქვენი თავაზიანი თხოვნა..- თქვენ მეტად უმაწვილი ბძანდებით ხასიათით; იქნება წლოვანებასთან ჭკუაც შეგეცვალოს, და მე მოვიცდი, ვიდრე ახის წლისა შეიქნებით.

ის უკან შეჴსდგა გაოცებული.

— თავი დაგვანებე, როზკრუავ, უთხრა გრაფინიამ.

მაშინ ჩუჱნ ჩასულნი ვიყავით სასახლის დიდს ეზოში. გრაფინიამ სიტყუა ამოუღებლივ დამიჭირა კელი და ჩამსო კარეტაში, რომელიც სიახლოვეს იდგა; კურიერსაც ჩუმათ რაღაცა უბძანა.—

კარეტამ გამოსწია არა გრაფინიის სასახლისაკენ, არამედ სხუა მიყრუებულს ქუჩებისაკენ; მერმე ვნახე, რომ კარეტა ქალაქს გარეთ გავიდა და შეუდგა აღმართს ასვლას. მე ვკანკალებდი სიცივისა და შიშისაგან და გაუბედაობითა ვკითხე გრაფინიასა, სად მივყევარ; იმან პასუხი აღარ მაღირსა. დასასრულ მე წარმომიდგა ბნელაში დიდი გუმბათი და შენობა, რომლის წინაც შესდგა კარეტა. კურიერი ძირს ჩამოვიდა, მივიდა კარებთან და სამჯერ დააკაკუნა მძიმის რკინის ჩაქუჩითა. გამოვიდნენ ორი მონოზანი; ერთს ფანარი ეჭირა, მეორეს აჩონჩხლილი გასაღებები. ისინი მოვიდნენ კარეტასთან ჩუჱნს გასაშინჯავად. უთუოდ იმათ გრაფინია იცნეს, ამიტომ,რომ იმათვე გააღეს კარეტის კარები და გადმოგვსვეს. მე კანკალმა ამიტანა.

—შენი ჭირიმე, ნათლიავ, მაპატიე! შევჭყვირე მე და მოვეხვიე მუხლზედ.

—რას სულელობ! მითხრა იმან: მე სანახავად მოვსულვარ იგუმენიასთან (მონოზნების უფროსი). ეხლა ცისკრის დროა. შეუძლიან მიმიღოს. შევედით. კარები დაკეტეს. გრაფინიამ დამტოვა მე კარების მცველ მოლოზანთან.—პატარასანს უკან მოასხა იმან ოთხი მოლოზანი, რომელნიც გარს შემომერტყნენ, რომ არ გავქცეულვიყავ.

—შენს გარდას, მადმუაზელ დელორმ, მითხრა გრაფინიამ მკვახეთ: დარჩით ამ წმიდა მონასტერში იქამდისინ, ვიდრე დედა ჩამოგივა და წაგიყვანს შენს ქვეყანაში, რომ მოვალეობიდგან გამოვიდე მე შენის ქცევისა. იმან ცივად თავი დამიკრა და გაქრა. მე შევჭკივლე, მინდოდა უკან გამოვსდგომოდი, მაგრამ მოლოზნებმა არ გამიშვეს.—არ იყო მცირედი იმედი გამოპარვისა! მე ტყვეთ ვიყავ. კელმწიფის სასახლიდგან მე ჩამომაგდეს მონასტრის სენაკში. მე ვიწყე ყვირილი, ტირილი, ტანისამოსისა და თმების გლეჯა. სულ ფუჭილად. ამ მწუხარე სამყოფში არავის ვებრალებოდი. გაჩუმებულნი, ფერწასულნი მოლოზნები მიდგნენ წინ, როგორც მოჩვენებანი, რომელნიც მზათ იყვნენ გულგრილათ გაეღოთ ჩემთჳს საფლავის კარი. ჯერ ვესვეწებოდი, ვევედრებოდი, ვთხოვდი ცრემლით გამეშო კარზედ, რო არ შემიბრალეს, ახლა დაუწყე ლანძღვა, ცემა, ტანისამოსის გლეჯა, კელებზედ კაწვრა.

ეს სიანჩხლე ჩქარა გამინელეს იმათ: წამავლეს ხელი, წამათრიეს სარდაფისაკენ, ძალათ ჩამათრიეს ბნელს და ნოტიო ცადაქნილ სარდაფში, მკრეს ხელი და ჩამაგდეს საპყრობილეში, მერმე მომიკეტეს კარები და ამოვიდნენ. დავრჩი მარტო ბნელაში· არსაით ისმოდა ფაჩუნი, არსაით ადამიანის ხმა. ჩემი ყვირილი ესმოდა მხოლოდ ღმერთს, ამიტომ რომ სქელს კედლებს ვერ გაატანდა. რისხვა ჩემი დაწყნარდა. წარმოვიდგინე ყოველი ჩემი გარდასავალი; მე ჩემს უბედურებაში ისევ ჩემს თავს ვაბრალებდი; სხვების მოტყუება მინდოდა, და მე თვითონ გავები მახეში. მე ვემსგავსებოდი იმ უბედურ ფარვანებს, რომელნიც დასტრიალებენ სანთლის დიდს შუქსა და იწვამენ იმაში ფრთებსა. მე მესმოდა, რომ ამ დღიდგან ყველა გათავდა მე და ჩემს ნათლიას შორის; ის მიჯნურს დედაჩემს შალოხში; იქიდან ჩამოვა ეს სასტიკი, ეს მართალი, ეს შეუბრალებელი დედაკაცი, ჩემს წასაყვანად... ამ ფიქრით სისხლი მიყინდებოდა ძარღვებში.

განვლო რამდენიმე დრომა. არც ერთი სხივი სინათლისა არ ჩამოვარდნილა ჩემს საპყრობილეში. ყინულოვანი სინოტივე [illegible] მხრებზედ და დამისველა თმები. [illegible] ნაწილებს. სიცივისაგან გაყინული მე წამოვდექი, [illegible] კედლები [illegible] და [illegible]; მე ცივს კედლებს ხელი [illegible] წყალი ჩამოდიოდა, მე მეგონა, რომ ჭიანჭველები დამძვრებოდნენ. შიშის წყალი ამომდიოდა გულიდგან.

—მიშველე! მიშველე ღმერთო! [illegible] მე.

ჩემი ყვირილი [illegible]. [illegible] მოტრიალდა კარის კლიტეში და დავინახე ორი მოლოზანი [illegible]. მე მივე იმათ [illegible] მოთმინებისა და მორჩილებისა. მე ამომიყვანეს საპყრობილედგან, სადაც მე ერთი საათი ვიყავ. [illegible]. მე შემიყვანეს წმინდა ოთახში, ამინთეს [illegible] და [illegible] ჩაგიძინო.—მიდიოდგან წამოვდექ [illegible] [illegible]. მე [illegible] ჩემი სინათლის წიგნი, რომლის [illegible] მოლოზნებმა. ბოლოს [illegible], ხან ჩემს თავს [illegible], ხან სხვებს, [illegible] გამოქცევას აქედგან და [illegible] [illegible].—[illegible] [illegible] არ [illegible] ჩემი ამბავი; მე ვფიქრობდი დედაზე. [illegible] წაიყვანა ის თავისმა ტრფიალმა ქმარმა? მე თითონ [illegible] [illegible], რა მაგონდებოდა იმისი მოწყალება, არ ვიცი რათ მიყვარდა მე ეს სქელი კაცი; მე ამაზედ უფრო ცოტასა ვფიქრობდი, ვიდრე

მარგარეტაზედ, რომლის სათამაშოც მე შევიქენ, მაშინ, როდესაც მე მინდოდა ეს გამესადა იარაღათ ჩემის ბედნიერებისა.—ნეტა რა მოუვიდა ჩემს მარაოს დიდი დედოფლის ხელში?—ნუთუ დიდ ხანს დავრჩები მონასტერში და ვერას შევიტყობ ამდენი ამბავების ბოლოს?..

საღამოს ექვს საათზედ შემოვიდა მოლოზანი და მითხრა, რომ ჩვენი უფროსი გიბარებსო. მე გავჰყევი იმას და შევედით გრძელს ტალანში, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ იყვნენ მოლოზნების სენაკები. ჩქარა მივედით იმის ოთახშიც. მარია ბოვილე, მონოზნების უფროსი, ყოფილა ოდესმე მალიან ლამაზი; ეს ადვილად ეტყობოდა იმის გამხდარ სახესა, მაღალ და კეკლუცა ტანსა, თუმცა ის ორმოცის წლისა უკვე იყო. როცა მე შევედ, ის წამოდგა კრესლოდგან, თავი დამიკრა და მიმიწვა მეც თავისთან ახლოს დასაჯდომად. ის პატარა ხანს გაყუჩდა თითქოს აზრის მოსაკრეფავათო და ბოლოს მითხრა დაწყნარებით: «შენ მალიან უმაწვილი ხარ, ჩემო შვილო!... რასაკვირველია შენ ხშირად არ შეგიმცნევია, რომ ჩვენ იმისთვისა ვართ აქა, რომ ვიტიროთ და ვიტანჯებოდეთ. რაკი ვცდით ხოლმე ვიშოვნოთ ბედნიერება ჯსწორეს გზიდგან გადასვლით, ჩვენ მაშინვე დაგვკრავს ხოლმე ღვთის ხელი. ისინი უფრო საბრალონი არიან, რომელთაც ის არ ახლევინებს ამ ქვეყანაში, ამიტომ რომ საიქიოს დასჯის იმათ. აი რისთვის ჭეშმარიტნი ქრისტიანენი მიიღებენ ყოველსავე მადლობით, თითქმის უსამართლოებასაც: იმათ [illegible]სენი ცაში ჩეეთვლებათ... მგონია დღეს მკაცრად მოგეკიდნენ, ჩემო შვილო?

—ღირსი[illegible]გიყავ წმიდაო დედავ! მოვახსენე მე.

—ეგ პასუხი ღვთისაც მოსაწონია. მითხრა მონოზანთ უფროსმა, მაგრამ უნდა გითხრა, რომ საპყრობილეში ჩაუგდიხართ უჩემ ბრძანებლოდ. მე ცისკარზედ ვყოფილვარ, როდესაც ჩემს თანაშემწეს მოუსდენიათ ეგ სასტიკი განკარგულება.—ღმერთმა მიუტეოს... შენ დილას მიჰსწერე წიგნი შენს ნათლიასა; იმას პასუხი მოუწერია ჩემთან და შენი ნივთებიც გამოუგზავნია. აი წიგნი.

მე ცივმა ოფლმა დამასხა. გარდვიკითხე პასუხი.

«მადმაზელ დელორმი ირყეოდა ქმრისა და მონასტრის აღმორჩევაში. მგონია ეხლავე მონასტერი ირჩიოს ქმარსა. რადგანაც არა აქვს სრულებით წადილი საქმროსი, და მალიან კარგსაცა იქს, თუ

დაემშურება ეკურთხოს მორჩილათ, (*) მაგრამ იქნება მშობლების სიყვარული ვერ დაჰსთმოს და მოინდომოს იმათთან წასვლა; მე არ შემიძლიან მაგაზედ უარის თქმა.» —

წიგნი გამვარდა ჴელიდგან და სისუსტე მომივიდა;მე დავიწყე ტირილი.

—იტირე, შვილო, მითხრა მონაწილეობით იგუმენიამ: ცრემლი ამსუბუქებს გულსა.გარწმუნებ.მე შენზედ მეტი მწუხარება გამომივლია! ადამიანის ბუნება სუსტია და გულის ქარიშხალი, როგორც ღრუბელი, უნდა წვიმად გარდიქცეს... იტირე, შვილო! ლოცვა ცრემლს მოჰსდევს.—მე მეგონა, რომ ანგელოზის ხმა მესმის,რომელიც განგებ ჩამოსულიყო ზეციდგან ჩემის მწუხარების განსაქარვებლად.—მარია ბოვილემ რა იცოდა, რა ცოტა ღირსი ვიყავ იმისი ნუგეშის ცემისა.

—ჰო, შვილო ჩემო! მითხრა იმან: ეგრე თავდება ყოველი ამ ქვეყნის სიყჳარული, ცრემლით და ნანვით! რათ უნდა გვიყვარდეს ჩუენ კაცი და ვთხოულობდეთ იმისგან ნეტარებასა? ჩალა ვერ შეიმაგრებს ჩალასა, შვილო ჩემო! რა არის სიყჳარული? განხრწნილი გრძნობა დამტკბებელი იმის შემდეგ ნანვისა და სირცხვილისა..- დამიჯერე მე, შვილო ჩემო, ნუ გექმნება ხიმმულღვარე გრაფინიასი; ის ქვეყანაში ჰსცხოვრებს, ის მიჰსდევს ქვეყნის დიდებასა, იმისი შვილი მდიდარია, შენ ღარიბი ხარ; ის დიდის ჩამომავლობისაა, შენ უბრალოსი; არასოდეს ნებას არ მოგცემსთ ისა თქუენს ქორწინებაზედ. დამიჯერე, დაბრუნდი შენს მშობლებთანა.—

—არა, არა! შევჰყვირე მე! თუ ღმერთი გწამს, მომარჩინე დედა ჩემსა!.. მე ვეკურთხები, მე თქუენ აღარ მოგშორდებით!...

იგუმენიამ მიმიკრა გულზედ.—ღმერთმა ჩაგბეროს, შვილო ჩემო, ეგ წმიდა სურვილი, მითხრა იმან: მე დაუმადლი ღმერთსა ჩემთჳსაც და შენთჳსაც, ამიტომ რომ ვჰგრძნობ, რომ შემიყვარდი, მიიზიდე ჩემი გული.

მე კვალად მივჰსწერე წიგნი ჩემს ნათლიასა და ვჰსთხოვე ნუ აცნობებს ჩემს მშობლებსა. რაღა საჭირო იყო დედისჩემის დაბარება პარიჟში, როცა მე მონასტერში ვაპირებდი შესვლას და მთელის სიცოცხლის აქ ჩამარხვას?

(*) ახალთ შესულებს მონასტერში ჰქვიანთ მორჩილი, ეს არის პირველი ხარისხი.

გრაფინია მეთანხმა ამ თხოვნაზედ და თვითონ იკისრა ფულის მე-ტანა ჩემთვის მონასტერში.

განვლო ერთმა კვირამ. არასოდეს სარწმუნოება არა მგონებია ესრე მანუგეშებელი; მე მგონა ღვთიური მალამო მიგრილებდა გულსა, რომელიც აქამომდე სავსე მქონდა ქვეყნიერის კმაყოფილების სურვილით, ამპარტავნებით, პატივის მოყვარეობით. ხშირად ვიყავი ხოლმე იგუმენიასთან, ხშირად ვისმენდი იმის ზნეციურს დარიგებასა. თვალები მემსება ცრემლით, როდესაც მოვიგონებ ხოლმე იმ დროის დამშვიდებულს ცხოვრებას, იმ წმიდა ნეტარებას.—რისთვის დაგტოვე, წმინდაო სადგურო, სადაც ხათნოებამ მაჩვენა სიტკბო თავისი? წყეულიმც იყოს ის დღე, რომელმაც ამომგლიჯა ამ სავანედგან და ჩამაგდო მყუდროების წიაღიდგან ხმაურს ქარიშხლისა!... ჰსჩანს გადაწყვეტილი იყო ზევიდგან, რომ უნდა ამესრულებინა ჩემი დანიშნული ბედი. ეშმაკს შეეფიცა წავერთმევინე ცისათვის!—

ერთი თვე იქნებოდა, საკვირველი ამბები ჰსწარმოებდა მონასტერში. ახალი ბაღში, ეზოში, სენაკებში რაღაც იდუმალი რჩევა და ჩურჩული წარმოსდგებოდა. ყველას სახე მოღრუბლული იყო, ყველას ყურები მასვილი. ერთი მოლოზანთაგანი შემოიხედავდა ხოლმე გარეთ და ესაუბრებოდა. მსმენელნი ყურს უგდებდნენ ხოლმე ამის ლაპარაკს, ზოგნივე ყარაულათ იდგნენ, რომ დროით ეცნობებინათ ხომ არავინ მოდის იმათკენ, ვინც არ ერია ამათ მოლაქლაქებაში.—ამათაც ჰსცოდნიათ შეთქმის შედგენება ისე, როგორაც გარეთ ქვეყანაში.—რამდენჯერმე შევამჩნიე, როდესაც გავივლიდი ხოლმე ამ კრების ახლოს, რომ ჩემს მოახლოებაზედ გაწყვეტილი ლაპარაკი ანაზდად შეიცვლებოდა ხოლმე სხვა საგანზედ.—ამან მეტად აღმაშფოთა და მე ვკადრე გამეცხადებინა ჩემი მოვლენა იგუმენიასთვის. ის მეტად გაწყრა და მიპასუხა:

—მე დიდი ხანია ვიცი, რომ იმათ ჰყავდე; მე ვიცი იმათ ბოროტი განზრახულებანი: ისინი მე ხელიდამ მიპარვენ!

—დიდებულო ღმერთო! შევჰყვირე მე: რას ბძანებ?

—იქნება ეს დასჯა ჩემი ზეციდგან არის! ჰსთქვა იმან: მე არ უნდა მიმეღო წოდება იმათი უფროსობისა... მე არ ვიყავ ამისი ღირსი. ბევრმა ჩვენმა დებთაგანმა იცოდნენ, რა საციეური საქმე გადამხდა მონასტერში.

—საციეური? გავიმეორე მე გაკვირვებით.

—ჰო, შვილო! მე დიდი ცოდვილი ვარ ღმერთთან; მე იმდენი

ცრემლი არ მექნება, რომ გავბანო ერთის დღის შეცთომილებას ჩემი. დღეს არის თუ ხვალ შენ შეიტყობ ამას დაწვრილებით... მე დარწმუნებული ვარ, რომ მოლოზნებიც ამაზედ ლაპარაკობენ. მე გეტყვი შენ ჩემს დანაშაულსა, რომ სხვებისაგან არ გაიგო.—მაშინ მომიყვა ის თავის ისტორიასა, რომლის თქმაშიც ხშირად დავიხრიდი ხოლმე პირს თვალებსა, რომ არ მენახა სიწითლე იმის სახეზედ.—

მარია ბოვილიე, უნცროსი ქალი გრაფისა, ადრე შეგზავნილი ამ მონასტერში, ემზადებოდა საკურთხებლად, როდესაც გენრიხი მეოთხე (ესპანელი მეფის მამა) ჯარით მოადგა პარიჟის ასაღებად. იმისი ჯარი მონასტრის ახლოს იყო დაბანაკებული; იმ დროს მონასტრის კანონებს მეტად სუსტად აღსრულებდნენ. მონოზნები სრულებით შევიწროებაში არ იყვნენ, ხშირად იწვევდნენ სუფრაზედ აფიცრებს გენრიხისას, რომელიც იყო ქვეყანაზედ ყველაზედ გამბედავი დამმარცხებელი ქალაქებისაცა ჲ ქალების გულისაცა. გენრიხმა ჩქარა შეამცნია მონაზონებთა შორის ერთი ლამაზი, რომელსაც ცხადად დაუწყოლევნა. ეს ქალი იყო მარია ბოვილიე.

ერთს ღამეს გენრიხმა გაბედა ამ ქალის სენაკში შესვლა, დაამარცხა ამის წინააღმდეგობა ჲ გააბედვინა მონასტრიდგან გაპარვა აბრაშუმისაგან დაწნილის კიბით, რომლის ერთი წვერიც გაემაგრებინათ გალავნის კედლის კბილზედ. შემდეგ იმას წაეყვანა ეს ქალი კევრის ციხოვან ქალაქში, სადაც მეფე გენრიხი თავისუფლად დაიარებოდა ხოლმე იმასთან.—მაგრამ, ბედის წერის შემთხვევით, იმავე ქალაქში იმყოფებოდა მარიას ნათესავი ქალი სახელად გაბრიელ, გამოქნილი ჲ მოკვეთილი არშიყობაში ჲ თვალების თამაშობაში; ამან წაართო სიყვარული მეფისა საწყალს მოლოზანსა, რომელმაც არა იცოდარა ეშმაკობა კეკლუცობაში. მარიას უყვარდა მხოლოდ გულით, მაშინ როდესაც იმის ნათესავს უყვარდა ის ჭკუით, რომელსაც იშვიათად ჰკარგამდა ხოლმე. განძევებული გენრიხის გულიდგან გაბრიელის სიყვარულით, მარია ჩქარა დაუბრუნდა ისევ თავის მონასტერსა. იმან გამოიმგლოვა თავისი ქცევა, ეკურთხა მონოზნად ჲ ქარიანმა საყვარელმა გენრიხმა დანიშნა ის იგუმენიათ იმავე მონასტერში, საიდგანაც თითონ გააპარა. ეს საკვირველი ნუგეშია მწუხარეს მოგონებაში!

მარია ცხარის ცრემლით ტიროდა ამის მოთხრობაში, მე ვხედავდი რა ღრმად შეუძლიან სიყვარულსა ჩაუშოს ფესვები ქალის გულში ამ

ბნელს შენობის ქვეშაც, მარიას არ გამონელებიყო სიყვარული გენრი-ხისა, და ეხლაც თაყვანსა ჰსცემდა იმის სახსოვარსა. მედალიონში ჩას-მული, იმისი პორტრეტი ეკიდა გულზედ განუშორებლივ. და მაჩვენა აბრეშუმის კიბე, რომელსაც ინახამდა საიდუმლოდ განჯინაში. როდე-საც რავალიაკმა მოჰკლა ხანჯლით გენრიხი, იმისი სისხლიანი პერან-გი მოუტანა მარიასა ბესომპიერმა.—თუ რომ სხვას ეთქვა შენთვის ეს ისტორია, დაატანა მარიამ, რასაკვირველია ბევრს რასმეს მოუმატე-ბდნენო. ხმა დამიყარესო, რომ შემდეგ ჩემის მოსვლისა მონასტერში მითომ მეფე კიდევ მობძანდებოდაო ჩემს სანახავათ. მაგრამ ეს ტყუილი ცილის წამება არისო. ოცის წლის სინანულმა და ცრემლმა ვერ მოიპოვეს ჩემს მონოზან დებთან შეწყალებაო.—იმის შემდეგ სიმკაცრე ჩამოვარდა მონასტერშიო, რომელიც ეხლა მძიმედ მიაჩნიათ მონოზნებსა და ამისთვის მაპარებენ სიკუდილსაო. დაე მამკლან, მე ღუთის ნებას ვასრულებო.

იგუმენიამ მითხრა გაუგო როგორმე, რა განზრახულება აქვს მო-ლოზნების შეთქმასა იმისგამო. ადვილად შეიძლებოდა განრჩევა ამათ-ში მტრებისა და მოყვრებისა, ამიტომ რომ ვინც შეთქმულები იყვნენ, ისინი ჩურჩულებდნენ, იმალებოდნენ, სახეც შეშინებული და არეული ჰქონდათ, ხოლო ისინიკი, რომელნიც არ ერივნენ და არა იცოდნენ რა, ჩვეულებრივ ასრულებდნენ თავიანთ წესსა. ზოგი ერთნი შეთქ-მულებთაგანი, რა ვერ მორიგდნენ თავიანთ მეგობრებთან, გადმოვი-დნენ ჩუენკენ, და იმათგან გავიგეთ, რომ ეს შეთქმულება არის სასა-რგებლოთ იგუმენიის თანაშემწისათვის, რომელსაც სურდა ჩქარა მიე-ღო წოდება და ალაგი მარია ბოვილიესი. შეთქმულნი ძალიან ოსტა-ტურად მალამდნენ თავიანთ საიდუმლოსა და ადამიანი ვერაფერში ეჭვს ვერ მიიტანდა ამათში. მე ვეძებდი შემთხვეულებას დამეჭირა რომელ-სამე ჩუმს მოქმედებაში იგუმენიის თანა შემწე, რომ მაშინვე ყველას-თვის მეთქო და გამემტყუვნებინა. ეს შემთხვევა მომეცა მეორეს დღეს ქრისტეს სხეულის დღესასწაულისა. (ვარდის ფენოვა).—მონასტერში იყო ჩვეულებად სალამოზედ უნდა ყველანი შეკრებილიყვნენ ერთ სა-კითხავს ოთახში, რომლის კედლებთან გარემემო იყო გაკეთებული სკამები ჩამოსასხდომად: ოთახის შუა იდგა კათედრა, სადაც მარია ბოვილიეს ეჭირა ალაგი. აქ გვიკითხამდა ხოლმე ის წმიდა მამათ ცხოვრებას, გვიხსნიდა სახარებას ანუ სხვა სასულიერო წიგნებს. ამის ჩიასლოვეს იჯდა ხოლმე თავის თანაშემწე, რომელიც შუა კითხვის

დროს, ანიშნებდა ხოლმე ვისმეს თვალითა, და მაშინვე ის წამოდგებოდა, მოუტანდა ვერცხლის სტაქნით შაქრის წყალსა და დასდგამდა იგუმენიის ახლოს საწიგნეზედ. ესეც წამდა უწუმ მოსვამდა წყალსა და აგრძელებდა თავის კითხვასა ანუ ახსნასა.—

იმ დღეს მე მახსოვს მარია კითხულობდა ახალს თხზულებას გენუელის ეპისკოპოსისას, რომელსაც აქებდნენ «შეყვანილება ღუთის მოყვარეობის ცხოვრებაში» ჩვეულებრივ, იმის თანაშემწის ნიშნით მოუტანეს ვერცხლის სტაქანი წყლითა და დადგეს. მარიამ ალერსით შესედა მომტანს. უეცრად ერთი მონოზანი, ჩემს გვერდზედ მჯდომი შეთრთოლდა თითქოს შიშისაგანაო, და გაყვითლდა. თანაშემწეს სახე უფრო მოშლილი იყო და ის თვალს არ აშორებდა იგუმენიას, რომელმაც მიიდო საჩქაროდ სტაქანი ტუჩებზედ. ყრუანტელმა დამიარა მე ტანში; ელვამ გამირბინა თავში. მე მივარდი მარია ბოვილიესა და გამოვგლიჯე ჴელიდგან სტაქანი, რომლისაგანაც იმას ჯერ ცოტა მოესვა. მოძრაობა, მოქმედება ყოველი ესე ასე მსწრაფლად მოხდა, რომ მონოზნები წამოდგნენ განკალით, ფერ გადაკრულნი.

—რა იყო? შვილო ჩემო, მკითხა იგუმენიამ.

—ამ სტაქანში საწამლავია! უთხარ მე გაბრაზებულმა, რა შევხედე იმის თანა შემწესა. ამან დაიძახა: სტყუი, სტყუიო!

—მაშ დანარჩენი შენ დალიე! უთხარ მე, და მაგით დაგვაჯერე შენი უბრალოება. თანაშემწე გაყვითლდა და მიჯდა სკამზედ შერცხვენილი.

—მოდით ჩემთან, დანო ჩემნო, მოდით! უთხრა შიშით მარია დებოვილიემ. ერთს წამს, რომელნიც არ ერივნენ შეთქმულებში, მოესვივნენ იმას გარეშემო; ზოგი ერთნი ჩუჱნი მტრებიც, რა ნახეს რომ საქმე ვერ მოიყვანეს რიგზედ, გადმოვიდნენ ჩუჱნკენ. მხოლოდ ხუთიოდენღა დარჩნენ გაცალკევებულნი რომელნიც იყვნენ პირველნი დამნაშავენი ამათ შიშით თითქოს მუხლები დაეხუთათო, სირცხვილით ველარ იძროდნენ ესენი ალაგიდგან.—მე პირველმა ვაჩვენე მაგალითი გულადობისა და მივარდი თანაშემწეს; მაგრა შევკარით და ჩქარა მოუკეტეთ მძიმე კარები იმ საპყრობილისა, რომელშიაც იმის ბრძანებით მე გავატარე ერთი საათი საშინელს შეწუხებაში. ჩუჱნ ადვილად შევიპყარით იმისი ამხანაგებიც; მაგრამ ამ არეულებაში დაგვავიწყდა მივშველებოდით იგუმენიას, რომელსაც მაინც იმდენი საწამლავი შეესვა, რომ იმის სიცოცხლე საშიშროებაში იყო და უკვე გამოაჩნდა ნიშნები მო-

წამლეულობისა. ჩვენ მაშინვე წავიყვანეთ ის თავის სენაკში, მოვატანინეთ თფილი რძე და საღამოზედ დავრწმუნდით, რომ საშიში აღარა სჭირს რა.—მეორეს დღეს მთელმა პარიჟმა შეიტყო ეს ამბავი. მარია ბოვილიეს კიდევ ბევრი მცნობნი და ნათესავნი ჰყვანდნენ სასახლეშიაც. და ყოვლის მხრიდგან მოდიოდნენ იმის სანახავად. იმან მიიღო პრინცესა გონდე, მადამ დე-ნევერ, მარშალი დე-ბულონი, მადამ ლაფაიეტა და სხვები, რომელნიც მე უნდა შემეყვანა ხოლმე მარიას სენაკში. თითქმის ეხენი მე ყველანი მენახა სასახლეში, და ამათგანში ვერც ერთმა ვერ მიცნა მონოზნის ტანისამოსში პირ ახვეული. ჩემი ნათლიაკი არ მოსულა, მგონია იმის შიშით, რომ მე არ შემხვდეს; მაგრამ მე ჩქარა შევხვდი სხვის მხიარულ ნაცნობს სახლსა.—

—როგორ! მარიონ ეს შენა ხარ?.. საწყალი ქალი!.. როგორ აცვია!. ვმადლობ ღმერთსა ამ შეყრისათჳს. გრაფინია არ გვეუბნებოდა, სად დაგმალა; წარმოიდგინე ჩვენი მოუსვენრობა. დებარო საშინლად გაშფოთებულია და გრაფინიას უპირებს აუტესოს რამა.. მე საგურველი უბედური ვარ!.. სულ მეორე პირათ, შუა გაცათ! როცა ერთი თაყვანის მცემელი გაქრება, მეორეს ვპოვებ ხოლმე შენთან... მაკოცე.... რა ლამაზი ხარ მონოზნების საცმელში!

—შენგნით არ მიკვირს! პოლკოვნიკო...

—მე ვიყავ მიზეზი შენის მწუხარებისა, მევე გავასწორებ საქმეს, ნუ გეშინიან! და ის შევიდა მონოზნების უფროსთან, რომელთანაც იჯდა იმისი ცოლი, პატარა მარკიზა. მხოლოთ იმ ერთმა მიცნა და ცოლი წინ გაისტუმრა, რომ ეჩურჩულნა ჩემთჳს ეს მსწრაფელი სიტყვები. სხუა სტუმრების მოსვლამ დაგვიშალა ჩვენ განგრძელება ლაპარაკისა. ბესომპიერმა მომცა იმედი იქიდგან გაპარვისა. მე მივიღე ეს იმედი და ველოდი იმას. ლოცვა უკვე აღარ ამშვიდებდა ჩემს გულს, რომელიც მირბოდა გარეთ.

მეორეს დღეს, რა შევედი მონოზნათ უფროსთან, მე ვნახე დე-ჟაგაცი. რომელიც ეთხოვდა წამალს ბუსარში; იმან შემამხედა, და მე გაოცებით ვიცან ტერეზა ბულმანის ქალი. ეს ჩემი გაოცება შეამცნია იგუმენიამ.

—მაშასადამე, ამ ყმაწვილ ქალს იცნობ, ჩემო შვილო? მკითხა მე იმან.

—დიახ, უპასუხა საჩქაროთ ტერეზამ: მე მიცნობს მადამ ზელ მარიონი მარკიზა ბესომპიერის სახლში.

ავათმყოფმა მომცა მე ბარათი, ჴელმოწერილი პოლკოვნიკისაგან:

«ჩემო საცოდაო იგუმენიავ! გუშინ, რა დავბრუნდით პარიჟში, ვლაპარაკობდით მე და ჩემი ცოლი თქუენს მწუხარეს მდგომარეობაზედ და შიშზედ, რომლიც ჯერ დიდსანს არ გაგშორდებათ, მანამ მოღალატე მონოზნები თავს გახვევიან. მძულვარება ერთის დღეს არა ქრება; ჩუენ გვეშინიან, რომ მეორეთაც არა ჰსცადონ შენზედ საწამლავი. ამისთჳს ჩემი ცოლი მარკიზა გიგზავნის თავის ერთგულს მუასლეს, რომელსაც შეგიძლიან ენდოთ, როგორც თქუენ თავსა. ჩემი ცოლი გირჩევსთ, ყოველი თქუენი სტოლის სასყიდელი მისანდოთ და ჯერ მხოლოდ მაგას ენდოთ.» —

მე მაშინვე მივხვდი ბესომპიერის გამბედაობით ეშმაკობას; ნახევარ საათის უკან თერეზა მოვიდა ჩემს სენაკში, დამიწყო ალერსი, და ამიხსნა, როგორ მოახერხა ბესომპიერმა იმის აქ გამოგზავნა.—რასაკჳრველია ამასთანავე გამოვკითხე თერეზას, ვინ და როგორ მოჰსტაცეს ის კამუზარხა-—ჯუარის წერის ორის დღის წინათ, დებაროს ენახა ტერეზა, მოელაპარაკნა მასთან, მიეცა პატიოსანი სიტყვა, რომ გაგათხოვებ უკეთეს კაცზედაო, და ეთანხმებინა, რომ თჳთონაც მიეცა შემწეობა იმის პლანის აღსრულებაში. რასაკჳრველია, ადვილი გასაცნობია, რომ მარტო ერთის შემთხვევებით არ შეხვედროდნენ მექორწილეებსა გვარდიის სალდათები, რომელთაც გზა შეუკრეს და თოფები დაუცალეს. ერთს იმათ აფიცერს, დებაროს მეგობარს, გამოეტარებინა ეკკლესიისაგან განგებ ის სალდათები და მოტაცება ტერეზასი ადვილად მოეხერხა იმისვე თანხმობით. დებაროს აღესრულებინა თავისი სიტყვა, მიეთხოვებინა თერეზა მოურავისათჳს თავის სახლისა, რომელიც ჰქონდა ქალაქს გარეთ. თერეზამ ამიწერა მშვენიერება ამ სახლისა უცხოს ბაღით და სხუა გაწყობილებით; ჰსწორეთ სამოთხეაო, მოუმატა იმან, და იმედი მაქვს ჩქარა გნახო იქაო.»

გული ძალიან მიძგეროდა, თავი მენთებოდა, მე უკვე აღარ ვებრძოდი ჩემს სვინიდისსა; მე მეძლეოდა თავისუფლება, მე ველოდი იმას აღტაცებით. ახლა მრჩებოდა ამეხსნა, როგორ შეყრილან ბესომპიერი და დებარო ჩემის მონასტრიდგან გამოსაყვანად.

ბესომპიერი, რაკი სასახლის ეკკლესიიდგან გასულიყო ბაღში, შეხვედროდა დებაროს და სორელსა, რომელნიც ისევ არეულნი ყოფილიყვნენ მარია მედიჩის სიანჩხლისაგან. ამისთჳს მოეხსენებინათ იმათ

ცოტა რამ მიზეზი ჩემის იმ ოთახში მყოფობისა, და დედოფალსაც მიეღო საკმაოდ ეს ჩვენება, მხოლოდ ამ პირობით, რომ ამ ყმაწვილებს ქრისტიანი ადამიანისათვის არ ეთქვათ ეს შემთხვეულება. ესენიც რასაკვირველია დაჰპირებოდნენ და წამოსულიყვნენ ჩემს საძებნელად, და გასაოცრისიღებლად, რომ მეც არსად არა მესხენებინარა. ამ დროს შეხვედროდა ამათ ბესომპიერი, რომელსაც ეთქო მათთვის ჩემი თავზედ გადასავალი ეკკლესიაში. დებარო მაშინვე მისვედროდა, რა სარგებლობას მოიპოვებს ამ შემთხვეულებით და გაჰსტეხოდა პოლკოვნიკსა თავის სიყვარულში ჩემდამო.—მეორეს დღეს შეიტყეს, რომ მე დავიკარგე. დებარო გაცოფიანებული მისულიყო ჩემს ნათლიასთან და ეკითხა რა მიყო მე; იმას რასაკვირველია ეცინა ამის სულელურს გადნიერებაზედ. და საწყალი ადვოკატი ვერას გაიგებდა ჩემს გამო, თუ რომ ბესომპიერი თავის ცოლით არ მოსულ იყო მონოზნების უფროსის სანახავად.—იმ დღესვე შაედგინათ ამათ პლანი, და ჩქარაც ვნახე მოსული თერეზა მონასტერში. ბესომპიერს გამოეგზავნა ის მითომ თავის ცოლის მეასლობით; ეს მოგონება ცოტა მართალს ემგზავსებოდა და არ გააღვიძა არა ვისში არა მცირედი ეჭვნეულება.—

—ესლა გაპარვა ადვილია, მითხრა თერეზამ: მე ვემსახურები მონასტერში ისრე არა, როგორც სხვები: მე ნება მაქვს, როცა მინდა გავიდე და შემოვიდე. მონასტრის გარეთ მოგზავნილი კაცი ჰსდგას, რომელიც მზათ არის შეატყობინოს, რომელს დღეს და საათს ამოვარჩევთ ჩვენ გასაპარავათ. უნდა მოვისყიდოთ კარის მცველი მონოზანი, გამოვართოთ გასაღები და მაშინ შევიქნებით თავისუფალნი.

—არა, არა! უთხარი მე: კარის მცველიც იმყოფებოდა შემთქმელებთა შორის, მაშასადამე ჩვენი მტერია: ის ისარგებლებს შემთხვეულებით ჩემი ჯვარი ამოიყაროს და მონასტრიდგან არ გამიშოს... მე მაგაზედ უკეთესი ჰაზრი მომივიდა... ამაღამ იდგეს კარეტა ძირს, დასავლეთის მხრისაკენ. თერეზა მაშინვე გაიქცა ეთქუა ეს მორჩენილის კაცისათვის, მეკი შეველ ავათმყოფთან.

საღამოს ჟამზედ, მე მითომ უფრო ავათა ვჰპოვე იგუმენია; თერეზამაც რასაკვირველია კვერი დამიკრა და მოახსენა, რომ ნება მოგვცეს გავათენოთ იმის ქვეშაგებთან; მარია ბოვილიემაც უარი არა ჰყო. შუაღამისას მარია ბოვილიეს მოსვენებით ეძინა. მე გავაღე განჯინა

სადაცა ჰქონდა შენახული აბრეშუმის კიბე, ამოვიღე და მივეც ტერე-ზასა. ჩუმ ჩუმათ გამოვედით, სიფრთხილით გამოვიარეთ ტალანი და ეზო; ავედით გალავნის კედელზედ და ერთს ამის კბილზედ დავა-მაგრეთ კიბე. თერეზას უნდა აელო ეს კიბე მაშინ, როდესაც მე ქვეით ჩავიდოდი, შეედო იმავე განჯინაში და თვითონაც გამოხულიყო მონასტრიდგან განთიადისას, ხოლო ავათმყოფი უნდა ჩაებარებინა ერთის მოლოზნისათვის, რომელიც მე ვაჩვენე ადრევე. და რომლის ერთგულება და სიფრთხილე მე კარგათ ვიცოდი.—დავიწყე პირჯვა-რი და ჩავეშვი კიბეზედ. მთვარე ღრუბლიდგან ძლივს გვანათებდა, მე ვხედამდი შავს უფსკრულსა კედლის ძირის ქვეშ. მე ერთს წუთს თვა-ლები დავხუჭე, რომ თავბრუ არ დამხსმოდა შიშისაგან, მერე მოვი-კრიბე ძალა, ჩავახწიე დედამიწამდინ.

დებარო ძირს მელოდა. იმან მიმიკრა გულზედ და შეჰყვირა:

—შენა ხარ, მარიონ, ჩემო მშვენიერო მარიონ!... რა ჰსჯობია თავისუფლებას, სიყმაწვილეს და სიყვარულს!

კუჩერმა დაჰკრა შოლტი ცხენებსა და ჩქარა მიგვიყვანა დებაროს სახლში ქალაქს გარეთ, რომელსაც ერქვა «სენ ვიკტორის უბანი.»

(ზოგი შემდგომ ნომრებში იქნება.)

# ძმისწულის ბიძა.

აგადემიის წვერსა გადნიერს ზღვისა გატურვა მონდომებია,
ღელვათა მისთა სივრცე, სიღრმეთა და ზვირთთა შებმა უნებებია;
შესამოსელნი, ოქრო ნემსულნი, საქორწინე და მშვენიერება
გაუხდია და მოამხდარა შიშვლად, რომ აღასრულოს საკვირველება:
ზღვა იყო მშვიდად, მამეთ ირყევა, მხსურებენ მას მთიებნი ლამპრად,
იშვებს, ნეტარებს ბუნება დიდი და განისვენებს ღვთაების გვარად,
იწყო მცურავმან, ცურვა და შრომა, ყოვლითა ძალით, ღონით, შეძლებით,
და აღჭურვილმან უბადრუკებით, მხარული დაჰკრა თავ-მოწონებით!
საიდუმლოსა მას დიდებულსა, მხარული დიდსა ზღვისა ქმნულებას
არ ჰკადრებია და თუ ჰსცემია, ძრწოლა მოსვლია ყოვლსა ბუნებას!...
მოცაიღრებულა, მნათობნი ცისა დაჰფარა ბნელმან, ხულთ ითქუნა
ზღვამან,
წარმოსდგა ქარი, ზვირთნი აღიმრნენ, ელვა და ჭექა შესძინა ცამან...
ათასნი მთანი აგოროებულნი, ოხვრით და გრგვინვით აღქაფებულნი,
ზათქით და ზარით აღელვებულნი, ერის ღრმა უფსკრულში დაარ-
სებულნი,
იხილა ლადმან მცურავმან ამან, შესწერწყვა ცასა, მორევსა, ზღვასა,
არ აღიარა დიდება ღვთისა და მოუმატა გვალად ცურვასა.
მაშინ ნებითა უზენაესის, გამოუჩნდა მას ვლადიმერ მღვდელი,
ცეცხლის ეტლზედა მდგომი მახვილით, მბორგავთ სულთა დამამხობელი,
და მიასხეთქა შეურყეველსა, მტკიცესა, მყარსა, ლოდს თავსაკიდურს,
ამპარტავანთა, ზვავთა შემმუსრველს, ქრისტიანეთა ცხოვრებისა ბურჯს,
შემდგომად ამის განსდა ამბავი, ყოვლსა ქვეყანას კიდით კიდემდე,
და კოლხიდელთა ესილათ მღვდელი, სათლით აღსრული ვიდრე სამ ცამდე,

## ლ ე ქ ს ე ბ ი.

ამისთჳს კოლხი, კოლხიდის მთავარს, ბიძა ვთხოვ ნიჭს სიცოცხლის ვარსკვლავს,
ნახე ვლადიმერ, დაემოწაფე, შენ შორის დარგავს მამისა სიტყვას,
ოქრო სიტყუათა გინაკადულებს, ცხოველობისა წყალსა გაჰკურებს,
ხამღრთო ცნობისა მთაზედ აღგიყვანს, იქ სცხოვრებს ის და, მუნ
გიმასპინძლებს!

კოლხიდელი.

6 ოკტომბერს 1865 წ. თფილისი.

---

## მშვიდობიანი სურვილი.

გაქრა დღე მშჳდად, დღე ნასწაული,
ბჟუტავენ ვარსკვლავნი, ცით მოჰკრთის მთვარე;
ყველა არის დამშჳდებული,
მყუდროს მოუცავს გარს არე მარე.
ღრმათ, ტკბილად სძინავს მთელად ქვეყანასა;
თქჳნც დაიძინეთ დასვენილი ბედით,
სულით და გულით ღმერთს ვთხოვ ამასა:
რომ სიზმრად მაინც ეწუდეთ სიტკბო ზეცით!
გიცდიათ დრონი სავსე ნაღველით,
დიდის ხნით ტანჯუა დარგულა თქჳნში,
მაშ დაიძინეთ!... ძილში ნახვით,
რაც არ გინახავთ თქჳნს სიცოცხლეში.
და სიზმარმა მაინც დაგატკბოთ,
გადაგავიწყოთ თქჳნ მწუხარება,
და ძილში გართჳთ, ოცნებით ნახოთ,
თუ რა კარგია ბედნიერება!....

ი. კერესელიძე.

(ნათ).

---

# ლ ე ქ ს ე ბ ი.

* *
*

სიყ̂არულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი,
ღმერთმანა გყო, თუ ეშმაკმან კაცის გულსა ჩანერგილი,
ყველა მოლექსებისაგან ეგრე რად ხარ შემკობილი,
ვარდი რათ გაქ̂ს ეკლიანი და ნაყოფი ესე ტკბილი.—
ყველგან შენ იდგამ სამეფოს, სადაც ჰსტვენს ვარდზედ ბულბული;
ყველა შენ გიკმევს გუნდრუკსა, ვისაც შერჩენია გული;
ჭაბუკია თუ მოხუცი, ორნივ შენგან აღგზნებული,
ჩონგურის ჴმით შესძახიან: სიცოცხლია სიყვარული!
შენ წახველ, სულო, და განჰქრა ჩემში სიცოცხლის ლამპარი;
მაგრამ, იმა მხურვალებით გულსა ებრძვის მისი ალი,
ფიქრი, გონება შენკენ რბის, შენს გზას უმზერს ჩემი თვალი,
მოვედ ტურფავ განმაგრილე, ამ ლოდინით ნუ მომკალი!
ხან ვწყევ, ხან ვლოცამ იმ საათს, როს გიხილე შენ პირველად,
მას აქეთ ნათელი დღენი გადამექცნენ ღამე ბნელად.
სიცოცხლე ტვირთად გამიხდა, საზიდველი მეტად ძნელად;
მოვედ სატრფოვ დამენახვე, სიკ̂დილს ნუ მყოფ სანატრელად!—

გრიგ. ორბელიანი.

---

# ჭ ო ნ ი.

ვმადლობ ღმერთსა, წამოვდგები დილითა,
მხიარული მივდივარ ღიმილითა;
რა დარაბას ჩამოვაცლი დუქანსა,
ჩემ დაზგასა მოუჯდები იმ წამსა!
ნემსს დავიჭერ, ძაფს ავაგებ ღიღინით,
დროს ვატარებ მე ყოველთჳს ლხინით;
რა ჰსჯობია ამ ჩუ̂ენსა ჭოვანხანას,
ქუდს შევკერავ ძმებო მე იმისთანას,

# ლ ე ქ ს ე ბ ი,

ვინცა ნახოს თქუას თუ ეს რა ქუდია,
იშვიათათ თუ ვინმე თქვას: ცუდია;
მისს ბოჭკოსა დანამა არ უნდოდეს,
ანჩხატურათ ჩაკეცვით იხურავდეს!
ვინცა მმებო ჩუენში ჴელოსნებია,
ჩემი ქუდი ყველას მოსწონებია;
მაგრამ მჭედელს ქუდი სულ არ უხდება:
ნაპერწკალზე ბოჭკო სულ უფუჭდება!
შუადღის დროს პურს დაზგაზე თავიდებ,
სველს ჩარექას მმებო ჴელში ავიღებ;
მოთალს, მწვანილს შევატან თეთრსა პურსა,
მე არ ვისმენ არწაით საყვედურსა!
საღამოზედ მოვდივარ შინასკენა,
ჴელცახოცი სავსე მამაქვს ცოლმჴლში;
რა შინ მოვალ, გულს მიეცემა ლხენა,
ასე ვჰგონებ იმ დროსა ვარ ქორწილში!
თარს ავიღებ მე დაუკრავ ლეკურსა,
ჩემი ცოლი დაირას იღებს მალე;
ასე ლხინით შევექცევით ჩუენ პურსა,
ყველთჳს ვამბობ: უფალო, შეგვიწყალე!
ოღონდ მქონდეს მე მხიარული გული,
დავიდევ თუ არა მაქუს ბევრი ფული!
ოდეს მწყალობს შემოქმედი ღმერთია—
ლუკმასა ვჭამ, ზედ წყალსა ვსვამ—ერთია!
ასე, ამ გვარ მხიარულად ვატარებ,
მე ჩემს გულსა, ყველთჳს ასე ვახარებ;
მე ვასრულებ ჩემის ბედის ნებასა—
ვჰმადლობ უფალს, იმისს მოწყალებასა!...

დიმ. ბერიევი.

1864 წელსა. ქ. ტფილისს.

# ჩვენნი დროების მწერლები.

## IV

ვინ არის იგი, ვისაც გული ერთხელ აღევსოს
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს!
ნ. ბარათაშვილი.

ყოველი დღიური ჩვენი ცხოვრება და მოქმედება ცხადათ გვამტცებს, რომ კაცს, არათუ რაც ბედისაგან გაწესებული აქვს, როგორათაც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ თითონ ნატვრის თვალითაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ყოველი იმის გულის საწადელიც აღასრულდეს, მაშინაც კმაყოფილი არ არის და არც გული შეჯერებული აქვს, ცდილობს, ახალი რისამე გამოძიებას და შეძენას. იმიტომაც, ჭეშმარიტების გამოკვლევა და თავისი ცნობა აღგვამაღლებს ჩვენ პირუტყვებზედ! რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც პირდაღებული და ქედ მოჭდობილი ზის, დაზავებული მძინარე თვალებს ცაში ატყრიალებს და ყოველი თავის უბედურ მდგომარეობას და ღატაკობას ერთს მხოლოდ ბედს აწერს? მაგრამ იცი მკითხველო, თუ ბედს რათ ადებენ ყოველი ბრალეულობას? მისათვის, რომ რადგანაც თავისი ნიჭი, გრძნობა და ჭკუა მცონარეობისათვის დაუმონავებიათ და ემძიმებათ თავიანთ მოქმედება და ქედის განძრევა, და რომ ისინი არავინ დაძრახოს ზარმაცობისათვის, ამიტომაც ყოველსავეს ბედს აწერენ. თუ რომ კაცი მუშაობს და აქვს რისამე სურვილი აღსრულებული არ დაურჩება. კაცისათვის შეუძლო არა არისრა! მაგრამ კაცის უმთავრესი ვალდებულება ის არის, რომ თავისი თავი იცნოს, თავისი თავის ცნობით მთელს კაცობრიობასაც იცნობს!

თავისი თავის ცნობაც ეგრე ადვილი არ არის, როგორც ზო-

გიერთები ფიქრობენ. ვინ იცის რამოდენმა ათასმა წელიწადმა გაია-
რა იმას აქეთ, რაცა სთქუა. «იცან თავი თჳსი.» მაგრამ დღესაც
არა ეშველარა ჩუენი თავის თავის ცნობას. ზოგი ბედს აწერს თა-
ვის მდგომარეობას ზოგი განგებას, ვის უნდა დაუჯეროს კაცმა? ჩუე-
ნის გონებით არც ერთს, არც მეორეს. ჩუენ უმაღლესმა განგებამ
ბუნებით თანასწორად გაგვაჩინა და თუ რომ მართალი არ არის,
მაშინ მილტონი ძლიერ კარგა მოაქცა ადამს რომ შემდგომი ჯაზ-
რი ათქმევინა: «ოჰ, შემომქმედო! განა გთხოვდი რომ შენ მტვრიდ-
გან მე კაცად გაგეჩინე? განა გთხოვდი ხიბნელიდგან გამოსმობას ან
და ამ მშუენიერ ბაღშიდ დაყენებას? თუ რომ ჩემს ნებას ჩემი ყო-
ფნის თანა შემწეობა არ შეეძლო, მაშინ კანონიერიც და სამართლიანიც
იქნება რომ მე ისევე მტვრად გარდვიქცე, მე მსურს უარისყოფა და
ყოველთავრის უკანვე დაბრუნება რაც მოგიცია.» (*) აბა რა საფიქ-
რებელია, ვითომც ჩუენ უზენაესის არსებისაგან წინდაწინვე გადაწყვე-
ტილი გვაქუს თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. მაშინ რაღა მნიშვნე-
ლობა უნდა ჰქონდეს კაცობრიობას? ნუ თუ ჩუენ ეგრე სათამაშო
და აბურჭალო ვართ? ამ გვარი ჯაზრი მხოლოდ ერთს ნაპოლეონ I-ს
შეშვენოდა, რომელიც კაცებს ისე უცქეროდა, როგორათაც ჭადრაკის
მოთამაშე ჰკაიკს. თუ რომ მართალია, რაც წინათვე გაწესებული გვა-
ქუს, ჩუენ იმის თავზედ აცილება არ შეგვიძლიან, მაშინ ჩუენ, ჩუე-
ნის მოქმედებით გასამტყუნარი აღარა ვართ, რადგანაც წინათვე ეგრე
გაგვიწესა ყოვლისა შემძლებელმა! თუ რომ წინათვე გაწესებული არა
გვაქუს და ყოველი ჩემი მოქმედება ჩუენზედა დამოკიდებული, ერ-
თის სიტყვით თავისუფალი ვართ, მაშინ ბედიც აღარ უნდა იყოს,
ჩუენი ბედი, თითონ ჩუენი მოქმედებაა! მაგრამ ჩუენ ქართველებ-
მა, ისე მოვიყვანეთ ჩუენის მოქმედებით ჩუენი საქმე, რომ ზოგი
ერთი ფიქრობს ვითომც ნიჭი არა გვაქუს, რომ განათლება მივიღოთ.
თჳთონ ერთმა უწარჩინებულესმა რუსის პოეტმა ქართველები მკა-
ნარად გამოხატა; ე აკად. ბროსეტი გაოცებული იყო, როცა ქუთა-
ისის ბულვარშიდ მწროფლად მოსიარულე იმერლები ნახა და სთქუა:
«აბა როგორ შეიძლება ამ გვარი ცილის წამებაო, ვითომც ქართვე-
ლები ზაბუნები იყვნო, დასხედით რა რიგათ ქალადებით მიეშურე-

(*) Потер р. пас. 10.

ბიან თავიანთი საქმის შესასრულებლადაო.» ამ უკანასკნელ დრომიდ ზოგიერთმა მეცნიერებმა წარმოსთქვეს, ვითომც ქართველის კინკრიხი ისეა მოყვანილიო, რომ ნიჭიერნი არ არიანო და დიდი მეცნიერების მიღება არ შეუძლიანთო. ჩვენ ვგონებთ რომ ამდონი დარბაისელი პატიოსანი გვამების სიტყვებმა უნდა დაგვაჯეროს, რომ მართალია იმათი ნათქვამი, ხომ კარგა მოგეხსენებათ «ხმა ღვთისაო და ხმა ერისაო». მაგრამ ნუ თუ ჩემო საყვარელო მკითხველო, ნუ ვიქნებით ეგრე სულ მოკლე, რომ იმათ სიტყვებს ჩვენ დავერწმუნოთ, ჩვენ გულ-დაწყნარებულად დავუმტკიცოთ, რომ ისინი თავიანთ აზრშიდ შემცდარი ბძანდებიან, მაგრამ რადგანაც ამ უკანასკნელ დროშიდ ჩვენ უბედურ სამშობლოს მამულსაც აღმოუბრწყინდა თავისი ბედის ვარსკვლავი უ. დიმ. ჯანაშვილი, ჩვენა გსურს იმის სტატიას პასუხი უგოთ, იმის პასუხის გებით, ზემოხსენებული პატიოსანი გვამების აზრებიც დაიფუშება, რადგანაც ძლიერ სუსტ საძირკველზედაა დაფუძნებული.

უ. ჯანაშვილის სტატიას ჩვენ იმისათჳს უფრო მივაქციეთ ყურადღება, რადგანაც იმას უკითხავს და გაუგონია: ბოკლის, ლუისის, დარვინის, ფოხტის და სხვების სახელები. ჩვენ, სიტყვა «გაუგონია» იმისათჳს ვიხმარეთ, თუ რომ მართლა ჯანაშვილს წაეკითხოს ზემოთხსენებული მწერლების თხზულებაები და რამე ნაყოფი გამოეტანა, მაშინ ასე სჯასაც არ დაიწყებდა.

აი რას ამბობს უ. ჯანაშვილი: «რასაც კაცი პირდაპირ სიტყვის თქმით გაარიგებს, შეატყობინებს, ჩააგონებს ხალხსა, იმას ვერასოდეს ვერ დასწერს ქაღალდზედა. ქაღალდზედ წერას ხელოვნება უნდა: ფიქრი, მოსაზრება და აზრების შეკავშირება და რიგზედ დაწყობა, პირველ შემთხვევაში კი არა. რასაკვირველია მე იმას არ ვამბობ, რომ ისე ლაპარაკში რიგიანობა, ფიქრი და მოსაზრება არ უნდაო... ლაპარაკში სიტყვა რომ შეცდეს, ეს არაფერი, მაგრამ წერაში ეს შეცთომილება არ გვეპატიება...» როგორ, ნუთუ ლაპარაკში სიტყვის შეცთომა არაფერი იყოს? ნუ თუ როცა ორატორები ხალხს ელაპარაკებიან იმათ რომ რამე შეცდეს შეენდობა? არა მკითხველო, კარგს ლიტერატორობასაც დიდი ნიჭი და ხელოვნება უნდა. არათუ შეცთომილებისათჳს ერთი სიტყუაც რომ ურიგოდ სთქუას, იმის გულისათჳსაც კისერს მოსტეხენ საყვედურობით! ერთი ვკითხოთ ავტორს, ვინ

# ჩუ̂ენი დროების მწერლები.

იყვნენ და არიან: დემოსთენი, ციცერონი, მირაბო, კობდენ და ბრაიტი? ვინ არიან ადვოკატები? ნუთუ იმათთჳს სიტყვის შეცთომა არაფერს ნიშნავს? განა ცოტა არის იმისთანა მჭევრმეტყველები, რომელნიც სარგებლობენ მოპირდაპირეს შეცთომილებით და უსამართლო საქმეები მოუგიათ?, არათუ მარტო იმ საზოგადოებაში, სადაც წერა კითხვა არ იციან, განათლებული საზოგადოებაშიდაც კარგის კარგი მჭევრმეტყველებს; ანგლიის პარლამენტშიდ ტყავს ართმევენ მისთანა პირებს, როგორათაც იყო პალმერსტონი და დიზრაელი. სადაც ბრაიტია, იქ არც ერთს ლორდს არ შეუძლიან უადამიანო აზრები ილაპარაკოს. ან და ნუ თუ: კონფუცი, ზოროასტრი და მაგამედი ნიჭიერები არ იყვნენ? ნუ თუ იმათ ქადაგობას კავშირი არა ჰქონდა? ანდა შეეძლოთკი ხალხისათჳს თავიანთი სწავლის და ქადაგების შესმენა, თუ რომ ყოველ წამი-წუთს შეცთომა მოდიოდათ? ერთი სიტყვით თუ რომ ხალხს ისინი თავის თავზედ უმეტეს ნიჭიერად არ ემცნოთ და რამე სიმცრუე შეენიშნათ, არათუ იმათ სწავლას შეუდგებოდნენ და იმდონ წამებას გამოსცდიდნენ, ქჳთ ჩაუქოლავსაც არ დააყენებდენ! ჩუ̂ენის გონებით და როგორათაც თითონ მკითხველი დაინახავს ზემოხსენებულის ფაკტებიდგან, ეჭვი არ არის, რომ ლაპარაკშიდაც დიდი თავდარიგიანობა და ხელოვნება უმართებს კაცს; და მცირე შეცთომილებისათჳსაც დიდი პასუხის მგებელია. მაგრამ მჭევრ მეტყველება მწიგნობრობას ვერ შეედრება, ვერც ხალხს იმას შეაგონებს კაცი, რაც წიგნით შეგონება შეიძლება. წიგნით კითხვის დროს, კაცს დრო აქუ̂ს რომ მოიფიქროს და დაუსაზრდეს; ერთი სიტყვით თავის ჭკუით ჰსჯის საქმეს. მჭევრმეტყველების დროსკი არა აქუ̂ს იმოდენი დრო, რომ საქმეს კარგა რიგზედ დაუკვირდეს. ან და როგორ შეუძლიან კაცმა გარდასცეს სხუ̂ას, სიტყუ̂ა სიტყუ̂აზედ, რაც მჭევრმეტყველმა ილაპარაკა. წიგნიკი ავტორის სულის სარკეა. წიგნის საშუ̂ალებით აზრს ელვასავით მთელი ქუ̂ეყნის მოვლა შეუძლია; მაგრამ მქადაგებელის სიტყუ̂აკი ძლიერ ყოყმანით დაღოლავს და ისიც როგორ ძლიერ კარგა შენიშნა ყურის სპინოზამ, რომ.........

ორატორობა მაშინაა კარგი, როცა საქმე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, როგორც ძველს დროშიდ ზოგიერთს ევროპიის სამეფოშიდ, სადაც კაცობრიობის ღირსება იცნეს, სჯიან სხუ̂ა და სხუ̂ა საქმეებს საჯაროდ ხალხის დასაცველად მართებლობის პირების ზიროტ მოქ-

მედობისაგან. მაგრამ მწერალმაკი ცივილიზაციისწინ გამხევია. როგორ შეიძლება იმ მეცნიერების სიტყვით გარდაცემა და გავრცელება, რომელიც გალილეიმ, ნიუტონმა, ლავუაზიემ, დარვინმა, ბოკლიმ და სხვებმა აღმოუჩინეს მეცნიერებას! ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ მწერლობას შეუძლიან კაცობრიობისათვის ბედნიერების მინიჭება. ერთს მხოლოდ მწერლობას შეუძლიან ყოველი ბოროტ მოქმედებობის შემუსვრა, ჭეშმარიტების გამომკვლევა და კაცობრიობისათვის კაცობრიობის ღირსების მინიჭება! თუმცაღა ბევრი ილაპარაკებს, რომ კაცებს და ქალებს შუა განსხვავება არა უნდა იყოს რაო, მაგრამ ვინემ ბუნებითი მეცნიერებამ არ გამოიმკვლია იმათი აგებულება და არ დაგვმტკიცა, თუ რომ განსხვავება რამაა დღეს ქალისა და კაცს შორის, მიზეზი ისივე კაცობრიობაო, რადგანაც ქალებს ყოველი თავისი ღირსება ახდილი აქვთო, რამოდენიმე საუკუნეს განმავლობაშიდაო. და რაცკი ბუნებური განსხვავებაო ის არაფრის დამაბრკოლებელიაო. ამ ჩვენს საუკუნეშიდ მხოლოდ ერთმა ამერიკამ მისცა თავიანთ თანასწორ მოძმე ქალებს თავისუფლება. ისეთი რომ ჩვენმა დედ მამებმა გაიგონონ ცხადია ყურშიდ თითებს დაიჭერობენ და იტყვიან მეორეთ მოსვლა მოახლოვდაო. ბევრი ფიქრობს, ვითომც ქალებს სხვა არ შეუძლიან, მეცნიერებას ვერ მიიღებენ და ვერც ჭეშმარიტებას გამოიმკვლევენ; ვითომც: «უწინდელს დროებში, თითქმის ჩვენს დროსაც განათლება შეადგენს კაცობრიობის ერთის ნაწილის, ესე იგი მამაკაცების, პრივილეგიასა და საკუთრებასა.»

ამ გვარი შეცთომა მისათვის მოდიოდათ და მოსდით, რადგანაც ქალს ისე უცქერენ, როგორც თავის სურვილის დაკმაყოფილებულს და ოჯახის მოლარეს. მაგრამ, თუ რომ კაცმა თავისი პიროვანი თავის მოყვარება დაუტევა და დაუკვირდა ქალის ბუნებასაც, ეჭვი არ არის, რომ თავის ტოლად გაიხდის ყოველ საქმეშიდ. ყველას კარგა მოგეხსენებათ, რომ რაჭველი მუდამ ქალაქშიდ მუშაობს, ცოლიკი კიდევაც ხნავს, თესავს, მკის, ერთის სიტყვით ყველაფერი ოჯახობის საქმეს ქალი კისრულობს თავის თავზედ. თუ რომ ქალს ამ გვარი შრომა შეუძლიან, რატომ მეცნიერების მიღებაც არ შეუძლიან? ვინ იყვნენ: სემირამიდა, თამარ, ელისაბედ, ტერეზია, ეკატერინა? მითხარით, ბევრი მოიძებნებიანკი იმათთანა ხელმწიფეები იმათ გვარშიდ, რომ ამ ზემოხსენებულ ქალებ—ხელმწიფეებს არათუ გადაჭარბონ ტოლი იყვნენ

არმნულის გამგეობით და მართებლობით? რასაკვირველია იმისთანა ქალებზედ, რომელთაც რძეშიდ დამბალი ყარამის პური რომ პირშიდ ჩაიდონ, იმის ჭამით დრანწები ასტკივდეს, იმათზედ ჩუენ არაფერს ვიტყვით, რადგანაც იმათ თავისი ბუნებური წესი და ვალდებულება დაუკარგავთ! რა ქალები უნდა იყვნენ ის ქალები, რომელნიც დილიდგან საღამომდის სულ ტანისამოსზედ და თავის მესაქცევარ საქმეებზედ ბოდვენ და რომ თავი ვინმეს ხინაზით მოაწონონ, მუქს მელს და სმარს ჭამენ და სმენ! მაგრამ ნიჭიერებით და სწავლითაც არიან მისთანაები, რომელთაც ბევრი ვერვინ გადააჭარბებს; ერთის სიტყვით ცხადათ გვიჩვენებს რომ იმათაც კაცებსავით თავის ნიჭი და მოსაზრება აქუთ. მაგალითად მადმაზელ როიემ დარვინის წიგნი თარგმნა და სარგის თეორია დასწერა, ბიჩერ სტოუ, ბევრს რომანტიკებზედ მაღლა სდგას, ჟორჟ ზანდი ერთი უპირველესი ჰსაფრანგეთის მწერალთაგანია, მარიამ მიტჩელისან ასტრონომიის სწავლებას მასწავლებს . . . . . . . . . და მრავალი სხვებიც არიან, და ნუ თუ ამას მეტყველომ ქალებიც ნიჭიერები არ იყვნენ და მხოლოდ მამაკაცების პირველგიან შემადგენელი იყოს მეცნიერება? მაგრამ ჩუენ ავტორი, რომ უფრო დავარწმუნოთ, მოვიყვანთ ერთი უწარჩინებულესის მეათცხრამეტე საუკუნის მწერლის სიტყვას, რომელიც თავის ცოლზედა სთქვა:

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ეჭვი არ არის, თუ რომ ქალებს, ისეთს სწავლას მისცემენ, როგორიც რიგია იმ თავიანთ ნიჭსაც გვიჩვენებენ, რომელსაც უმეტესი ნაწილი მოკლებულია და ეგრეთ იჭვნეულებენ ზოგიერთები და ფიქრობენ, ვითომც ბუნებამ კაცი ქალზედ უკეთ შექმნა, ამ ჩუენ დროს უმეტეს ნაწილი სწავლულებთაგანი ბეჯითად დარწმუნებული არიან, რომ ქალებს ყოველივერი შეუძლიანთ რისაცკი კაცი შეეძლეს, მაგრამ თუ რომ ტუსაღობიდგან ვერ გამოვლენ, ჭკუას საზრდოს ვერ მისცემენ, ვითომ რა გასაკვირველია, რომ ქალები სუსტი ქმნულებად გარდაიქცენ? ზემოხსენებული მიზეზი არათუ მარტო ქალებშიდ, არამედ თუთ უმეტეს კაცების ნაწილშიდაც დაფარა ნიჭი. ნუთუ მდაბალ ხალხს ნიჭი არა აქუს? ნუთუ ისინიც ჩუენისთანა კაცები არ იყვნენ? თუ რომ იმათი თავის მოყვანილება და მთელი სხეულის აგებულება ჩუენსავით აქუთ, ეჭვი არ არის, რომ ისინიც ისეთი ნიჭიერები არიან, როგორც არისტოკრატები! ერთ ნაირი მიზეზი

წარმოშობს ერთ ნაირ საქმეს! . . . . . . , . . . . . . .

. . . . . უზრუნველი ცხოვრება და სიმდიდრე არათუ მარტო არისტოკრატიის, მთელი სახელმწიფოების დამღუპველათა ყოფილა და ნუ თუ უ. ჯანაშჳლი ამ სიმდიდრეს შენატრის და სიხარულისგამო გისალამ მეშვიდე ცამდის აღფრინდა! ან და რათ არ აგვიხსნა ის სიმდიდრე, რომელსაც ის ეგრე გულ მოწადინეთ თავზედ დასტირის. ჩუჱნ გვგონებთ რომის სახელმწიფოს დაქცევის მიზეზი მომატებული სიმდიდრისაგან გრძნობის გარყვნილება იყო. ნუ თუ უ. ჯანაშჳლს იუგურტას სიტყვაც აღარ ახსოვდეს როცა რომიდგან გავიდა.

ან და რა ჰსჯობია მაგალითისათჳს, რომელსაც მუდამ დღე ჩუჱნს დღიურ ცხოვრებაშიდ ვხედავთ; ვინ დათვრა? მდიდარი; ვინ წააგო? მდიდარმა; ვინ არის ......... მდიდარი. მაშ ამის შემდგომ რაღა სანატრელია სიმდიდრე? ჩუჱნ სიმდიდრეს ამ გვარი მნიშვნელობა მასათჳს მივეცით, რადგანაც ჯანაშჳლმა თავის სტატიიდგან ცხადათ გვაჩვენა, რომ ნამდვილი სიმდიდრის მნიშვნელობა არ ესმის.

უგანასკნელად ჯანაშჳლმა თავის სტატიით რომ უფრო დაგვარწმუნოს, ლუისის და ბოკლის სიტყვები მოყავს, მაგრამ შიმშილსა და სისაწყლეს შუა დიდი საზღვარი ძევს. თუ რომ შიმშილის გამო რაბოროტ მოქმედება ხდება, ლუის ის აზრიკი არა აქუს, რომ იმ წამსვე ბოროტ მოქმედება უნდა მოხდესო. არა, როცაკი თავის გრძნობას დაჰკარგავს, ერთის სიტყვით მთელს სხეულებაშიდ ცვლილება მოხდება, მაშინ კაცი თავის გონზედ აღარაა, მოქმედობს, როგორც შეშლილი და არა კეთილგონიერი! და ამასთან არ დაივიწყო მკითხველო რომ კაცს შეუძლიან ცხრა დღე მშიერი გასძლოს,.. ნუ თუ ცოტა არიან იმისთანა საწყლები, რომელნიც კმაყოფილი არიან თავისი მდგომარეობით და არ გაზდევენ გარყვნილ გრძნობის მოთხოვნილებას? ნუ თუ მართლა მხოლოდ ერთი სისაწყლე იყოს იმდონი სხჳა და სხჳა ფერი ავაზაკობის მიზეზი, როგორც ჯანაშჳლი ამბობს? ანგლიაშიდ ხშირად მოხდება ხოლმე ქუჩებშიდ შიმშილისაგან კაცები კვდებიან, მაგრამ ბოროტ მოქმედებას მაინც არა შვრებიან. ჩუჱნ ის არ გვინდა ვსთქუათ, რომ ვითომც სისაწყლე კარგი რამ სანატრელი იყოს, მაგრამ არც იმის მსურველი ვართ ცილი ვსწამოთ საწყალ ხალხს. . . . . . . . . . . . . . . . .

ეჭვი არ არის, რომ უმთავრესი ბიწიერება, უსიკობა და სისამაგ-

ლე ანგართ მოყვარებისაგან წარმოსდგება. მაგრამ კაცსა იმდონი სიმდიდრე უნდა ჰქონდეს შეძველად, რომ თავისი რჩევა თავისუფლად შეეძლოს, ასე რომ თავისუფალი დრო ჰქონდეს, სხუა და სხუა აზრები მოიფიქროს. ანა რა უნდა გააკეთოს იმ კაცმა, რომელიც მუდამ დღიურ ლუკმისათჳს შფოთავს? სადღა აქუს დრო მოიფიქროს ან და ისწავლოს რამე? აი თითონ ბოკლიც რას ამბობს სიმდიდრეზედა «ვინემ თჳთეული პირი იძულებულია ყოველი საშვალების მო«პოებად, რომელიც იმის ცხოვრებისათჳს საჭიროა, იმას არც სურ«ვილი აქუს, და არც უმაღლესის შრომისათჳს დრო; მაშინ მეცნიე«რებას კიდო არ შეუძლიან ფესი მოიდგას. ამ გვარ საზოგადოების «მდგომარეობის დროს სიმდიდრის შეკრება არის პირველი აუცილებელი ბიჯი; თუ რომ სიმდიდრე არ არის, მოსვენებაც არ არის, მო«უსვენებლად სწავლაც არ არის. კიდო უნდა მოვასხენო მკითხველს, «რომელთაც ვგონებ, კიდევ თავი მოვაბეზრე ამდონის ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით, რომ ჯანაშჳლს სრულებით არ ესმის თუ რომ მარტო ერთ სიმდიდრეს მივაწერთ განათლებას, როგორათაც უჯანაშჳლი გვიქადაგებს, არა ვგონებთ საკმაო იყოს, ამისთჳს რომ არიან მისთანა ქუეყნები, სადაც სიმდიდრე კარგა ბლომათ აქუთ, მაგრამ განათლებითკი სრულებით გაუნათლებელნი არიან. აი რას ამბობს ბარ. დარვინი: «ჩემის მხრითაც ნაკლებ გაოცება არ ყოფილა «როცა იმათი უზდელობა ვნახე, რომელნიც ფლობენ ათასობით პი«რუტყვს და თვალ უწდომ ადგილებს. ფლობენ რამოდენიმე კვადრატნი მილს ადგილებს, სადაც თითქმის ყოველ ადგილზედ მცირეს ჯაფით შეი«ძლება არათუ მარტო პურის მოყვანა, არამედ ყოველაფრისა. მაშ, ამის შემდგომ რაღა უნდა იყოს განათლების მიზეზი იკითხავს გაოცებით მკითხველი? მკითხველო ეჭვი არ არის, რომ თავისუფალი დროს საშვალების მოპოებაც დიდს შემწეობას აძლევს, მაგრამ იმ საშვალებასთან ბევრი სხვებიც შემწეობენ, როგორათაც თითონ ბოკლი ამბობს.

ბევრი კაცი ყოველთჳს უმართლო მსაჯულია, როცა რამე საქმე ემწუთხება, იმ წუთსვე გინებას და ყვედრებას დაუწყებს, ასე რომ არაფრის მიზეზის გამოკვლევა არ უნდათ, ან და უმჯობესად ვსთქუათ არ შეუძლიათ მიზეზის გამოკვლევა და რაც ენაზედ მოუდგებათ უთავბოლოდ ტარტარებენ მოშლილ წისქვილსავით, ყოველაფერს საქმეს

თავისი მიზეზი აქჳს, რომელიც ზედ მოქმედობს, უმიზეზოდ არაფერი არ მოხდება. ეგების მკითხველმა ბძანოს, კაცო რას ლაპარაკობო, ეგ უშენოთაც ვიცოდითო? მაგრამ რა ვქნათ ბატონო, ჩუჱნ არ ვეჭვნეულებთ ცოდნით რომ იცით, მაგრამ როცა საქმე ცოდნაზედ მივარდა, მაშვინკი ველარ გამოიჩინეთ თქჳჱნი ცოდნა; ეს რავა მოგივიდათ, ჩუჱნ თქჳჱნი ვერა გავიგეთრა! აბა ერთი გვიბძანეთ ღჳთის გულისათჳს, მეტი სისულელე და უმეცრობა რაღა იქნება, ვინც დავით აღმაშენებელის და თამარის დროებას ესაყუედრებიან, მისათჳს რომ იმ დროების საზოგადოება ცდილობდა, რომ კარგი ცხენოსნები და ვაჟკაცები ყოფილიყვნენ! ახკი აღარ მოიფიქრეს, თუ რამ აიძულა იმ დროების საზოგადოებას ამ გვარი საქმე? როცა ყოველის მხრით მტრები ესვია, ნუ თუ თავისი თავის დაცვის საშუალებაც საძრახისი იყოს? ნუთუ შიმშილისაგან სიკუდილი უფრო ძნელი და საშიშო იყოს მტრისაგან სიკჳდილზედ? . . . . . რადგანაც მტრები ყოველის მხრით ქართველებს მოსვენებას არ აძლევდენ ამიტომაც, მაშინდელი ვაჟკაცობისათჳს და ცხენოსნობისათჳს ვერ უსაყუედურებთ და თუ რომ სულ გაუმძღრეველად დამორჩილებოდენ მაშვინ უფრო საყუედურო და საძრახისი იქნებოდენ, რადგანაც ჯერ ეხლა რა გვიცემი ბძანდებიან ოსმალები და ყიზილბაშები და იმ დროს რა იქნებოდენ განათლებით, ის შენ იფიქრე ჩემო მკითხველო, მაგრამ ახლანდელი ქართველებიკი ძრიელ საძრახისი და სასაყუედურო არიან, მისათჳს რომ სწავლის და განათლების მაგიორად მიჰყვეს ბელი... მაშვინ როცა ყველას ღონისძიება აქვთ რომ განათლდენ და იმ მტრებისაგანაც განთავისუფლებული არიან. მაგრამ ანკი რა უნდა ქნან როცა განათლება არ მიუღიათ და რითი უნდა გამოიჩინონ თავი, თუ არ თავისი ვაჟკაცობით . . . . . . .

მხოლოდ სტუდენტებს და სტუდენტების მოძმეებს გონების განსხნილებაზედ დასცინიან, მაგრამ რა გაეწყობა . . . . ხასიათი ისეთია, რომ უეჭველად ყოველაფერს რაც იმაზედ უკეთესია წუნი უნდა კრას, რომ ვითომც ის ამითი საქმის. . . . . .

ამ ზემოხსენებულს ბატონ კაცებს, გამბედნეულება და კადნიერება აქჳთ, რომ ახალგაზდა ყმაწჳლ კაცობას დასცინიან და უძახიან, ვოლტერიანცებს, დარვინებს და ბუკლისტებს, რასაკჳრველია ჩუჱნ იმის თქმა არა გვსურს, რომ ვინცკი რუსეთი მოიარა ყველა დარბაისლე-

ბი და ნასწავლები იყვნენ! არა მოწყალეო მკითხველო, სასარე მოზ-
ვერსო სას... შეეტყობაო, ამის თქმის არ იყოს, კაცს რიგიანი კაცო-
ბა მალე შეეტყობა, თუ არა ერთი ევროპიის მოვლით ან და უნივე-
სიტეტშიდ გავლა-გამოვლით ვერ განათლდება, თუ რომ ეს მართა-
ლი არ იყოს მაშინ ჩუჱნც დიდი მოსარული ვიქნებოდით. მაგრამ
მისთანაც არიან ზოგიერთი ჩუჱნი ყმაწვილკაცობა, რომელნიც მიისყ-
დვენ მოისყდვენ უნივერსიტეტშიდ. მოივლიან მთელი რუსეთის უნი-
ვერსიტეტებს, მაგრამ რადგანაც ვერას ღონეს გახდებიან მაშინ-
. . . . დაიწყობენ ორატორობას, ენების იმათი ავტორიტო-
ტობა ისურვოს. ჩუჱნ ამ გვარი ყმაწვილ კაცობა არა გვსურს და
არც შეიძლება შევრაცხოთ დარბაისელი სტუდენტების საზოგადოე-
ბაშიდ. ჩემა დღემ განსაკვირვალი და სასაცილო ის არის, რომ. . .
. . . ზოგნი ზდევნიან ყმაწვილ კაცობას. სწორე მოგახსენოთ
ჩემო მკითხველო, ამ გვარი იმათი მოქმედება და დაცინვა მოგვაგო-
ნებს. . . . ტალახშიდ მდგომი ქვეითი, რომ ცხენოსანს დასცინოდა,
ჩუჱნშიდ იტყვიან და მართალადაც, რომ აქლემის საპალნე ისე არ დამ-
ცირდება, რომ ვირის საპალნეზედ მომატებული არ იქნეს! ზო-
გიერთი დარბაისელი ჩუჱნი სტუდენტებთაგანი არიან სპეციალისტე-
ბი, მაგრამ ისეთი ღრმა სპეციალისტები კი არ არიან, რომ მეცნიე-
რებას მართლა რამ დიდი სარგებლობა აღმოუჩინონ. თუ რომ ღრმა
სპეციალისტები არ არიან, მიზეზი ისევ ჩუჱნი მშობლებია, რადგა-
ნაც სიყმაწვილეშიდვე სხვა და სხვა ევროპიული ენები არ უსწავლებია-
ათ, რომლის საშუალებით იმათ მუყიათობასთან და ნიჭიერებასთან
ღრმად განათლების მიღება შესძლებოდათ. თუ რომ ევროპიის ენები
არ იციან, ყველას კარგა მოგეხსენებათ რომ სპეციალისტობა ყოვ-
ლად შეუძლებელია. რაც განათლება უნდა მიიღონ მარტო ქართულს
და რუსულს ენებზედ სპეციალისტები მაინც ვერ იქნებიან. მისათჳს
რომ ყოველი საგნები მარტო ერთს ევროპიის ენებზედაა დამუშავე-
ბული, ურომლისოთ არა თუ სპეციალისტობა, განათლებაც არ შეიძ-
ლება. მაშ ახლა მიბძანე შენ ჩემო მკითხველო, რა წიგნები გვაქვს
ჩუჱნ ქართველებს, რომლის საშუალობით განათლების მიღება შე-
გვეძლოს? . . . . . მაგრამ ჩუჱნ განსაკვირ-
ვლად მიგვაჩნია, თუ უ. ჯანაშვილს რამ ესაზრება, თუ რომ ქართულს
ენაზედ არ განათლდით ისე ჩუჱნშიდ სპეციალისტები არ იქნებიან.

და ამასთანავე ამბობს: «ჯერ რუსებს არა ჰყავთ ისეთი კაცები, თუმცა ისინი თავის ყმაწვილებს თავის სამშობლო ენაზედ ასწავლიან.» დალოცვილს აუღია კალამი ხელთ და რაც თავშიდ აზრად მოუვიდა დასწერა. ჯერ ვკითხოთ ჯანაშვილს, იცის რუსის ლიტერატურა თუ არა? მკითხველო, შემიძლიან ანჩისხატზედ შემოგფიცოთ, რო არ იცის! თუ რომ უ. ჯანაშვილს რუსის ლიტერატურის მდგომარეობა სცოდნოდა, მაშინ ზემოხსენებულ აზრსაც აღარ იტყოდა. აბა ვკითხოთ ჯანაშვილს ვინ არიან: სეჩენოვი და იაკუბოვიჩი? ნუ თუ სპეციალისტები არ იყვნენ და მერმე როგორი? მაგრამ ჩუენ გვონებთ უ. ჯანაშვილს სპეციალისტობა მარტო გრამმატიკის და რიტორიკის მცოდნელობა ჰგონია!

ღვიმელი.

21 აგვისტო.
1865 წ.

(გაგრძელება იქნება შემდგომ.)

## «ცისკრის» რედაქციისაგან.

1866 წელს «ცისკარი» თავისის დამატებით «გუთნის დედით» გამოვა იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც აქამდის გამოდიოდა. თუ რამე ნაკლულევანება შენიშნეს მკითხველთ, რომელზედაც არ არის ეჭვი, ეს ჩუენი ბრალი არ არის.—თუმცა ბევრი კარგი სტატიების დაბეჭდა გვსურვებია და გვსურს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჟამთა ვითარება ისეთია, რომ შეუძლებელია ამ სურვილის აღსრულება, მოკლეთა ვსთქვათ, ქართულის ანდაზის მიხედვით: «დრონი მეფობენო»—მაინც და მაინც იმედს კიდევ არა ვკარგავთ და ყოვლის ღონისძიებით ვცდილობთ კარგის სტატიების მოპოვებას, რომელთა შორის გვეგულება რედაქციაში ანგლიურიდამ ნათარგმნი უფ. დიმ. ყიფიანისაგან შეკსპირის დრამა «ორი ვერონელი აზნაურის-შვილი» და, რომელსაც უპირებთ ამ მოკლეს დროში დაბეჭვდას.—მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც დაბარება სურდეს ამ ჟურნალისა, დროთი გვაცნობონ, რომ იმდენი დაიბეჭდოს, რამდენიც კელის-მომწერნი გვეყოლებიან და ტყუილ-უბრალო ხარჯისაგან გამოგვიყვანონ.—

—ამ ნომრის ლექსების ნაწილში დაბეჭდილია, ჩინებული ლექსი კოლხიდელისა.—ამ ჩუენს თანამედროვეს პოეტს საგნად აუღია ფრანციის აკადემიის წევრი რენანი და გეტე. პირველმა დაიწყო საქვეყნოდ დამტკიცება და გაუქმება განგებისა, თჳთ ქრისტეჲს ქვეყნად მოსვლა და იმისი ქადაგება. ამ დროს გამოუჩნდა გეტე, რომელმაცა თავისის მშვენიერის და დიდებულის კალმით, ყოველი ეს დაურღვია, მიიღო მართლ-მადიდებელთ სარწმუნოება, ეკურთხა მღუდლად და იწოდა ვლადიმერად.—

რედ.